

№3. 2019 წ.

იაღვანე



აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო
სსიპ „აფხაზეთის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“

იალქანი - შემეცნებით-ლიტერატურული ჟურნალი ყმაწვილთათვის
აფქიო - ჯონა-ჯრებული ყველაზე პატარებისთვის



რედაქტორი - **ნანა ჭანტურია**
მხატვრული რედაქტორი - **ნუნუ ჯანელიძე**
დიზაინი, დაკაბადონება - **ვახტანგ ზაქარაია**
მხატვარი - **დალი მუხაძე**



„ცენტრის“ დირექტორი
ირმა ირემაძე
იალქანი - დაარსებულია 1996 წელს
აფქიო - დაარსებულია 2010 წელს
გამოცემა განახლდა 2014 წელს



თოვლი სოხუმში

საგამომცემლო ჯგუფი:

ნინო ვახანია, სალომე კაპანაძე, ნატო კორსანტია, ნუზარ მგალობლიშვილი, როლანდ ნიჟარაძე, ოთარ ჟორდანი, ბელა ჩქვანავა, სოსო ჭუმბურიძე.



„პრინცს უნდოდა, რომ...“

ისტორია ყვება, რომ რუსეთის იმპერატორის – ალექსანდრე I-ის მანიფესტმა, რომელიც მოსკოვში გამოქვეყნდა 1801 წლის 12 სექტემბერს, საფუძველი ჩაუყარა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიას, საქართველოს ისტორიაში უსახელმწიფო პერიოდის დასაწყისს. საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე რუსეთი ცდილობდა, საქართველოში თავისი ძალაუფლების გავრცელებას, ჩვენი ტერიტორიის კუთხე-კუთხე მითვისებასა და იმპერიის ნაწილად მათ ქცევას.

XIX ს.-ის ბოლოს აფხაზეთის საუკეთესო მიწების „განაწილების“ შედეგად გაგრა და მისი შემოგარენი – 14 ათასი ჰა მამული „წილად ხვდა“ რომანოვების სიძეს, პრინც პეტრე ოლდენბურგს. შავიზღვისპირეთის ამ რეგიონში პრინცი იმთავითვე კონკრეტულ საქმიანობას შეუდგა: გაანადგურა გაგრის საუკეთესო ტყეები, მოსპო ძვირფასი ჯიშის კორომები, გაზიდა ბზა და ურთმელი; მაგრამ სხვა შესრულებული სამუშაოებიც უნდა აღვნიშნოთ:

მიიჩნევდა რა გაგრას უკვე თავისად, ეს ერთ დროს ნაკლებად დასახლებული და დაჭაობებული შემოგარენი მან ამოაშრო და დაიწყო ზრუნვა რეგიონის კეთილმოწყობაზე. სწორედ პეტრე ოლდენბურგს უკავშირდება გაგრაში პირველი სკოლის დაარსება, „ბავშვთა თავშესაფრის“ სახელწოდებით. პეტრე ოლდენბურგის სიკვდილის შემდეგ მისმა ვაჟმა ალექსანდრემ განიზრახა, თავად ჩასდგომოდა სათავეში მამის მიერ დაწყებულ საქმიანობას. ეს იყო 120 წლის წინათ.



ოლდენბურგის სასახლე. გაგრა

1899 წელს მან პირველად მოინახულა გაგრა. თან ახლდა რუსეთის საგზაო საქმეთა მინისტრი, თავადი მ. ხილკოვი. ვიზიტის მიზანი იყო, შავიზღვისპირეთში სარკინიგზო გზების მშენებლობა. თუ რა „კეთილისმდომელი“ სურვილები ამოძრავებდათ პრინცსა და მის ჩრდილოელ ხელისუფალთ, ამის შესახებ უფრო მოგვიანებით წერდა გაზეთი „საქართველო“ (11 იანვარი, 1918 წ.):

„პრინცს უნდოდა, ისეთი რამ კურორტი შეექმნა, რომ რუსეთის მოწინავე საზოგადოება აქეთკენ მოეზიდა და ის ფულები და აუარებელი ქონება, რომელსაც უცხოეთში ფანტავდა რუსობა, აქვე, რუსეთში დარჩენილიყო“.

მართლაც, 1901 წლის 9 ივლისს, იმპერატორ ნიკოლოზ II-ის მიერ გამოქვეყნებული ბრძანებით, პრინცს ოფიციალურად დაევალა, პირადად ეზრუნა „გაგრის კლიმატური სადგურის“ მოწყობაზე. აღსანიშნავია, რომ ეს იყო რუსეთის სამეფოს მიერ შავიზღვისპირეთში განხორციელებული პირველი მნიშვნელოვანი პროექტი, რომლისთვისაც იმპერიამ გამოყო იმ დროისათვის ძალზე სოლიდური თანხა – 7,5 ოქროს მანეთი.

1903 წლის 9 იანვარს გაგრა ოფიციალურად გამოცხადდა კურორტად.*

* – თემის გაგრძელება: იხილეთ 2019 №3 „იალქნის“ ჩანართი. იგი მომზადდა ოთარ ჭურღულიას წიგნის „ნარკვევები ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობებიდან“ მიხედვით.



აკაკი ნერსისიანი

მკითხველს ვთავაზობთ აკაკი ნერსისიანის ნაკლებად ცნობილ ნაწარმოებს "გამოურდელი". რომელსაც, ვფიქრობთ, ნამდვილად არ დაუკარგავს აქტუალობა და დღესაც ისეთივე თანამედროვეა, როგორც დანერის დროს. კლასიკის სიბღლიერ ხომ ესაა! ნაწარმოები შექმნა 1884 წელს.

მწერლის თავისუფალი, თამამი ნააზრევი ღრმა ფსიქოლოგიურ ნიადაგზეა ერთად გვარსობს, როგორ შეიძლება, ორნებით გაზრუნული, გამოურდელი ახალგაზრდა ვაჟას უზნეობის მზაკვრულ მახეში. იგავებში ვკითხულობთ, როგორ უხმობს ენაგატლეკილი ქალი გამვლელთ: "გამოურდელმა აქეთ გადმოუხვიეთ!"-ო: იმასაც ვიგებთ, რომ ნინდაუხედავის ბოლო დაღუპვაა: სანდნიეროდ, ჩვენი პერსონაჟი ხელიდან უსხლტდება განსაუდელს, თუმცა მთელი სიეროვნული თავისსავე უგუნურებასა და გამოურდლობას მწარედ და უსიამოდ ახსენებს სიტყვა "ლოქო".

დღევანდელ დღეს, როცა ათასი საუფური თავსეა ქვეყნიერება, დიდი კლასიკოსის მართლაც გაუხსნარი ნაწარმოები ახალგაზრდებს სთავაზობს სააზროვნო სივრცეს, ჩვენ კი დროს განსჯისა და დაფიქრებისთვის.

გამოურდელი

აკაკი ნერსისიანი

ხმა ახალი დანმენდილი მქონდა. ის-ის იყო, უღვაშები შემმწვანებოდა; სიჭაბუკის საოცნებო ძლიერება ძვალ-რბილში მქონდა გამჯდარი; მინაზე ფეხს აღარ ვაკარებდი: ცა ქუდად არ მიმანდა და დედამინა ქალამნად! გული გრძობად და გონება ოცნებად გადაქცეული მეშვიდე ცაზე მიმადრენდნენ; ქვეყანა ჩემს ნებაზე ბრუნავდა და ბედნიერ ანმყოს უეჭველი მომავლით ვიგვირგვინებდი. მხოლოდ ერთი რამ მაკლდა: რალაც უცხო და უცნაური, რომელსაც ერთსა და იმავე დროს შეგტრფოდი და თანვე ვეკრძალვოდი, ვეთავხედებოდი და ვეშიშოდი!.. თურმე სიყვარული მენვერებოდა! რალაც ამომეტორლიალა... ვილაც ამედეგნა თან... გამოურკვევლად თვალნი მებლანდებოდა, ყურში საიდუმლოდ ჩამჩურჩულებდა და მით გულს საგულეზე აღარ აჩერებდა!.. ის ხან უცნაურად ტოკავდა და ხან საოცრად შეიფართხალებდა ხოლმე. მე „ვილაცამ“ თუ „რალაცამ“ ხელი დამრია: დღე მაშფოთებდა და ღამე ძილს მიფრთხობდა!..

მნამდა კი, რომ ეს „ვილაცა“ ერთ დროს უნდა გამომცხადებოდა და იმთავითვე წარმოვიდგინე ის ჩემი გრძობის გვარად და სურვილის ფერად, ქვეყნის დასაბამიდან დასასრულამდე, კიდით კიდე, ზესკნელ-ქვესკნელად მიმოვაფრინე მკვირცხლი ოცნება, ამოვკრიფე ყოველივე სანეტარო, შევავრთე, შეუძლებელს შესაძლებელი მივუმატე, შევადგინე სახე იმ „ვილაცის“ და გავიხადე სათაყვანოდ. იმ დღიდან, იმ „ვილაცის“ ლოდინით მთვრალს, ხელთ მეპყრა საოცნებო ჩონგური და მისი სიმების ჟღერით ვინოდებდი იმ „საჩემოს“.

ერთხელ, გაზაფხულის პირზე, ჩეროში ვიჯექ და თვალ-ყურს ვადევნებდი იქვე ახლოს ჩამომჩქეფარე პატარა მდინარეს. ჩვეულებრივად ოცნებით გატაცებულს თვალნი მებატებოდა ჩემი „ვილაცა“: ვითომ ის იდგა წყალში და ტანს იბანდა. ნელქვევით წყალი ჰფარავდა (და რომ ესეც არ ყოფილიყო, მაინც ცისარტყელით შებურვილად მომეჩვენებოდა), ნელხევით კი შიშველი იყო. ხან ჩაიყურყუმალებდა, ხან

ისევ სირინოზივით ამოჰყოფდა ხოლმე თავს და მაშინ მის სპეტაკ გულ-

მკერდსა და მხარ-ბეჭებზე აქა-იქ წმინდა წვეთები პატარ-პატარა

ბურთივით მოჰგორავდნენ, თითქოს მარგალიტები

ეფრქვევიანო, ნაზი ღიმილით ეაღერებოდა

წყლის სარკეში ჩაშუქებულ მის მშვენიერებას.

ზოგჯერ მორცხვად მომკრავდა თვალს და

სახე ვარდისფრად ეღებებოდა, თითქოს

რცხვენოდა ჩემი... რცხვენოდა, მაგრამ

მაინც სურდა, რომ მისთვის თვალი არ

მომეშორებია.

ამ დროს ჯოჯოხეთის ხმით ჩამჩხავლეს

ყურში!... მოვიხედე და რა ვნახე? ჩემს

გვერდით იდგა ერთი რალაცა... მაიმუნი!..

განა მართლა? არა! ის ქალი იყო. თავისთავად,

ღიახაც, მშვენიერი, მაგრამ, შედარებით კი იმ ჩემს

„ვილაცასთან“, „რალაცასთან“ იყო „მაიმუნიც“!



– თუ უკაცრავად არ გახლდეთ, მიბრძანეთ, ყმანვილებს ხომ არ ჩამოუვლიათ ერთი მოხუცებული გამდელითა? – მკითხა იმ ქალმა.

– რა მოგახსენო, სწორედ არ შემინიშნავს-მეთქი, – ვუპასუხე ცივად.

მეგონა, რომ ამით მოვიშორებდი იმ უსიამოვნო სტუმარს, მაგრამ იმან ღიმილით თქვა: „ნეტავ, რად დაიგვიანესო?“ და ამომიჯდა გვერდით! ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ისევ მკითხა: „ეგება, ვერც კი შენიშნეთ? ისეთნაირად იყავით ჩაფიქრებული, რომ...“

– დიახ, მარტოობაში ოცნებამ გამიტაცა! – გავანწყვეტინე სიტყვა.

– ოცნებამ?! მერედა, თქვენთან რა უნდა ოცნებას? ეგ ხომ მარტო ქალების ხელობაა? მაგრამ მე ძალიან მომწონს, როდესაც კაცი ოცნებობს: მაშინ ეტყობა, რომ ის ნაზი გრძნობის პატრონია...

– შეიძლება.

– ჰმ, თქვენ, ვგონებ, ანკესი გაქვსთ გადაგდებული იმ წყალში?

– ანკესი?!

– დიახ! მაშ, რად მისჩერებოდით ასე თვალგამოშტერებით იმ ერთ ადგილს მდინარისაკენ? უთუოდ, გინდოდათ დაგენახათ, თუ როგორ მოედებოდა საბრალო თევზი ნემსის წვერზე?

– არა, მე საზოგადოდ არ მიყვარს ნადირობა.

– ძალიან კარგი ხასიათი გქონიათ! კაცებს იმიტომ უყვართ ნადირობა, რომ მოსისხლეები არიან.

– ქალებმაც რომ ძალიან იცით თევზაობა?

– იმიტომ, რომ ეგ უსისხლო ნადირობაა და კარგი ხელობაც არის. ჯერ თავის შესაქცევია და მერე კიდევ, სასარგებლოც; პატარ-პატარა თევზებზე სწავლობენ ქალები ნადირობას და მერე თქვენხელა ლოქოსაც დაიჭერენ ხოლმე...

– როგორ თუ ჩემხელა ლოქოს?!

– მაშ, ჯერ ანკესი არავის მოუდვია თქვენთვის?

ამ სიტყვებმა უცბად გამაანჩხლეს. ეკალნაჩხვლეტივით წამოვვარდი ზეზე და დავეშვი თავდაღმართისკენ. მეტი გულმოსულობით ფეხით წამოვკარ ქვას და იმან კიდევ უფრო გამაბრაზა. იმ დღეს ჩემ გუნებაზე აღარ ვყოფილვარ. „ეს ვინ ოხერი გადამეკიდა, რომ ჯერ ოცნება მომინყალა და მერე კიდევ ისე საცინლადაც ამიგდო, რომ ლოქოს შემადარა-მეთქი?“ – ვამბობდი გუნებაში.

მეორე დღეს, დილაადრიან, ბალისკენ მივდიოდი და ჯერ შუა გზაც არა მქონდა გავლილი, რომ გადასახვევთან ის გუშინდელი წყეული შემეფეთა, გადამიღობა გზა და მითხრა: „ნება მიბოძეთ, რომ ბოდიში მოვითხოვო თქვენგან, ყმანვილო! დიდ დამნაშავედა ვგრძნობ ჩემ თავს, რომ გუშინ ისე წინდაუხედავად გატკინეთ გული! ღმერთმა ხომ იცის, რომ გულით არა მდომებია, ისე წამოვროშე მოუფიქრებლად და კიდევ დამრჩა სანანებლად... ნუხელის მთელი ღამე ძილი აღარ მომიკიდებია და დღესაც, თუ არ მენახეთ, ვგონებ, ლუკმა არ ჩავიდოდა ჩემს პირში!..“ ეს სიტყვები ისეთი ათრთოლებული ხმით მითხრა და ისე საცოდავადაც შემომხედა, რომ გული უნებურად გადამიბრუნდა და რალაც წავილულლულე. მხოლოდ ეს კი მასსოვს, რომ ვთქვი: „მაგოდენი საბოდიშო არ იყო-მეთქი!“ ქალმა შერიგების ნიშნად ხელი გამომიშვირა, მეც ჩამოვართვი და, ცოტა არ იყოს, როგორღაც ის პანანა ხელი სასიამოვნოდ მერბილ-მეთბილა... ქუდმოხდით მძიმედ თავი დავუკარი და გავმორდი.

კარგაძალი გზა მქონდა გავლილი, რომ რალაცამ ჩემდა უნებურად მიმახედა უკანვე!.. ის ქალი იმავე ადგილზე იდგა და მე მადევნებდა თვალს. დამინახა თუ არა, უცბად გატრიალდა და წავიდა. „რა გულკეთილი ყოფილა-მეთქი!“ – ვთქვი გუნებაში და გავწიე ბალისკენ.

იქ ერთი მყუდრო ალაგი გამოვძებნე, დავჯექი ხის ქვეშ და ჩემებურად ვარსკვლავებს დავუწყე კრეფა. რალა თქმა უნდა, ჩემი „ვილაცაც“ იქ გავაჩინე და ყველაფერი ვუამბე, რაც გადამხდა. იმან მაშინვე იმ ქალის გაცნობა მოინდომა და არც მე მწყენია. „მართლა რომ, კარგი იქნება, ის გულკეთილი ქალი ამ ჩემი „ვილაცაც“ მოახლედ-მეთქი“, – ვფიქრობდი და თანაც სისრულეში მომყავდა ეს სურვილი; ასე რომ, საღამომდე არა თუ მოახლედ გავიცანი, კიდევ დავუშეგობრე ისე, რომ უერთმანეთოდ წყალსაც აღარ აქცევდნენ ჩემი „ვილაცაც“ და ის ქალი.

ამ დღიდან დაწყებული თინათინის ნახვა (ეს სახელი ერქვა იმ ქალს) მენატრებოდა და კიდევაც ვხედავდით ერთმანეთს. ჩემზე ნაკლებად აღარც თინათინს ენატრებოდა ჩემი ნახვა. მე მიყვარდა ის მისთვის, რომ ჩემი „ვილაცაც“ მეგობარი იყო და იმასაც, მგონი, იმიტომ ვუყვარდი, რომ მე მისი





მეგობარი „ვილაცა“ მიყვარდა. ეს ისე ბეჯითად გადაწყვიტე გუნებაში, რომ საეჭვოდ აღარ მიმაჩნდა და „ვილაცას“ წარმოდგენა უთინათინოდ აღარ შემეძლო!.. ორივეს ერთად ვხედავდი, თუმცა ზოგჯერ, თინათინთან საუბრის დროს, ჩემი „ვილაცა“ აღარ იყო ხოლმე.

რამდენი დრო გადიოდა, უფრო და უფრო ხშირად ვხედავდით ერთმანეთს მე და ჩემი „ვილაცას“ ერთგული მეგობარი; და რომ ქვეყანას ყბად არ ავედეთ, მქირდავების თვალის ასაშორებლად გამოვძებნიდით ხოლმე სადმე მიყრუებულ ადგილს, იქ ვისხედით და ტკბილად ვსაუბრობდით.

ერთხელ ნამეტნავად შეგვიყოლია უცხო ბაასმა; შუალამე გადასული იყო, როცა შინ დავბრუნდი.

თვალეები დავხუჭე თუ არა, მაშინვე ამიფერადდნენ

სხვადასხვა სიზმრები. სხვათა შორის, ვნახე, რომ მე ვითომ ავად ვარ სახადით, ცოტათი უკეთესობაში შევდივარ, თავი იმ ჩემი „ვილაცას“ კალთაში მიდეგს, ის ალერსიანად დამყურებს, შუბლზე ხელს მისვამს და ცივ ოფლს მწმენდს... ცოტა ხნით თვალსა ვხუჭავ, მერე ისევ ვახელ და რასა ვხედავ? ჩემი „ვილაცა“ გამქრალა, მის ადგილზე თინათინი დამჯდარა და მის კალთაში მიდეგს თავი!.. საკვირველია, ეს არათუ არ მწყინს, კიდევ მიხარია და ვნატრობ: ნეტავი, ჯერ კიდევ არ შემოვიდოდეს ჩემი „ვილაცა“-მეთქი!.. სიამოვნებით შევყურებ თინათინს და მეჩვენება, რომ ამას თვალეები იმ ჩემი „ვილაცასი“ ჰქონია და აქამდე კი არ შემინიშნავს.

მართალია, იმას ცისფერი თვალეები ჰქონდა და ამას შავი, მაგრამ მაინც ერთი და იგივეა! განა მარტო თვალეები? ცხვირი... პირი... საკვირველია, საკვირველი!!! იმასავით რომ თეთრი ტანისამოსიც აცვია?! ადრე რატომ ვერ ვამჩნევდი? სად ვიყავი? ახლა კი ვხედავ, რომ ეს თინათინიც არის და ის „ვილაცაც!“ „ვილაცაც“ და თინათინიც!.. მინდა შევიტყო, მინდა ამასვე გამოვკითხო, თუ როგორ მოხდა ეს, მაგრამ ენა რომ აღარა მაქვს საძრავი პირში!.. ნუთუ ასე ძალიან ავადა ვარ? ვკვდები? ეგება, მკვდარიც ვიყო, მაგრამ ეს ჩემი „ვილაცა-თინათინი“ რას უყურებს მერე? ეგება, ვერ მატყობს?.. აბა, ერთი ვანიშნო... მაგრამ როგორ? ხმა არა მაქვს... ველარ ვინძრევი!.. თვალეებით ვანიშნებ, მაგრამ ვერ მიხვდა... აჰ, ღმერთო! ჭირის ოფლი მასკდება... აი, სახლმა ტრიალი დაიწყო... ჭერიც ვარდება... აჰ! აჰ! აჰ! ვაი!.. აქ გამომეღვიძა, უეცრად წამოვვარდი, მივიხედ-მოვიხედე და მივხვდი, რომ სიზმარში ვიყავი. მიამა, მაგრამ ცუდ გუნებაზე კი ავდექი მაინც.

მზე მაღლა იყო წამოსული. ამ სიზმრის შემდეგ თუმცა სული მიმდიოდა, მენახა, მაგრამ ხუთი დღის განმავლობაში ველარსად შევხვდი თინათინს, თითქოს ცამ ჩაყლაპაო. ფიქრებმა წამიღეს. „ვაითუ, ნავიდა სადმე? ან თუ ავად არის-მეთქი?“ ვწუხდი და კანკალი მომდიოდა. თურმე, მართლა უღონოდ ყოფილიყო... მეექვსე დღეს შორს მოვატანე თვალი და მივაშურე. რამდენიც ვუახლოვდებოდი, იმდენი უფრო ძლიერად მიძგერდა გული და, რომ მივუახლოვდი, ყელში დამიწყო ცემა!.. ცოტა მიეზნიდა უქეიფობას; შემომხედა და გამიღიმა! გამიღიმა და იმაზე უტკბესი ღიმილი არც მანამდე მენახა და აღარც შემდეგ მინახავს... დიდხანს შევჩერებოდი უხმოდ გრძნობამორეული მის ალერსიან სიტყვებს, პასუხს ნაწყვეტ-ნაწყვეტად ვაძლევდი. საკვირველია, რაც მეტს მივჩერებოდი, უფრო და უფრო მაგონებდა იმ ჩემ „ვილაცას“ და მით, რალა თქმა უნდა, უფრო ძლიერად იზიდავდა თავისკენ ჩემს გრძნობა-გონებას. ამგვარად დღესხვალებით იქამდე მიმიყვანა, რომ მის გარეშე სუნთქვაც აღარ მეხერხებოდა; ნელ-ნელა ჩემი „ვილაცა“ თანდათან მავინყდებოდა. მაგრამ ეს რა ვთქვი? მავინყდებოდა კი არა, თინათინად იქცეოდა და ბოლოს სულაც გამითინათინდა!.. შევტოპე სიყვარულის მორევში, შევტოპე და კიდევ დამემართა ჩემი!.. ყოველდღე ვხედავდი იმ ჩემ სატრფოს, მაგრამ მაინც კიდევ ვერა ვძლებოდი მისი ჭვრეტი!.. ის შევუნონე მთელ ჩემს სიცოცხლეს და მთელ ქვეყანას, მას მეტი აღარა მაგონდებოდა რა; და თუ კიდევ რამ სხვაც მომწონდა, მისით და მის გამო. ვგრძნობდით, რომ ერთმანეთი გვიყვარდა, მაგრამ გამოთქმას ვერ ვხედავდით...

გარბოდნენ დღეები. მათ თან მისდევდნენ კვირებიც, ზაფხული იწურებოდა. ერთხელ, მთვარიან ღამეში, მარტო ვისხედით ორივენი და ერთმანეთს ჩვეულებრივად უხმოდ შევტრფოდით. თინათინმა გაიშვირა თითი ცისკენ და მითხრა:

- ხედავ იმ ორ ვარსკვლავს? აი, იქ... შორს... ცის კიდეში, სხვებზე მოშორებით რომ კაშკაშებენ?
- როგორ არა-მეთქი! - მივუგე.
- საყვარლებსა ჰგვანან... შეიძლება, მართლაც იყოს. ბუნებაში ყოველიფერს სიყვარული აკავშირებს ერთმანეთთან...

- შეიძლება! - წამოვიძახე მოუფიქრებლად და უაზროდ.
- თუ აგრეა, მაშინ ერთმანეთს განზე რაღად უდგებიან? რატომ არ მოწყდება ის მოდიდო ვარსკვლავი და არ დაეკონება იმ მომცროს? ვინ უშლით?
- მერედა, რომ იწყინოს მეორემ?
- რად უნდა იწყინოს? განა იმას კი არ სურს თუ?..
- თუ აგრეა, რატომ თვითონ არ დაეკონება?
- უთუოდ კრძალვას მისი ბუნების თვისება, ერიდება!..
- ვითომ? ჰმ!.. - ძლივს ამოვიკვნიესე. თინათინმა თავი ჩალუნა და გაჩუმდა. დიდხანს არც ერთს ხმა არ ამოგვიღია. გული საოცრად მიცემდა და თინათინის გულის ძგერაც მესმოდა. ის ხანდახან აიღებდა ხოლმე თავს, შემომხედავდა, თითქოს რაღაცის თქმა უნდაო და ისევ დახრიდა ხოლმე ძირს უკმაყოფილოდ. ბოლოს თქვა, გვიან არისო, წამოდგა და ზარმაცად წავიდა შინ. მეც მუნჯივით გავაცვილე სახლამდის და დავბრუნდი შინ, ჩემ თავზე გაჯავრებული.

რა კარგი მიზეზი მქონდა, რომ ჩემი სიყვარული შემეტყობინებია მისთვის! ის ორი ვარსკვლავი!.. მაგრამ არა, არა! ისე წაცდა, უბრალოდ... მაინც უხეირო ვარ, რატომ არ ვუთხარი? მერედა, რომ სწყენოდა? რად უნდა სწყენოდა? მოდი ერთი, ვეტყვი, რაც მოხდეს, მოხდეს! რომ შერცხვეს, მეც ძალიან შემრცხვება, მაგრამ არ შევხედავ თვალებში... ეგება, კი არ შერცხვეს? რომანებში რომ არ რცხვენიათ ხოლმე? მოდი ერთი, დაუწოქებ და არაფერს კი არ ვეტყვი, სანამ თვითონ არ მკითხავს... თვითონ მიხვდეს!.. არა, არა! ამას ხომ სხვებიც შერებიათ სხვებთან? მე მინდა, რომ ჩვენ სულ განსხვავებულები ვიყოთ! ჰმ... ხვალ სწორედ ვეტყვი... ვეტყვი და ვეტყვი!..

მეორე დღეს საღამომდე ვემზადებოდი და ვფიქრობდი, თუ რა უნდა მეთქვა და როგორ? კარგადაც მოვემზადე ჩემს გუნებაში, მაგრამ, მივედი იმასთან თუ არა, ფიქრები ამერია, პირში ნერწყვი მიშრებოდა, ყელში რაღაც გამეხირა ბურთივით და სულ სხვაზე დავიწყე როშვა!.. დიდხანს ვიტანჯებოდი ამგვარად! ვიჩემებდი... ჩემს თავს სიტყვას ვაძლევდი, როცა მარტო ვიყავი, და რომ მივდიოდი, ვეღარას ვხედავდი!.. თითქმის თავი შემძულდა. ზაფხული კი თანდათან ილეოდა, დრო მოდიოდა ქალაქში გადასვლისა.

ერთხელ თინათინის წერილი მომივიდა: „ულონოდ ვარ და მოდი, მნახეო“. წიგნის წაკითხვა და სატრფოსკენ გაქანება ერთი იყო. მივდიოდი ჩქარი ნაბიჯით და გული თან აღარ მიმყვებოდა: „ვაითუ, მართლა მძიმედ ავად იყოს-მეთქი“. თინათინი მარტოკა იყო სახლში და მიმელოდა. როგორღაც ახირებულად იყო ჩაცმული და ახლადდავარცხნილი თმა მხრებზე ტევრად ეყრებოდა. შემომცინა და ალერსიანად მითხრა: „ვაითუ, შეგაშინეო! ცოტათი გავცივდი და გარეთ აღარ გამოვდივარ, თორემ სხვა მხრივ არა მიჭირს რაო!“

ამ სიტყვებით ნუგემცემული ახლოს დავუჯექი და დავიწყეთ სხვადასხვა ამბები. გახურებულ საუბარში რომ ვიყავით, ერთი უეცრად დაიძახა: „მჭვალი! მჭვალიო!“ და წამოვარდა ზეზე. მე გული გადამიტრიალდა... წამოვარდი მეც და

ქუდს მოვავლე ხელი: მინდოდა, ექიმთან გავქცეულიყავ, მაგრამ თინათინმა დამიშალა: „საჭირო არ არის, ისეც გადამივლისო, მე ასე ვიცი ხოლმეო“; გაიძრო კაბის ზედატანი და მიაგდო იქით: „აბა, ახლა კარსეტიც გამიხსენი, მგონია, მიჭერსო... მრუდედ არის ზონრები გამონასკვული და მოკლე თავისკენ მისწიეო...“ მივვარდი და ხელების კანკალით შევუხსენი, როგორც იქნა; ისიც გაიხადა და დააგდო სტოლზე.

მისმა უსახელოდ და ღრმად გულამოჭრილმა განიერმა პერანგმა უცბად ძირს დაინია. „წელზე ხელი მომდევო, არ წავიქცეო!“ - მითხრა. მოვხვიე ხელი და მომეყრდნო გულზე. მუხლები ამიკანკალდა და ჩავჯექი. ისიც გულალმა დაეშვა ჩემს მუხლებზე. ლოყები წამოუწითლდა, ტუჩები ოდნავ გაეპო, თვალები დახუჭა და უცნაურად სუნთქავდა... ყელმოღერებულად თავგადაკიდებულს შავი თმა ტევრად ძირს ეყრებოდა. მოვინდომე გასწორება; თავი ავუწიე, მაგრამ მეტი მომივიდა და უცბად მისი ტუჩები, დახრის დროს, ტუჩებზე მომხვდნენ!.. ქალი სუროსავით ყელზე შემომეჭდო და მომიჭირა გამეტებით ხელები. მაშინვე თავბრუ დამეხვა და თავიც მივეც დავიწყებას!..

რომ გამოვფხიზლდი, თინათინი მხარ-თეძოზე იყო





წამონოლილი და მე კი მის მკლავზე მედვა თავი. სახემლეღვარედ მისვამდა შუბლზე ხელს და წყნარად მკოცნიდა. „წყალი ხომ არ გინდაო?“ – მეკითხებოდა. მომიტანა სტაქნით ცივი წყალი, დამალევიანა, მერე ამაყენა და მითხრა: „ახლა კი წადი კარში! სიგრილე მოგიხდებო!“ მე, ჯერ კიდევ გამოურკვეველი, უსიტყვოდ დავემორჩინე მის ნებას.

იმ ღამეს ტკბილად ჩამეძინა და მეორე დღეს რომ გამომეღვიძა, სულ სხვა გუნებაზე ვიყავი. თავს ველარა ვცნობდი, თითქოს რაღაც ძლევამოსილება, ამირანთ-ამირანობა მომენიჭა-მეთქი და თამამად გავნიე საყვარლისაკენ. გული თუმცა ჩვეულებრივად აღარ მიცემდა, მაგრამ რაღაც შეფერებული სიამოვნებით კი იყო დამძიმებული. თინათინი ახალი გამოღვიძებული იყო და ყავასა სვამდა. მაცდურად შემომხედა და მორცხვად ჩაღუნა თავი. „რა ყმანვილია-მეთქი!“ – ვიფიქრე გუნებაში და მივინიე მისკენ, ვითომ ყურში ჩასაჩურჩულებლად, მაგრამ ამ დროს გარედან ფეხის ხმა მომესმა და გავსწორდი.

ოთახში ერთი დიდულვაშა კაცი შემოვიდა. ამ ვაჟბატონს ხშირად ვხედავდი ხოლმე ადრეც თინათინთან და მომწონდა. მომწონდა მისთვის, რომ ის, როგორც ვატყობდი, მისი სასიამოვნო სტუმარი იყო, მაგრამ დღეს კი ასე უმიზეზოდ ამომეთვალწუნა. რაღაცა მკბენდა გულზე. თითქმის მიკვირდა: „ჩემდა უნებურად აქ რა უნდა-მეთქი?“ ამისთანა უსაფუძვლო, სულელური რამ ჯერ არა მეგრძნო რა და გავიბუტე!.. გავიბუტე, მაგრამ თინათინის ერთი შემოხედვა საკმაო იყო, რომ ის ჩემი ღრუბელი გაეფანტა. დიდხანს ვიყავი მთვრალი მისი ეშხით. სიყვარული თანდათან მეგზნებოდა უსაზღვროდ და უზომოდ, თუმცა ახლა სულ სხვაგვარად ვგრძნობდი მის ძალას.



ერთხელ რამდენიმე დღით გავემგზავრე ქალაქისკენ. სასოებით, თვალამღვრეულად გამოვეთხოვე ჩემ სატრფოს და წაველ. შემთხვევამ ისე მოიტანა, რომ იმ საღამოსვე დავბრუნდი და პირდაპირ მივაშურე თინათინს. ვფიქრობდი: „ახლა ის ჩემი ნეტარება მარტო იქნება... მოწყენილი... ან წიგნს კითხულობს და ან სტოლზე იდაყვდაბჯენილი ოცნებობს ჩემზე. მე მივალ, მივეპარები ნელ-ნელა... ფეხაკრეფით... შევაფრთხო... ის წამოვარდება ზეზე შემკრთალი, ერთს შემომკვივლებს და, გაჭარხლებული მომხვევა კისერზე...“

ამ ოცნებით შევიპარე სახლში. ზალა ჩუმად გავიარე, ფეხებს ძირს აღარ ვაკერებდი; მხოლოდ გულს კი გაჰქონდა ბაგაბუგი, თითქოს გულზე ბამბას მაპენტავდნენ. წყნარად შევალე სანოლი ოთახის კარები და შევძვერი. იმისთანა თქვენმა მტერმა დაინახა, მე იქ სანახავი ვნახე: კოტრიალა-კოტრიალა!!! უღვაშებიანი ვაჟბატონი წამოვარდა ზეზე, აიფხორა ინდოურივით და თითქოს რაღაც დააპირა, მაგრამ ბოლოს წიგნს მოავლო ხელი და ვითომ ვკითხულობო, ჩაღუნა თავი.

ქალბატონმაც რაღაც ნაიბუტბუტა! ერთხანს აღშფოთებული იყო, მაგრამ ბოლოს შემომხედა და შეჰყარა წარბები. მე, ზარდაცემული, გაქვავებულსავით ერთი ადგილიდან ფეხს ველარ ვიცვლიდი. „თქვენ რა გინდათ აქაო?! – შემომძახა. – ვინ მოგცათ ნება ასე კადნიერად აქ შემოსვლისაო? არ გეკადრებათ მზვერაობაო“ და სხვანი.

მე ველარა გავიგე რა! სულ დავიბენი და თვალეზღაფეტილი მივჩერებოდი, როგორც მართლა დამნაშავე. თითქმის მზად ვიყავი, რომ იმის წინ მუხლმოყრით ბოდიში მომეხადა, მაგრამ ვერ ვახერხებდი და ის კი უფრო მიყვიროდა გააფთრებული: „გადი აქედან! გაეთრიე! აღარ დაგინახოს ჩემმა თვალემაო!..“ მაგრამ მე მაინც არ ვინძრეოდი, სანამ კიდევ არ მომძახა ზიზლით: „არ გესმის, შე, ლოქო, შენაო?!“ ამ სიტყვამ გამომაფხიზლა!..

ეს სიტყვა, სადაც ადრე ეკლად მეჩხვლიტა გულში, ახლაც სწორედ იმავე ადგილას განმეორებით ფინთიხივით მეცა და გამწარებული გავვარდი კარებში ბალისკენ. აღარც გზა მიძებნია და აღარც კვალი! მეტი აღარა მახსოვს რა! მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ გამოვფხიზლდი საავადმყოფოში.

ჩემმა ექიმმა საიმედოდ მითხრა: „ან აღარა გიჭირს რაო!.. შენს ახალგაზრდობას ჰმადლობდე, თორემ ვერ აიტანდი მაგ ანთებასო! რომ მოუყვანიხართ აქ, მაშინ არ უთქვამთ, თუ რა მიზეზით მოგსვლია ეგ ანთება, მაგრამ მე კი ისეც შეგატყვევო: უთუოდ წყალში ჩავარდნილხარო“.

– როგორ თუ წყალში და რითი მიხვდით-მეთქი?

– ეგ ადვილიაო! – ამაყად მიბრძანა, – როცა გაბოდებდა, სულ ლოქოს ახსენებდიო!..

ლოქოს გაგონებაზე ხელმეორედ შემინუხდა გული. მას შემდეგ, აგერ მეოთხედი საუკუნე გარბის, და მე ლოქოს ხსენება დღესაც კიდევ მეჯავრება.



წმინდა ნერილი გვაუწყებს, რომ მარხვის მაგალითი ჯერ უფაღმა იესო ქრისტემ მოგვცა, ხოლო შემდეგ – იოანე ნათლისმცემლიდან მოყოლებული, "ახალი აღთქმის" მოქმედებმა, წმინდანებმა, პირველმა ქრისტიანებმა.

სწორედ მარხვის მნიშვნელობაზე გვექადაგება ესოდენ სიფაქიზით ნარიყალას წმინდა ნიკოლოზის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი გიორგი (თევდორაშვილი) და გვახსენებს, რომ თავისი არსით მარხვა, დედა-ეკლესიით კურთხეული, უპირველესად, სულოზე გამარჯვებული სხეულია, განტვირთვაა, სინანულია, ღვთიური ნებაა – გესმოდეს უფლის ხმა.

აქი ზრძანებდა გაბრიელ ეპისკოპოსი, "მარხვა წოდვათა ძილისაგან გამოღვიძების უამია: ქველმოქმედება და მონყაღებარაა, როჯა საჭმელი არ გახსოვს. გადარჩინეთ სულები. ვინჯ ენასა და მუხუცოს სძლია, ის სწორ გზაზე დგას".



დეკანოზი გიორგი (თევდორაშვილი)

მარხვა სხვების შენდობაცაა

დეკანოზი გიორგი (თევდორაშვილი)

უჩვეულოდ თბილი ამინდით შემობრძანდა მისი აღმატებულება ზამთარი, ჩვენ კი ცივი გულები დავახვედრეთ; როგორც ზამთარს არ უხდება სითბო, ისე არ უხდება ჩვენს გულებს სიცხვე. მოდით, გავუცვალოთ ხასიათი – ჩვენ გავხდეთ უფრო თბილები, ზამთარი კი იყოს ცივი.

რატომღაც ძალიან მიყვარს წელიწადის ეს დრო, სიცხვე კი არ მიყვარს; თოვლი მიყვარს, თოვლი ჩემთვის სინმინდესთან, სისპეტაკესთან და სიბერესთან ასოცირდება. დიდი ხანია, ჩვენი დედაქალაქი თოვლს ელოდება; იქნებ, წელს მაინც გავხდეთ ღირსნი და თეთრად შეიფეროს თბილისი. სამწუხაროდ, თოვლზე მეტად სიყვარული, ლოცვა და ერთმანეთის მოფერება გვაკლია, რადგანაც ზამთარს თან მოჰყვება შობის მარხვა. ვეცადოთ, ეს დანაკლისი მარხვაში მაინც ავინაზღაუროთ.

დავიმახსოვროთ, როგორც სპარსელი მოგვები მიდიან იერუსალიმისკენ, ისევე, უნდა დავიძრათ ჩვენც ხელში საჩუქრებით.

რა უნდა მივუძღვნათ უფალს საჩუქრად?

ბიბლიას თუ ჩავხედავთ, ვნახავთ, რომ ღმერთს უნდა ჩვენი გული და გონება, რომელიც უამრავი ცოდვილი ფიქრითაა დაკავებული.



ჩვენამდე მოღწეული შობის ამსახველი პირველი გამოსახულება. III საუკუნე. პრისცილას კატაკომბები. რომი



გზაზე მიმავალ მოგვებს ხელში უპყრიათ ოქრო, მური და საკმეველი; ოქრო სიმბოლოა იმისა, რომ იშვა მეფე, საკმეველი არის ღმერთისა და მური კიდევ მოკვდავი ადამიანის სიმბოლო (მურს იყენებდნენ გარდაცვლილის გასაპატიოსნებლად)...

იბადება ღმერთი, მეფე და ადამიანი... ჩვენ კი როგორი გულით მივდივართ მასთან? გულს, რომელსაც ღმერთს ვუძღვნი, უნდა იყოს განმენდილი და სუფთა. მთელი ცხოვრება დაიმასხოვრეთ მთავარანგელოზ გაბრიელის სიტყვები: იშვება ყრმა, რომელიც ადამიანებს ცოდვებისგან გამოიხსნის; იშვება მესია, მხსნელი, და იშვება იმისათვის, რომ ჩვენ გვიხსნას ცოდვებისგან.



მხატვარი: რამაზ ყაზიშვილი

მარხვაში ყველაზე მეტად გამომუღავნდება ჩვენი ფარისევლური სახე; მარხვა შეიქმნა ჩვენი სულებისთვის; ამ დროს ისე უდრეკად უნდა ვიდგეთ, მაცხოვარს ისე შევეგებოთ, როგორც მწყემსები, რომლებმაც შემდგომ მას ალილო უგალობეს. ასე შევინარჩუნებთ სპეტაკ გულსა და გონებას და მივუძღვნი მას ქრისტეს; ეს იქნება საჩუქარი ქრისტეს შობისაკენ მიმავალ გზაზე.

ალბათ, გაგიჩნდათ კითხვა, როგორ ვიმარხულოთ, როგორ შევეგებოთ ქრისტეს სუფთა გულებით? ამ საუკუნის ქრისტიანი უამრავ ინფორმაციას იღებს გარემოსგან; თანამედროვე ტექნიკა არ გვაძლევს მოღუწების საშუალებას და ეს ჩვენი დაცემული გონება კიდევ უფრო მეტად ბინძურდება და იტვირთება.

გამოდით ამ სივრცისგან, დაეხსენით მას; ისევე, როგორც საკვებისგან ვიკავებთ თავს მარხვის პერიოდში, ასე უნდა შევიკავოთ თავი ყოველდღიური ცდუნებებისგან; მარხვის დაცვა არ ნიშნავს ხორცსა და რძეზე უარის თქმას; თუ ჩვენ მთელი მარხვა საყვარელ სამარხვო საკვებს მივირთმევთ, ვერც კი გავიგებთ, როგორ გავა მარხვა; მაშინ როდის შევიკავებთ თავი? რაზე ვთქვით უარი?

რომელი საკვებიც გიყვართ, იმას მოერიდეთ, მოერიდეთ გემოთმოყვარეობას, სურვილების დაკმაყოფილებას, სამარხვო საკვებზე სქელყდიანი წიგნების ძებნას. მოიძიეთ წიგნები, როგორ ვიცხოვროთ მარხვაში.

შობის მარხვა არ არის მძიმე, თუმცა წინ უამრავი დღესასწაული გველოდება; უნდა ვეცადოთ, ამ დღეებში მოლხენისგან თავი შევიკავოთ, ნაკლები ვსვათ და ვჭამოთ; თუ არადა, დავემსგავსებით ფარისევლებს.



მხატვარი: დავით პოპიაშვილი



მხატვარი: ირაკლი ფარჯიანი

ჩემი რჩევაა, მოერიდოთ არაფრის მომცემ ინფორმაციებს და გამოხვიდეთ სამზარეულოდან, ილოცოთ და იმარხულოთ სუფთა გულებითა და გონებით. მეორე რჩევა ამ მარხვაში, ისევე, როგორც სხვა დროს, იქნება ის, რომ იაროთ ტაძარში, აღსარება ჩააბაროთ, ეზიაროთ. უფრო მეტი უნდა ვიფიქროთ ჩვენს ცოდვებზე, რომელი გვამძიმებს ყველაზე მეტად. რომელი? რა თქმა უნდა, შური, ბოღმა, ამპარტავნობა, პატივმოყვარეობა და კიდევ ძალიან ბევრი.

მარხვაში უნდა დავინახოთ ჩვენი კადნიერი სახეები, მარხვაში უნდა ვიქცეთ მაგალითად ჩვენი ოჯახისა თუ გარშემო მყოფთათვის, რომ ხვალ ისინიც მოვიდნენ ტაძარში. თუ ჩვენში ვერ ხედავენ ქრისტეს, რა აზრი აქვს მარხვას? გამოვდივართ თუ არა ფარისევლები?

გამოვდივართ! მესამე შეგონება იქნება, რომ ვიკითხოთ წმინდა წერილი და ისეთი ადგილები, რომლებიც არასდროს წაგვიკითხავს. წმინდა წერილის კითხვის გარეშე ქრისტიანობა არ არსებობს! რატომ ჰქვია მას ორლესული მახვილი? იმიტომ, რომ სულიც იწმინდება და ხორციც; ამ დროს კი ღმერთი გველაპარაკება; წირვის დროს გულით მოუსმინეთ უფალს და გაიგებთ, რას გეუბნებათ.

ხშირად გაეცით მონყალება; დააგროვეთ იგი საუფლო საღაროში, რომ როცა გაგიჭირდებათ, დახმარება იქედან მიიღოთ. „ლატაკის მწყალობელი უფალს აძლევს სესხს და სამაგიეროს ის მიუზღვავს მას“ /იგავნი 19:17/.

ბოლოს კი მიხდა, გირჩიოთ, რომ, რასაც ხსნილში არ ვაკეთებთ, მარხვაში გავაკეთოთ. სამწუხაროდ, ხსნილში ბევრს არაფერს ვაკეთებთ, მარხვაში კი ამაზე ბევრად მეტი გავაკეთოთ; ახლობლები მოვიკითხოთ, საფლავები მოვიაროთ; არა მარტო აღდგომას, ახლაც, ამ მარხვაშიც მივიდეთ იქ; ყველაზე კარგად რომ ვართ, მაშინ გავაკეთოთ ეს, შენდობა ვთხოვოთ მათ, ვისაც ვანყენინეთ. „მარხვა სხვების მიმართ შენდობა და პატიებაცაა“. ქრისტე რომ იშვა, ანგელოზები ზეციდან ჩამოვიდნენ და გალობდნენ:

„დიდება მალალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“.

ყოველივე ეს არ მოხდება, თუ ჩვენ არ მივუტყევებთ, შენდობას არ ვითხოვთ და არ ვაპატიებთ ერთმანეთს, ისევე, როგორც ღმერთი გვპატიობს ჩვენ. სულ არ იქნება რთული, თუ მოვინდომებთ და სპეტაკ გულსა და სუფთა გონებას ძღვნად მივართმევთ ქრისტეს შობას. დამერწუნეთ, უფრო უკეთესები ვიქნებით, ვიდრე დღეს ვართ. ქრისტეს მოსვლა ამქვეყნად მთელი სამყაროს გამსჭვალავი ნათელია. საშობაო საგალობელში ეკლესია, როგორც ძღვევის ჰიმნს, ისე იმეორებს ამ სიტყვებს – „ჩვენთან არს ღმერთი“.

ღმერთი მოვიდა ჩვენთან, რათა მივიღოთ მარადიული სიხარული. დაე, ეს მარხვა ყოფილიყოს ჩვენი ახლად დაბადებისა და ქრისტეს ჩვენს გულებში შემოსვლის მარხვა!

ღმერთმა დაგლოცოთ და ღმერთმა გაგაძლიეროთ!



მხატვარი: ეთუნა კონტრიძე



„საჭიჭიჭელო კაცია ილია...“

ილია ჭავჭავაძე ექვთიმე თაყაიშვილთან, ლევან ჯანდიერთან და კიდევ რამდენიმე ქართველ მოღვაწესთან ერთად გაბრიელ ეპისკოპოსის* დაკრძალვაზე მივიდა. ეს იყო 1896 წლის მარტში.

გელათის ღვთისმშობლის ტაძარში, სადაც დაიკრძალა მეუფე, ილიამ სასულიერო მოღვაწის საკადრისი გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა. ისაუბრა გაბრიელ ეპისკოპოსის ღვანლზე ერის წინაშე, მის ნაყოფიერ სასულიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაზე, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მეუფის დიდ წვლილზე (მისი თაოსნობით დასავლეთ საქართველოში გაიხსნა 100-ზე მეტი სამრევლო სკოლა, ბიბლიოთეკა, აღდგა მრავალი დანგრეული ტაძარი და, რაც აღსანიშნავია, გააქრისტიანა 18.000 აფხაზი).

საღამო ხანს სავახშმოდ ჩამოვიდნენ ქუთაისში და შევიდნენ ერთ-ერთი სასტუმროს სასადილო დარბაზში. გაშლილ სუფრას ცნობილი მოქეიფეები უხსდნენ.

მათ შორის იყვნენ გიორგი შარვაშიძე,** ქუთაისის აგუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი იასონ გელოვანი და სათავადაზნაურო სკოლის გამგე სიმონ ლოლობერიძე.

ილიას დანახვაზე შექეიფიანებულმა გიორგი შარვაშიძემ, რომელიც თამადა იყო, გახარებულმა შესძახა:

– ოოო, ილია გრიგორიჩ! რა სასიამოვნო სტუმრობაა! გთხოვთ, გაშალოთ ახალი სუფრა!

მასპინძლებმა ილია და მისი თანხმლებნი მაგიდასთან მიიწვიეს.

გიორგი შარვაშიძემ ჯერ ილია ადღეგრძელა. მერე ისევ მისივე ბრძანებით, ხუთი, საკმაოდ მოზრდილი ჭიქა ღვინით შეავსეს და ეს ორიგინალური სასმისი სტუმრებს შესთავაზეს. ილიას თანხმლებმა, პუბლიცისტმა ნიკო ლოლობერიძემ (სიმონის ძმა) თამადას მიმართა:

– მთელი დღის მშვირები ვართ; ჯერ ლუკმას შევჭამო და მერე დავილოცებით!

ასე ააცილეს ილიას ის ხუთჭიქიანი სასმისი, რომელიც შემდეგ აღარავის გახსენებია.

უკვე საკმაოდ შექეიფიანებულები იყვნენ, როცა ილიამ სიტყვა ითხოვა. მასპინძლებს მადლობა გადაუხადა და მოულოდნელად განაცხადა:

– ყველაფერი მშვენიერი იყო, მხოლოდ გულს მაკლია, ის ხუთი ჭიქა რომ არ შემისვამს!

რა თქმა უნდა, ილიას მაშინვე მიართვეს სასმისები და მანაც დინჯად გამოცალა ხუთივე ჭიქა.

– ჭეშმარიტად, საკვირველი კაცია ილია! – გადაულაპარაკა ნიკო ლოლობერიძემ ექვთიმე თაყაიშვილს.



ილია ჭავჭავაძე

* – 1995 წელს საქართველოს წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით გაბრიელ ეპისკოპოსი შერაცხეს წმინდანად.
** – მაშინ გიორგი შარვაშიძე მოღვაწეობდა ქუთაისში (აფხაზეთში ცხოვრება აკრძალული ჰქონდა).



აფხაზი ხალხის ყრილობაზე

აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის ძე, გიორგი შარვაშიძე ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, სერგეი მესხისა და სხვათა თანამოაზრე იყო. ის მათ ყველა მნიშვნელოვან ნამოწყებას თანაუგრძნობდა, მათთან ერთად იღვწოდა საერთო-ეროვნული შეგნების, მშობლიური ენისა და კულტურის განვითარებისთვის, დიდ როლს ასრულებდა საქართველოს საზოგადოებრივ და ლიტერატურულ ცხოვრებაში.

გიორგი შარვაშიძის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და კულტურულ-პოლიტიკურ თვითშეგნებას ნათლად წარმოაჩინს მისი გამოსვლა ე.წ. „აფხაზი ხალხის ყრილობაზე“ 1917 წლის 8 ნოემბერს.

ეს იყო ანტიქართულად განწყობილი აფხაზი ნაციონალისტი ლიდერების მიერ მოწვეული თავყრილობა, რომელმაც აფხაზი ხალხის მომავალი ე.წ. „კავკასიის გაერთიანებულ მთიელთა კავშირს“ დაუკავშირა.

„ყრილობის“ მკვეთრად გამოსატულმა ანტიქართულმა განწყობამ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა პროტესტი გამოიწვია.

გიორგი შარვაშიძემ აფხაზურ ენაზე მიმართა შეხვედრის მონაწილეებს, აუხსნა მათ კავკასიის ხალხებისადმი რუსეთის იმპერიული დამოკიდებულების არსი, ამცნო თავისუფლების მოახლოება და ქართველებთან ერთად მეგობრობისა და თანამშრომლობისაკენ მოუწოდა:

– თქვენ თქვენს უფროს ძმებს – ქართველებს მიჰყევით; მათთან ერთად იმოქმედეთ და იბრძოლეთ თავისუფლების მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად. ვიცი, ზოგიერთებს არ მოეწონებათ ჩემი ასეთი აზრი, რადგან ისინი მოსკოვისაკენ, რუსეთისაკენ იყურებიან, მე კი – თბილისისაკენ. სხვა გზა არ არის და არც ყოფილა არასოდეს აფხაზეთისთვის, გარდა საქართველოსთან მჭიდრო კავშირისა და მასთან განუყრელად


ყოფნისა ჭირსა და ღვინში!

ამ განცხადების შემდეგ თანამოძმეთა ანტიქართული დემარშით განბილებულმა გიორგი შარვაშიძემ დატოვა დარბაზი და შემდგომ არ მობრუნებულა.

ამ ამბიდან სამ თვეში – 1918 წლის 19 თებერვალს თბილისი და სრულიად საქართველო შეძრა სოხუმიდან მოსულმა ცნობამ, რომ 72 წლის ასაკში გარდაიცვალა დიდი მამულიშვილი გიორგი შარვაშიძე.



გიორგი შარვაშიძე





ნინო ვახანია

XIX ს. უმძიმესი პერიოდია საქართველოსთვის. საუკუნის დასაწყისში ქვეყანამ დაკარგა დამოუკიდებლობა და ის წარსულში რუსეთის განაპირა ვუბერნიად იქცა.

საქართველოში საზეიმოდ გამოეხატა რუსული მმართველობა, რეგიონებში განლაგდა რუსული პოლკები, აიკრძალა მშობლიურ ენაზე სწავლება, ქართველად ნივთ-ლორწვარ კი შეიზღუდა.

რუსის გენერალმა ლაზარევმა უციფრად განაცხადა: უფლისწული ზაგრატიონები უნდა გადავასახლოთ რუსეთში: თუ ისინი საქართველოში დარჩებიან, "სასურველი ნესრიგის" დამყარება გაუძირდება. თავისუფლების დაკარგვას, დამპყრობლის უღელს, რუსული ადმინისტრაციული ნესრების დამკვიდრებას ვერ ეგუებოდა ქართველობა. პროტესტი თანდათან გამწვავდა, რა 1832 წლის წინააღმდეგო შეთქმულებით გამოიხატა. აჯანყების ორგანიზატორებმა შექმნეს ფარული საზოგადოება თავისი პოლიტიკური პროგრამით. ქართველ არისტოკრატთა მიზანი იყო, ქვეყანა და ხალხი ჩაემათ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ომში (საზოგადოებაში, ძირითადად, თავდაზნაურობა გაერთიანდა - 100-მდე ნევრი).

1832 წლის შეთქმულება სანიშნავად მოვლენა ქართველი ხალხის რბოვებში.

ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიის მეცნიერებთა ფოტოგრაფი ნინო ვახანია მისთვის ჩვეული ფინანსებით, თბილისის ლირიკული მანერით გვიამბობს ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ მეთაურზე, დიდებულ პიროვნებასა და მამულიშვილზე. ერეკლე II-ის შვილიშვილზე - ალექსანდრე ორბელიანზე, გვიხატავს ეპოქას, რომელიც სავსე იყო ისტორიული დაპირისპირებებითა და დრამატული მოვლენებით.

1832 წელი – შეთქმულთა შატის გამბრეული

(ალექსანდრე ორბელიანი)

ნინო ვახანია

„მე ერეკლე მეფის ქალი ვარ“



თეკლა ბატონიშვილი, ალექსანდრე ორბელიანის დედა, ერეკლე მეფის უმრწამსი და უსაყვარლესი ასული იყო. მამა მას, როგორც ვაჟს, ისე ზრდიდა – ასწავლა ცხენის ტყენა, იარაღის ხმარება თუ ნადირობა. მოხუცი მეფე იმასაც ნუხდა თურმე, ჩემს ვაჟიშვილებს ჩემი თეკლას სიკეთე რომ სჭირდეთ, საქართველოს არაფერი გაუჭირდებოდაო... თავისი საყვარელი ასულისთვის სახუმარო სიგელიც კი უბოძებია და „თეკლა-ბიჭი“ უწოდებია.

თეკლა, თავის დროზე, მამისა და უფროსი ძმის, გიორგი XII-ის ლოცვა-კურთხევით ვახტანგ ორბელიანს მიათხოვეს. ორივე წერდა ლექსებს. თეკლასა და ვახტანგს სამი ვაჟი შეეძინათ – ალექსანდრე, დიმიტრი და ვახტანგი.

შვილების აღზრდას უშუალოდ დედა ხელმძღვანელობდა. პირველდანიეებითი განათლება შინ, თეკლა ბატონიშვილის მეთვალყურეობით მიიღეს. მან შთააგონა მათ ძველი, ერეკლესდროინდელი, თავისუფალი საქართველოს სიყვარული.

ამიტომაც, გასაკვირი არაა, რომ 1832 წლის შეთქმულებაში ორბელიანების მთელი ოჯახი იყო ჩაბმული – თვითონ თეკლა ბატონიშვილი და მისი სამივე ვაჟი; მამულის გამოხსნის საქმეში განდობილნი ყოფილან და, გარკვეულწილად, შეთქმულებაში მონაწილეობდნენ თეკლას რძლებიც. ეკატერინეს (ალექსანდრეს მეუღლეს) „ვალად დასდეს, რევოლუციის ბაირახი შეეკერა“ (ალექსანდრე ორბელიანის მოგონებებიდან).

შეთქმულება დამარცხდა. იასე ფალავანდიშვილის დასმენის შემდეგ, დაახლოებით 145 შეთქმული, დააპატიმრეს და ავლაბრის ყაზარმებში ჩასვეს. ერთნაირი გამოძიების შემდეგ, 1833 წლის დეკემბერში, დამნაშავეები კატეგორიულად დაჰყვეს და განაჩენიც გამოუტანეს. თავდაპირველი გადაწყვეტილება –

მეთაურების სიკვდილით დასჯა, კერძოდ, ოთხად განკვეთა, მერე შეიცვალა სამუდამო გადასახლება. სხვებიც სხვადასხვა ვადით გადასახლეს რუსეთის შორეულ გუბერნიებში. თეკლა და მისი ორი ვაჟი – დიმიტრი და ვახტანგი – ვლადუგაში, ხოლო ალექსანდრე – სამუდამოდ ორენბურგში. წლების მერე მას მაინც მისცეს საქართველოში დაბრუნების უფლება. და აი, სანამ განაჩენი აღსრულდებოდა, რუსეთის ხელისუფლებამ ნება დართო თეკლას, შვილები ციხეში მოენახულებინა.

ალექსანდრე ორბელიანი იგონებს, აღარ ვიცოდით, როგორ შევხვედროდით დედას, რომელიც ჩვენთვის ღმერთის ტოლი იყო და რომელსაც, ჩვენდა უნებურად, ასეთი



წყენა და ტკივილი მივაყენეთ; არ ვიცოდით, როგორ, რა სიტყვებით დაგვემშვიდებინა, ნუგეში გვეცა მისთვისო... ამ დაბნეულობაში რომ იყვნენ, დედაც მოვიდა, ამაყი, წელგამართული, სახეზე საოცარი დიდებულება ეხატა. შვილები დაამშვიდა თურმე, იმგვარი საქმისთვის სიკვდილი, რისთვისაც თქვენ ისჯებით, სასახელოც კიაო; მე ერეკლე მეფის ქალი ვარ, მამასავით გაუტყხელი, თქვენ კი ჩემი შვილები ხართ და ჭირს არც თქვენ უნდა გაუტყდეთო...

თავისი სიმამაცითა და ვაჟკაცობით გაამხნევა შვილები, თავდადებისთვის შეაგულიანა და ოთახი, როგორც შემოვიდა, ისევე ამაყმა და თავანუელმა დატოვა...



„რუსები საქართველოში არ მიყვარან“

გადასახლების ადგილზე გამგზავრებამდე შეთქმულებს, მათ შორის, ალექსანდრესაც, უფლება მისცეს, შინ დაბრუნებულ იყვნენ ოჯახის წევრებთან გამოსამშვიდობებლად. დათქმულ დღესა და დათქმულ საათზე ტუსაღს კარეტამ მოაკითხა. ალექსანდრეს სამუდამო გადასახლება ჰქონდა მისჯილი. მაშინ არც მან და არც მისმა ახლობლებმა არ იცოდნენ, რომ თითქმის 10 წლის შემდეგ იგი სამშობლოში დაბრუნებას შესძლებდა. მძიმე ღუმელი ჩამონვა – დედა, ძმები, მეუღლე, შვილები... აივანზე ელოდებოდნენ ოთახიდან გამოსულს. უკანასკნელად უნდა ეხილა ისინი, უკანასკნელად ჩაეკრა გულში, უკანასკნელად შეხებოდა ამ ძვირფას არსებებს.

ვინ იცის, ვინ წარმოიდგენს, რა ცრემლის ღვრა, მოთქმა-ქვითინი ატყდებოდა იმ აივანზე, რომ არა თეკლა ბატონიშვილი. დედამ უფროს ვაჟს იქ მყოფი ახლობლების გადაკოცნა აუკრძალა. ძველ საქართველოში მამაკაცის კოცნა არავის გაუგიაო და ალექსანდრემაც, შორეულ ციმბირში სამუდამოდ მიმავალმა, მხოლოდ ხელის ჩამორთმევა იკმარა.

დიდხანს მიემგზავრებოდა ეტლით, არა და არ მთავრდებოდა გზა. ერთფეროვანი პეიზაჟი, თოვლით დაფარული სტეპები უსაშველოდ დიდი ერვენა პატიმარს. ამოდენა ქვეყანა აქვს რუსეთს და ჩვენი ცოტა რად უნდაო, – თურმე ეს გულუბრყვილო შეკითხვა აწვალებდა მთელ გზაზე.

მშვიდი ბუნების ალექსანდრემ რუსებთანაც მალე იპოვა საერთო. ძალიან მოეწონა ვინმე შჩერბაკოვი, რომლის სახლშიც ცხოვრობდა და რომელმაც ერთხელ დახრჩობასაც კი გადაარჩინა თურმე. თავის ნაწერებში არ მალავს კეთილგანწყობას, აქებს რუსებს და დასძენს, მე რუსთმოდულეს რომ მეძახიან, სულ ტყუილიაო. მე რუსები საქართველოში არ მიყვარან, თორემ რუსეთში, ისინი რომ ხალხია, უკეთესი არ შეიძლებაო. მართლაც, მტერი და დამპყრობელი არ უყვარდა, თორემ ადამიანის სიყვარული და სხვა სათნოებანი განა ვინმესგან ესწავლებოდა.



„ჩემი სამშობლოს ქვეშ მოვლოკავდი!“

მოულოდნელი და სასიხარულო აღმოჩნდა ალექსანდრე ორბელიანისთვის რუსეთის მთავრობის წყალობა – სამშობლოში დაბრუნების ნებართვა. დარიალის ხეობას რომ მოაღწია, სამშობლოში რომ დადგა ფეხი, ეტლიდან ჩამოხტა თურმე და მიწას, როგორც წმინდა რამეს, ისე ემთხვია. ჩემი სამშობლოს ქვეშ მოვლოკავდიო, – იგონებს თვითონ.

ძმა და კიდევ ერთი უცნობი ახალგაზრდა ასული დარიალის ხეობაშივე შეეგებნენ. ძმას გადაეხვია, სამშობლოს, ცოლ-შვილის, დედის, ახლობლების მონატრება ახლა მისმა ნახვამ შეუმსუბუქა, მთელი სითბო და სიყვარული გამოხატა ძმასთან შეხვედრით. ახალგაზრდა ქალი კი ალექსანდრემ ვერ იცნო; ამიტომ პატივისცემით თავი დაუკრა



და შორიდან მიესალმა. მაგრამ, ნეტა, რამ გააცინა ძმა? თურმე უცნობი მშვენიერი ახალგაზრდა ქალი მისი შვილი, დარია ყოფილა; ალექსანდრემ იგი სულ პატარა დატოვა და ახლა, უკვე ზრდასრული, ბუნებრივია, ვერ იცნო. რასაკვირველია, მამა-შვილის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

შეთქმულთა ემისარი აფხაზეთიდან

შეთქმულებს გრანდიოზული მიზნები ჰქონდათ. შეიარაღებული აჯანყებისთვის კი ემზადებოდნენ, მაგრამ სისხლისღვრას არ გეგმავდნენ. ერჩივნათ, დაეპატიმრებინათ სამხედრო მაღალჩინოსნები, იარაღი ჩამოერთმიათ მათთვის.

ადრე, როდესაც ალექსანდრე ორბელიანი ერთ-ერთ ბრძოლაში მონაწილეობდა, ერთი ჩეჩენი შემოაკვდა... შემოაკვდაო, – თვითონ ასე განსაზღვრა მტრის მოკვლა და ამან კიდევ დასცა თავზარი. მერე, მთელი სიცოცხლე, თავის ყველაზე მძიმე ცოდვად მიითვლიდა ამ ამბავს და ბოლომდე ინანიებდა, რომ ომში კაცი (მტერი) ჰყავდა მოკლული. ასეთი სულიერი ნყოფის კაცს, რა გასაკვირია, რომ კაცის კვლა მთელი გულით სძულდა...

შეთქმულებს გათვალისწინებული ჰქონდათ მომავალი სახელმწიფოს მოწყობის გეგმა. უნდა შეექმნათ საპარლამენტო მონარქია. წინასწარ იყო შერჩეული ხუთივე მინისტრი. საგულისხმოა, რომ შეთქმულთა თბილისელი მეთაურები – ალექსანდრე ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი და სოლომონ დოდაშვილი – არ იყვნენ მოაზრებულნი მინისტრებად. ამით ისინი ხაზს უსვამდნენ და ხმამაღლა აცხადებდნენ იმას, რომ მამულის გამოსხნის საქმე წმინდაა და მასში ანგარება არ უნდა გაერიოს.

სხვათა შორის, აჯანყების დღეს, 1832 წლის 20 დეკემბერს, თბილისში ელოდნენ აფხაზეთიდან ჩამოსულ 2000 შეიარაღებულ მებრძოლს, რომლებიც კონსტანტინე შარვაშიძეს უნდა ჩამოეყვანა. დაკითხვაზე კონსტანტინემ უარყო შეთქმულებაში მონაწილეობა, პროტესტანტებთან ნაცნობობა... ერთადერთი, რაც ვერ დაფარა, ეს იყო ურთიერთობა ალექსანდრე ორბელიანთან და ელიზბარ ერისთავთან. შარვაშიძე, ცხადია, დამნაშავედ ცნეს. კონსტანტინე, აფხაზეთში შეთქმულთა ემისარი, რომელსაც უნდა დაერწმუნებინა აფხაზეთის მოსახლეობა აჯანყების დიად მიზნებში, გაელვივებინა მათში თავისუფლების სული, იყო აფხაზეთის მთავრის – საფარბეის, იგივე, გიორგი შარვაშიძის ვაჟი.

„ღეღა ზაჭონს ლაჰარაკს როგორ შევანყვეტინებდი“

ალექსანდრე ორბელიანი ბავშვობაშივე დაუნიშნავთ ეკატერინე ბარათაშვილზე. იყო ძველ საქართველოში ასეთი ჩვეულება – მშობლები შეთანხმდებოდნენ და შვილების ბედსაც გადაწყვეტდნენ.



ალექსანდრე და კატინო ისე გაიზარდნენ, რომ ერთმანეთს არ იცნობდნენ.

ერთხელ თურმე ქუჩაში მიმავალ ალექსანდრეს ერთი გოგო მოეწონა, დაატყვევა მისი შავი თვალების ეშხმა. ძალიან მოუნდა გაცნობა, თუმცა, ეუხერხულა. უკან მიჰყვა, რათა გაეგო, ვინ იყო, ვისი შვილი და რომელ სახლში შევიდოდა; მაგრამ გოგონამ უეცრად სადღაც შეუხვია და თვალთახედვიდან დაეკარგა. ალექსანდრეც მიხვდა თავის არცთუ სახარბიელო მდგომარეობას და თვალთვალის შეწყვეტა. შინ დაბრუნებული დედასთან, თეკლა ბატონიშვილთან შევიდა და ვითომ, სხვათაშორის, ჰკითხა, ის ჩემი დანიშნული როდის უნდა გამაცნოთო. ჭკვიანი და ალღოიანი დედა მიხვდა, რომ ზუსტად დრო იყო, ახალგაზრდებს ერთმანეთი გაეცნოთ. დათქვეს შეხვედრა. ალექსანდრეს დანიშნული სწორედ ის გოგონა აღმოჩნდა, ქუჩაში რომ ნახა და რომელმაც ასე ააფორიაქა – ეკატერინე (კატინო) ბარათაშვილი, მისი მომავალი მეუღლე.



ალექსანდრესა და ეკატერინეს სიცოცხლის ბოლომდე ძლიერ უყვარდათ ერთმანეთი. ალექსანდრეს თითქმის ყველა სატრფიალო ლექსი ეკატერინეს ეძღვნება. კერძო წერილებმა შემოგვინახა მწერლის განცდა, რომ გადასახლებაში მყოფი მხოლოდ იმ ქალს თუ მიაქცევდა ყურადღებას, რომელსაც რაღაცით კატინოს მიახლოებდა.

ეკატერინე კი ქმრის პატივისცემასა და სიყვარულს იმითაც გამოხატავდა, რომ უაღრესი მონინებითა და მოკრძალებით ეპყრობოდა დედამთილს, თეკლა ბატონიშვილს.

გადასახლებიდან დაბრუნებულ ალექსანდრეს მეუღლე ავად დახვდა. ავადმყოფობის მიზეზი თურმე ერთ მდგომარეობაში დიდხანს ჯდომა იყო. ალექსანდრეს შეკითხვაზე, თუ რატომ იჯდა ერთ ადგილზე საათობით, კატინოს უპასუხია: როცა მე და დედა ბატონი საღამოობით აივანზე დასასვენებლად დავსხდებოდით და ბატონიშვილი (თეკლა) გულის გადასაყოლებლად საუბარს გამიბამდა, ლაპარაკს როგორ შევანყვეტინებდი და როგორ წამოვდგებოდიო.

„საქართველო განსხვავებულად უყვარდა“

მას შემდეგ, რაც რუსეთის ხელისუფლებამ „შეინყალა“ და სიკვდილით არ დასაჯა შეთქმულები, გადასახლებიდან დაბრუნებული „დამნაშავეები“ იძულებულნი იყვნენ, ერთგულად ჩამდგარიყვნენ რუსეთის სამსახურში. ერთადერთი ადამიანი, რომელსაც არ შეუცვლია პოზიცია, პოლიტიკური ორიენტაცია, იყო ალექსანდრე ორბელიანი. იგი ბოლომდე პროტესტანტად დარჩა. გარდა იმისა, რომ არ მუშაობდა ოფიციალურ, სახელმწიფო სამსახურში, ამბობდა და წერდა სიმართლეს, თუმცა ყველაფერს ვერ ბეჭდავდა. რაც მთავარია, სიმართლეს უყვებოდა შეთქმულების შესახებ ახალგაზრდებს, ქართველ 60-იანელებს.

აკაკი წერეთელს რამდენიმე მოგონება აქვს ალექსანდრე ორბელიანზე. საქართველო განსხვავებულად უყვარდაო, – წერს პოეტი და ერთ უცნაურ რამესაც გვიამბობს – სახლში დისიდენტური საუბრების დროს მასპინძელი თურმე სანთლებს აქრობდა, ვინიცობაა, ქუჩიდან ვინმეს არ დაენახა მათი თავშეყრა, არ მიმხვდარიყო, რომ იქ მთავრობის საწინააღმდეგოდ საუბრობდნენ. ფრთხილობდა, კიდევ არ გადაესახლებინათ. ამბობდა თურმე, მეორედ გადასახლებას ვერ გაფუძლებო.

სანთლის ანთება-ჩაქრობა რა შუაში იყო? იხსენებდა: ერთხელ თურმე ერეკლე მეფეს თავის დაკვრაზე შეუტყვია ვეზირისთვის, გულში დალატი რომ ედო. ასე რომ, ალექსანდრესა და მის თანამოსაუბრეთა არა თუ მოსმენა, დანახვაც, შეიძლება, თავშისაცემი გამხდარიყო არაკეთილმსურველთათვის. ალექსანდრეზე დაწესებული იყო საიდუმლო ზედამხედველობა.

უკვე ვორონცოვის დროს, როცა ყოველგვარი წინააღმდეგობა ჩახშული იყო და ქართველები მხოლოდ კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე ზრუნავდნენ, ალექსანდრე ორბელიანმა მაინც გაბედა და წერილი მისწერა ჩეჩენთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მეთაურს, რუსეთისადმი თავისი დაუმორჩილებლობით ცნობილ შამილს. რამდენიმე წლის წინ ხომ ქართველი შეთქმულები მასთან გაერთიანებას გეგმავდნენ.

წერილი გზაში დაიჭირეს და ალექსანდრეს მტრებმა იგი, როგორც დასტური ალექსანდრე ორბელიანის ბუნტარობისა და კანონსაწინააღმდეგო მოქმედებისა, მიართვეს ვორონცოვს, საქართველოს მეფისნაცვალს.

ვორონცოვმა დაიბარა თურმე ალექსანდრე და „ტკბილად“ უთხრა, გთხოვ, ერთი მითარგმნე, აქ რა წერილი და თავისივე წერილი გადასცა. ადრესატი მიხვდა, რასაც მოასწავებდა ეს „ტკბილი“ საუბარი. ცხადია, ეს იყო სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული გულმართალი ქართველი მოღვაწის სასტიკი გაფრთხილება ცბიერი დიპლომატის მიერ.





გიორგი სიამაშვილი

გიორგი სიამაშვილი - განათლებით ფილოლოგი, მხატვრული თარგმანის სპეციალისტი. მუშაობს პოლიტოლოგიის ინსტიტუტში, კითხულობს ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისი ინტერესების სფეროა სოციალური ფილოსოფიის, კულტუროლოგიის, ესთეტიკის, სამართლის ისტორიის საკითხები. გამოქვეყნებული აქვს ესეებისა და ქართული კლასიკური პოეზიის თარგმანების კრებული. ამჟამად თარგმნის "ვერცხლის საყუხის" რუს პოეტებს ქართულად.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წლის წინათ ზაქონმა გიორგიმ ქართულიდან რუსულად თარგმნა გურამ ოდიშარიას საკმაოდ გახმაურებული პიესა "ზღვა, რომელიც შორია" (ნანარმოების სრულყოფილი ვარიანტი რუსულ ტექსტს საჯიროებდა. გამსახურდიას სახელობის სოხუმის თეატრი).

ამჟამად მკითხველს ვთავაზობთ ზაქონა ფრანგულად გიორგი სიამაშვილის თარგმნილი ნიგნიდან "რუსეთი და ევროპა", მისივე კომენტარებით.* უნობლი რუსი კულტუროლოგის - ნიკოლოზ დანილევსკის 150 წლის წინათ შედგენილ ამ სოლიდურ ნაშრომს პირველად იხილავს ქართველი მკითხველი. თავის დროზე "რუსეთსა და ევროპას" დოსტოევსკიმ

"თითოეული რუსის სამაგიდო ნიგნი უნდა". ნიკოლოზ დანილევსკისთვის, ეროვნებით რუსისთვის, რუსული პოლიტიკა არაა ძალადობრივი, დამპყრობლური. მათ შორის, არც კავკასიის მთისა და ქართველი ხალხის მიმართ. და ამას ავტორი აწვდის მაშინ, როცა ამიერკავკასიის სამეფოებში (რა თქმა უნდა, საქართველოში) ზაქონმა რუსი და უგულვებელყოფილია ყოველივე ეროვნული.

ნიკოლოზ დანილევსკი - „რუსეთი და ევროპა“

გიორგი სიამაშვილი

XIX ს.-ის ცნობილი ისტორიის ფილოსოფოსის, ნატურალური თეოლოგიის ფუძემდებლის, კულტუროლოგის, სოციოლოგის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ნიკოლოზ დანილევსკის (1822-1885 წ.წ.) ნიგნი „რუსეთი და ევროპა“ წარმოდგენილია მსოფლიოში არსებული კულტურულ- ისტორიული ტიპების თეორია.

რუსეთის ისტორიულ მისიას დანილევსკი ხედავდა სლავური კულტურულ-ისტორიული ტიპის შენარჩუნებასა და განვითარებაში. მისი შეხედულების თანახმად, საჭიროა სლავური წარმოშობის ერების სოლიდარობის გაძლიერება, რათა დასავლეთს არ მიეცეს მათი დამორჩილებისა ან ასიმილირების საშუალება.

ვრცელ ნაშრომში, რომელზეც ავტორი მთელი ცხოვრების მანძილზე მუშაობდა, ასახულია იდეოლოგიური დაპირისპირება „მედასავლეთეებსა“ და „სლავიანოფილებს“ შორის, რომელიც XIX ს.-ის რუსეთში ყველაზე აქტუალურ საზოგადოებრივ-პოლიტიკური დისკუსიების საგანს წარმოადგენდა.



„ნიკოლოზ დანილევსკი“. მხატვარი ვადიმ კონევი

ნიკოლოზ დანილევსკი სლავიანოფილების შეხედულებებს იზიარებდა და რუსეთის „ველიკოდერჟავულ“ პოლიტიკას ამართლებდა, მასში ხედავდა მცირე ერების გადარჩენას, მათ „ცივილიზებას“. როგორც ვხედავთ, რუსეთის პოლიტიკურ იდეოლოგიას განვლილი 150 წლის განმავლობაში ხსენებულ საკითხთან მიმართებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განუცდია და იმპერიისგან თავდაღწეული ერების მიმართაც კი კვლავ ხორციელდება როგორც იდეოლოგიური, ასევე, სამხედრო ექსპანსია.

ქრონოლოგიურად დანილევსკიმ გამოყო 10 კულტურულ-ისტორიული ტიპი, ცივილიზაცია: 1) ეგვიპტური, 2) ჩინური, 3) ასურულ-ბაბილონურ-ფინიკიური, 4) ინდური, 5) ირანული, 6) ებრაული, 7) ბერძნული, 8) რომაული, 9) ახალსემიტური ან არამეული, 10) გერმანულ-რომანული ან ევროპული.

აქვე იგი ასახელებდა ორ ამერიკულ ტიპს - მექსიკურსა და პერუს, რომელთაც ვერ მოასწრეს განვითარების დასრულება და ძალადობრივი სიკვდილით დაიღუპნენ. ამ კულტურულ-ისტორიულმა ტიპებმა მთლიანად ან ნაწილობრივ ამოწურეს თავიანთი შესაძლებლობანი. თვისობრივად ახალ, ისტორიულად პერსპექტიულ ტიპად დანილევსკი მიიჩნევდა „სლავურ-რუსულ ცივილიზაციას“.



საგულისხმოა, რომ დანილევსკის კულტურულ-ისტორიულ ტიპთა კონცეფცია აღმოჩნდა ლოკალურ ცივილიზაციათა კონცეფციის წინამორბედი, რომელიც XX ს.-ში შეიმუშავეს ოსვალდ შპენგლერმა და არნოლდ ჯ. ტონბომი.

ნაშრომში წარმოდგენილია რუსული მესიანიზმის თეორიული საფუძვლები და ის იდეები, რომელთა რეალიზებასაც ისახავენ მიზნად დღევანდელი ევრაზიელები.

რუსეთ-დასავლეთის ცივილიზაციურ განსხვავებათა ავტორისეული ანალიზი საშუალებას გვაძლევს, უკეთ დავინახოთ საკუთარი ადგილი თანამედროვე მსოფლიოში, ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი, რათა ჩვენი არჩევანი განსხვავებულ ცივილიზაციათა შორის სრულიად გააზრებული გვქონდეს.

პირველად ქართულ ენაზე ვთავაზობთ ჩვენს ახალგაზრდა მკითხველებს ფრაგმენტს ნიგნის II თავიდან, რომელშიც საუბარია სადღეისოდაც მეტად აქტუალურ საკითხზე: კერძოდ, რუსეთის კავკასიურ პოლიტიკაზე. როგორი იყო იგი საუკუნენახევრის წინ და როგორია დღეს?

„არის კიდევ კავკასიის საკითხი. ამ მრავლისმომცველ ცნებაში უნდა განვასხვაოთ ამიერკავკასიის ქრისტიანული და მაჰმადიანური მხარეები და კავკასიის მთის მოსახლეობა. ამიერკავკასიის პატარა ქრისტიანული სამეფოები ჯერ კიდევ ივანე მრისხანესა და გოდუნოვის დროიდან ითხოვდნენ რუსეთის დახმარებას და მზად იყვნენ, ელიარებინათ რუსეთის ქვეშევრდომობა.

მაგრამ მხოლოდ იმპერატორი ალექსანდრე პირველი თავისი მეფობის დასაწყისში, ხანგრძლივი ჭოჭმანის შემდეგ, დასთანხმდა, შეესრულებინა ეს თხოვნა, რადგან დარწმუნდა, რომ საქართველოს სამეფოებს თურქებთან, სპარსელებთან და კავკასიელ მთიელებთან ხანგრძლივი ბრძოლებით გადაღლილებს, აღარ შეეძლოთ დამოუკიდებელი არსებობა და ან უნდა დაღუპილიყვნენ, ან მიერთებოდნენ ერთმორწმუნე რუსეთს. ამ ნაბიჯის გადადგმისას რუსეთმა იცოდა, რომ მძიმე ტვირთს იკიდებდა, თუმცა შესაძლოა, არ იცოდა, რომ ეს ტვირთი ესოდენ მძიმე აღმოჩნდებოდა და უწყვეტ სამოცნლიან ომად დაუფუძებოდა მას.

ამდენად, არსობრივად ეს იყო არა დაპყრობა, არამედ დაღუპვისათვის განწირულისადმი ხელის განვდენა. ამ ნაბიჯმა რუსეთი სპარსეთთან ომში ჩაითრია ისე, რომ იგი არ ყოფილა ომის წამომწყები. ბრძოლების შედეგად რუსეთმა მოახერხა ქრისტიანული მოსახლეობის ნაწილის განთავისუფლება მცირე სახანოების მპყრობელებისგან და სპარსეთის ბატონობისგან. ამასთანავე, დაპყრობილი იქნა მაჰმადიანური სახანოები:



დარიალის ხეობა

ყუბანის, ბაქოს, შირვანის, შეკინის, განჯის და თალიშის, რომლებიც მაზრებად აქციეს; და, ასევე, ერევნის ოლქი.

დავარქვით თუნდაც ამას დაპყრობა, მაგრამ დაპყრობილებმა მხოლოდ მოიგეს. ბუნებრივია, ამ დაპყრობით უკმაყოფილონი არიან მთიელები. მათ შორის, მართლაც, ბევრი დაიღუპა, არა დამოუკიდებელი სახელმწიფოები, არამედ დამოუკიდებელი ტომები.

პოლონეთის დაყოფის შემდეგ ცოტა რამ თუ ინვესტა ევროპაში ისეთ საყოველთაო აღშფოთებას, როგორც კავკასიელ მთიელებთან ომი და ახლახანს დასრულებული კავკასიის დაპყრობა. როგორც არ უნდა ცდილობდნენ ჩვენი პუბლიცისტები, წარმოაჩინონ ეს საქმე ზოგადსაკაცობრიო ცივილიზაციის გამარჯვებად, – არაფერი გამოსდით.

ძალიან გაგვიანდებოდა დედობილი: ყვიროდა, ხელი არ ახლოთ მაგ რაინდებს, თავისუფლების პალადინებს; რა გესაქმებათ მაგ კეთილშობილ ტომებთან! ჰოდა კიდევ კარგი, ამჯერად არ დაფუჯერეთ, დავივიწყეთ ჩვენი ევროპული მოწოდება. არ მოსწონს ევროპას, როდესაც რუსეთი კიდებს ამ საქმეს ხელს – სირდარიაში, კოკანდაში, სამარყანდში, ველურ, ქვისხანის ყირგიზებთან კიდევ დასაშვებად მიაჩნია ამგვარი ცივილიზატორობა, ხოლო აქ, ჩვენს ცხვირწინ, კავკასიაში, ჩვენ თავად მოვახდენთ ამ ხალხების ცივილიზებას. და აი, ამ კავკასიის საკითხთან დაკავშირებით, ისევე როგორც



პოლონეთის საკითხთან, შესაძლოა კი მსჯელობა ევროპის კეთილგანწყობაზე რუსეთის მიმართ? ციმბირზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს. რომელ დაპყრობაზეა აქ საუბარი? სად არის აქ დაპყრობილი ხალხები და სამეფოები? საკმარისია, დავითვალოთ, რამდენია ციმბირში რუსი და რამდენია მკვიდრი მოსახლე, რათა დავრწმუნდეთ იმაში, რომ აქ მოხდა რუსი ხალხის ცარიელ ადგილებზე დასახლება სახელმწიფოს ხელშეწყობის გარეშე. შეიძლება, დაუსახლებელი ამურის მხარეც რუსეთის დამპყრობლურ პოლიტიკას მივანეროთ? აქ ჩინეთის მთავრობა კრძალავდა დასახლებას და დაუსაბუთებლად თავის საკუთრებად მიიჩნევდა.

რუსეთის მიერ დაპყრობილ ტერიტორიებად, ისიც პირობითად, შესაძლოა, მივიჩნიოთ თურქესტანის ოლქი, კავკასიის მთის ქედი, ამიერკავკასიის ხუთი-ექვსი მაზრა და ასევე, ყირიმის ნახევარკუნძული; ხოლო პატიოსნად და სამართლიანად თუ მივუდგებით საკითხს, ვერც ერთ რუსეთის სამფლობელოს ვერ ვუნოდებთ დაპყრობილს – ანტიეროვნულ და კაცობრიობისთვის საძულველ პოლიტიკას. ბევრია კი ისეთი სახელმწიფო, რომლებსაც იგივე შეუძლიათ, თქვან თავიანთ თავზე?

ინგლისმა დაიპყრო მის გვერდით არსებული დამოუკიდებელ კელტთა სახელმწიფო და თან როგორ დაიპყრო! – ჩამოართვა ხალხს საკუთრების უფლება, შიმშილით აიძულა, გადასახლებულიყვნენ ამერიკაში. დაიპყრო შორეული ინდოეთის სამეფოები, რომელთა მოსახლეობა თითქმის ორას მილიონს აღწევდა; წაართვა გიბრალტარი ესპანეთს, კანადა საფრანგეთს, კეთილი იმედის კონცხი ჰოლანდიას და ა.შ.

საფრანგეთმა წაართვა გერმანიას ელზასი, ლოტარინგია, ფრანშ-კონტე, იტალიას – კორსიკა და ნიცა; ზღვის გადაღმა დაიპყრო ალჟირი და რამდენი დაპყრობილი მინების უკან დაბრუნება მოუწია! პრუსიამ შეიერთა გაფანტული ნაწილები პოლონეთის ხარჯზე, რისი უფლებაც არ ჰქონდა. ავსტრიას თითქმის არაფერი დაუპყრია მახვილით, მაგრამ თავად მისი არსებობა უკვე დანაშაულია ხალხთა უფლებების თვალსაზრისით. ესპანეთი წარსულში ფლობდა ნიდერლანდებს, იტალიის დიდ ნაწილს, დაიპყრო და გაანადგურა ამერიკის მთელი ცივილიზაციები“.

ნიკოლოზ დანილევსკი
 ცივილიზაციათა კლასიფიკაციასა და შეფასებას იმის მიხედვით ახდენდა, თუ რამდენად იყო მათში განხორციელებული შემოქმედებითი მოღვაწეობის ოთხი ტიპიდან – რელიგიური, მხატვრულ-კულტურული, პოლიტიკური და საზოგადოებრივ – ეკონომიკური – ერთ-ერთი. საგულისხმოა ის, რომ მის მიერ განხორციელებულ კულტურათა სისტემატიზაციაში კავკასიელი ერები არ განიხილება განსხვავებულ კულტურულ ერთეულებად.



პლაკატი, მიძღვნილი ნიკოლოზ დანილევსკის დაბადებიდან 195 წლისთავისადმი



შობის ღამეა

დააქვს ბალთაზარს მხრებით ოცნება,
გადმოსავლელი ზღვა და მთებია,
ისე შეიკრეს სუნთქვა ბოსლებმაც,
თითქოს სასწაულს ელოდებიან.

სხვანაირია მწყემსების ზეცაც,
ლოდინისაგან გზაც კი მოკლდება,
არ შეგეშინდეთ, დღეს ყველა დედას
მუცელში ჩვილი გაუტოკდება...

ამ დღეს ბავშვივით ველი და ვღელავ,
იმედის ნერგი ცოცხლდება ჩემშიც,
შობის ღამეა, ვარსკვლავი ყველა
სოფლის გომურებს უჭირავთ ხელში.

ათასი ომი

მზე ლამანჩელის ჩაჩქანით თბება
და როსინანტი აგრძელებს რონინს,
ჭრილობა მაინც ჭრილობად რჩება,
გინდა, ათასი მოიგო ომი.

ხომ შეიძლება, მზე შეკრთეს უცებ –
ჩვენთვის თბილი და ჩვენით ამაყი,
ნუ ამოვუთხრით ჩვენს კოხტა ქუჩებს
პატარა სანგრებს, როგორც სამარხებს.

მე ჩემს ბელურას უბეში ვმაღავ,
ასე მგონია, ბორკილს ადებენ,
ნუ შევაშინებთ უწყინარ ქალაქს
პატარ-პატარა ბარიკადებით.

მზე ლამანჩელის ჩაჩქანით თბება
და როსინანტი აგრძელებს რონინს,
ჭრილობა მაინც ჭრილობად რჩება,
გინდა, ათასი მოიგო ომი.





რუბრიკისთვის "ნერილი მეგობარს" ზვიად გამსახურდიას ნერილი გურამ რჩეულიშვილისადმი შემთხვევით არ შეგვირჩევია. სწორედ ნელს ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან - 80 (1939-1993 წ.წ.), ხოლო გურამ რჩეულიშვილს - 85 (1934-1960 წ.წ.) ნელი შეუსრულებოდათ.

აღსანიშნავია, რომ ნერილი ზვიად გამსახურდიამ მწერლის გარდაქმნებიდან 10 წლის შემდეგ, სწორედ მისი დალუპვის დღეს, 23 აგვისტოს დაწერა: ესეუ არაა შემთხვევითი. "მონათესავე სულემს" შორის, როგორც ამბობს ავტორი, არასოდეს წყდება კავშირი, თვით გარდაქმნების შემდეგაც კი.

ნერილი იბითაწა განსაკუთრებული, რომ იგი დაინერა გავრამში, იმ სანაპიროზე, სადაც ათი წლის წინათ გურამ რჩეულიშვილი "შეება ზღვას" უწონი ქალიშვილის გადასარჩენად.

სწორედ რომ შედისნერთ გამორჩეული ორი დიდებული პიროვნების, მწერლისა და მამულიშვილის განხეხებით გვსურს, კიდევ ერთხელ დავარღვიოთ ჩვენს სულემში შემოპარული მყდროება, ბიურგერული თვითკმაყოფილება და გავიაროთ, რომ ისინი, მუდამ თანამედროვენი, თავიანთი სიტყვითა და კალმით დღესაც გვამდიდრებენ, გვაკეთილშობილებენ.

ზვიად გამსახურდიას ნერილი გურამ რჩეულიშვილს

1970 წელი



ზვიად გამსახურდია

ძვირფასო, ძმაო, გურამ!

აგერ, უკვე ათი წელია, რაც შენ აღარ დადისარ თბილისის ქუჩებში, მაგრამ ჩემთვის შენ უფრო და უფრო რეალური ხდები.

მახსოვს ის ზაფხული, ჩემთვის და შენთვის წყეული, მახსოვს ის იდუმალი ნოტა, რომელიც იმ დროს ჩვენ ურთიერთისკენ გვიბიძგებდა: ან რად ხდებოდა, რომ ჩვენ, პირობითობის, შაბლონური ეთიკის მოძულეებმა ვერ გადავვლახეთ ის პირობითი ზღვარი თუ მოჭადობებული წრე, რომელიც რაღაც მანქანებით გაჩხერილიყო ჩვენ ორ შორის? რა გვიშლიდა დაახლოებას ჩვენ, მონათესავე სულემს? რატომ ვერ გადაიზარდა მეგობრობაში ჩვენი რამდენიმე გულწრფელი შეხვედრა?

მახსოვს, შავებში დადიოდი. იმ ზაფხულსავე შავები გეწვია. როგორ კონტრასტს ქმნიდი ჭრელჭრულა ტანსარქმელში გამონყობილ, ერთფეროვან „დამსვენებლებს შორის!“ მახსოვს, ის შავი დღეები ზღვისპირა სასტუმროში, პირქუში ამინდი, სულისშემხუტველი ატმოსფერო, რაღაც იდუმალის, ზარდამყრემის მოლოდინი...

იმ დღეს დილით შემოგივლია ჩემთან. მე არ დავიხვდი, ჩემი სათაყვანებელი დედა დავიხვდა. გიკითხვიარ, სად არისო... შემდეგ ნასულობარ ამხანაგებთან ერთად.

შემდეგ? აღსრულებს: ქარიშხლიანი ზღვა... შენი ძებნა. რა მოხდა, როგორ შეიძრა ყველა!

განა მარტო ის, ვინც გიწინობდა?

განა მარტო შენი მეგობრები, რომელითა სასონარკვეთას ზღვარი არ ჰქონდა? უწინებები, შორეული ქალაქებიდან ჩამოსულიები გგლოვობდნენ, როგორც ახლობელს. მაშინ შევამჩნიე ერთი რამ, რასაც შემდგომში ბევრნი აღნიშნავდნენ. ნებსით თუ უნებლიეთ, ყველა შენი ნაწინობი, ახლობელი თუ შორეული, შენზე ღაპარაკისას ისე წარმოადგენდა საქმეს, თითქოს შენ მისი უახლოესი ადამიანი ყოფილიყავი.

წარმოიდგინე, მიერ ასე ვიყავი, მე, რომელიც მხოლოდ რამდენჯერმე შეხვდები რხოვრებაში. მაგრამ ის რამდენიმე შეხვედრა დაუვიწყარია ჩემთვის.

ბევრი ვიფიქრე ამ ამბავზე და ბოლოს, მე მგონი, მივხვდი, შენ მართლაც რომ უახლოესი ხარ თითოეულისთვის, ვინც, როგორც თუ ბევრად, ეზიარა შენი პიროვნების განუმეორებელ რეზნოს და ვინც ეს რეზნო ნაყიდა თავისი სულის პაჭრუქს. შენ, მართლაც, ყველას მახლობელი იყავი, ვინაიდან შენში ხედავდნენ ადამიანები თავიანთ უშინავანესს, შესაძლოა, უფრო მკაფიოდ გამოხატულს, ვიდრე თავად ვაჩინდათ.



შენ დაამსხვრიე ის ბორკილები, რომელსაჲ აჭარებდნენ სხვენი! შენ ვერ იგუე ის ბორკილები! შენში ხედავდა ყველა თავისთავს ბორკილების გარეშე; და უთუოდ, ეს იზიდავდა ყველას.

შენ ანსახიერებდი თავისუფლებას, რომელსაჲ ყველა მიელოცვის, წნობიერად თუ არაწნობიერად!

შენ წხოვრებისეული პარადოქსებით ამსხვრევდი მეშჩანური მორალის დოგმებს; შენ, გარეგნულად თითქოს ქაოტური, თავად იყავი უდიდესი შინაგანი ნესრივით აღსავსე!

შენი უარყოფით აძლიერებდი ყოფას; შენ, თითქოსდა მოჩვენებითი დისონანსი, თავად იყავი განსაჯვიფრებელი ჰარმონია!

მოდავე, მქირდავი, თან – შემწყნარებელი, მამხილებელი, დამდგომი, თან – მიმტყვევებელი, ელვასავით ფიქვი და თან – კრავივით თვინიერი; ზოგჯერ თითქოს უხეში, თითქოს სასტიკი,



გურამ რჩეულიშვილი

მავრამ, ამავე დროს, გულოჩვილი და ზავშვივით მიაძიტი.

მახსოვს შენი თვალების წერხლი, მახსოვს შენი შეუდარებელი, ქასავით კრიალა ლიმილი, შენი გააფთრება, შენი მჭექარება; მახსოვს, ამავე დროს, შენი დინჯი ჟესტები, რომელნიჲ შენ გამშვენებდნენ, როგორჲ ჭეშმარიტ იბერიელს. უთუოდ შენზეა ნათქვამი: „ვაჟკარი ამო-გემო სჯობს, რო გაჭირდება მჭეხარი“.

მთელი შენი წხოვრებით შენ ახორციელებდი თავისუფლების იმპულსს, ხოლო შენი სიკვდილით გვიჩვენე ყველას მაღალი თავგანწირვის უნარი!

დღეს 23 აგვისტოა. ზეღმა ისურვა, რომ მე ამ დღეს კვლავ შავი ზღვის პირას შევხვდე, იმ ადგილის მახლობლად, სადაჲ შენ შეეზი ზღვას. მთელი დღეა, ვფიქრობ შენზე. ეს დღე რატომღაჲ შენს ასოჯიარას აღმიძრავს; მას საოჯარის დამაჯერებლობით ჰქვია შენი სახელი. და მართლაჲ: საღამოს ვგებულობ, რომ სწორედ ეს დღე ყოფილა დღე შენი აღსასრულისა და მეჲ ვნერ ამ წერილს.

განუყრელი გახდა შენი ხატი აზობოქრებულ ზღვასთან, შავი ზღვის პირქუშ, უწყალო ამინდთან. ასევე განუყრელია შენი სული ალავერდის დიდებულ ჭაძართან, რომლის სიმალლიდან შენ გადმოანათე კახეთის ველებს. განუყრელია შენს სახელთან დიდებული კახეთი, ალაზნის ველის მაღლიანი დარი, რომლის მყუდროებაჲ ერთ წხელ ალავერდობას შენ დაარღვიე, წხენზე ამხედრებულო ელვავ!

წმინდა გიორგის ხატივით გაზრწყინდი მაშინ ჭაძრის გუმბათზე და ღანახე საქართველოს შენი სულის მაღალი წვა. ეგ წვა ჩვენჲ გვინათებს და შენჲ, უკვდავებისმიერო ძმაო!





პრადოს მუზეუმი 200 წლისაა



პრადოს მუზეუმი. მადრიდი

პრადო – ესპანეთის ყველაზე დიდი და მთავარი ეროვნული მუზეუმი, სადაც XII ს.-დან XX ს.-ის დასაწყისამდე შექმნილი ევროპული მხატვრობის ნიმუშებია წარმოდგენილი. პრადოს შესანიშნავი ფერწერული გალერეა შედგება 8600 ნახატისგან (ადგილის სიმცირის გამო მხოლოდ 2000-ია წარმოდგენილი). მუზეუმს 5000-მდე მონახაზის, 2000-მდე ანაბეჭდის, 1000-მდე მედლისა და მონეტის და 700-ზე მეტი სკულპტურული ნამუშევრის უზარმაზარი კოლექცია გააჩნია. მიმდინარე 2019 წელს შესრულდა პრადოს გახსნიდან – 200, ხოლო მისი ნაციონალურ მუზეუმად გამოცხადებიდან – 150 წელი.

„მთელი მადრიდი მუზეუმია. დადიხარ ქუჩებში და ხვდები, რამდენად დიდ კულტურასა და თუ ისტორიას ინახავს ქალაქი. რთულია, გადმოსცე, რას გრძნობ, როდესაც პრადოს ათვალე რებ – ის მსოფლიოს ერთ-ერთი უპირველესი მუზეუმთაგანია, სადაც სამყაროს უდიდეს მხატვართა გვერდით გამოფენილია დიდ ესპანელ ფერმწერთა ნამუშევრები. თუმცა, ფრონტონებიან შესასვლელთან მნახველს მხოლოდ ერთი ესპანელი მხატვრის ქანდაკება ეგებება – ედუარდ მანეს ხატოვანი თქმით, ესაა „მხატვართა მხატვარი“ დიეგო ველასკესი – უდიდესი ესპანელი რეალისტი“, – ასე გადმოგვცემს პრადოს შთაბეჭდილებებს მწერალი დათო ტურაშვილი.

რეკონკისტა,* როგორ დადებითი მოვლენა

ესპანეთის მატთანში უდიდესი როლი შეასრულა რეკონკისტმა, რომელიც რამდენიმე საუკუნე გრძელდებოდა. სწორედ რეკონკისტის დროს დაარსდა ლეონის სამეფო, კასტილია, არაგონი, რომლებიც მოგვიანებით გაერთიანდნენ და სათავე დაუდეს ესპანურ სახელმწიფოს. ესპანეთის მონარქიამ, გათავისუფლების შემდეგ, დაიწყო სხვადასხვა დაპყრობითი გეგმის განხორციელება. ესპანელებმა პირველებმა აღმოაჩინეს ახალი ქვეყნები, დაიქვემდებარეს ნიდერლანდები, მტკიცედ დადგეს ფეხი ნეაპოლში.

ქვეშევრდომი ქვეყნებიდან ესპანეთში შემოვიდა საუკეთესო ფერწერული ნამუშევრები. მადრიდში აღმოჩნდა ბელინის, მონტენის, ტიციანის, ვერონეზეს, ბოსხისა და პატინორის ტილოები.



„კარლოს I“. ტიციანი ვენეცი

მეფეს როჯა მეფე რვლიდა

საუკუნეების განმავლობაში ესპანეთში, გარდა მონარქებისა და ეკლესიისა, არ იყვნენ ხელოვნების ნიმუშებისა და მხატვრული კოლექციების მსხვილი შემკვეთები და შემგროვებლები. ტრადიციის მიხედვით მონარქის სიკვდილის შემდეგ მის მიერ შეძენილი ფერწერული ტილოების კოლექცია იყიდებოდა, ხოლო ახალი მეფე ახალ ნამუშევრებს იძენდა. ამიტომ დღევანდელ პრადოში ვერ ნახავთ ნახატებს, რომელიც კასტილიის მეფეებს ეკუთვნოდათ.

* – ესპანეთის ბრძოლა არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ.



პრადოს მუზეუმს საფუძველი ჩაეყარა XV ს.-ში, ესპანეთის გაერთიანების ეპოქაში. პირველი მონარქი, რომელმაც გადანყვიტა, თავისი მხატვრული კოლექციები გადაეცა მემკვიდრისათვის, ფილიპე II-თვის (XVI ს.), იყო ესპანეთის მეფე კარლოს I. აქედან იწყება მუზეუმის ისტორია. ფილიპე II შეუდგა იტალიელ და ნიდერლანდელ ოსტატთა ნამუშევრების შეგროვებას; კარის მხატვრად მოიწვია ალორძინების ეპოქის დიდი იტალიელი ფერმწერი ტიციანი. ასე აღმოჩნდა ესპანეთში ტიციანის ნამუშევრების შესანიშნავი კოლექცია (72 ტილო). მდიდარი მხატვრული გალერეაც ფილიპე II-ს დროს შეიქმნა. სწორედ ამ მეფეს უნდა უმადლოდეს მუზეუმი, რომ დღეს მსოფლიოში ნიდერლანდელი ბოსხის ნანარმოებების ყველაზე დიდ კოლექციას ფლობს მადრიდი.

ხელოვნების უცოდინარმა ფილიპე III-ემ, ახალი ტილოების შექმნის ნაცვლად წმინდა რომის იმპერატორს აჩუქა კარავაჯოს ნახატი.

ეს დანაკლისი შემდგომში შეავსო ფილიპე IV-ის (XVII ს.), მხურვალე კოლექციონერის მიერ შექმნილმა რუბენსის, იორდანსისა და ვან დეიკის დიდებულმა ნამუშევრებმა. მისი უშუალო დავალებით, კარის მხატვარი, დიდი ველასკესი გაემგზავრა იტალიაში, რათა იქ სამეფო კოლექციისთვის შეეძინა ტილოები.

ამავე პერიოდში ესპანეთის სამხატვრო გალერეა გამდიდრდა რუბენსის დიდებული ტილოებით (მხატვრის სიკვდილის შემდეგ ამ ტილოებს ჰყიდდა მისი ქვრივი).

XVIII ს.-ში ესპანეთში ჰაბსბურგები შეცვალა ბურბონთა დინასტიამ. ფილიპე V-მ და მისმა მეუღლემ, კლასიციზმის თაყვანისმცემლებმა, შეიძინეს ანტიკური ქანდაკებების მსხვილი კოლექცია. ასევე, ესპანელ, იტალიელ და ფრანგ ფერმწერთა ნამუშევრები. ამ მონარქისგან ესპანეთის სამეფოს დარჩა საოცრად ღირებული „დოფინის განძი“, რომელიც 169 ძვირფასი საყოფაცხოვრებო ნივთისგან შედგებოდა (დღეს ყველაფერი ინახება მუზეუმის სარდაფში).

ესპანელ მეფეთა პირადი კოლექციებით მომავალი მუზეუმი თანდათან ივსებოდა საუკუნეთა მანძილზე შეგროვებული უდიდესი ფერწერული ტილოებით.



„დედოფალი იზაბელა დე ბრაგანსა“. ბერნარდო ლოპე

შეთავაზებული „სასეირნო მდელი“

პრადოს დამახასიათებელ ნიშნად დღემდე რჩება მის კოლექციებში სარკესავით არეკლილი სხვადასხვა მონარქის გემოვნება და ხელოვნების სფეროში მათი პოლიტიკა.

სპეციალური შენობის აგებამდე სურათების კოლექცია ინახებოდა ესკორიალსა და ალკასარში (მეფის სასახლეებში) და მონადირის ციხე-კოშკ პრადოში. კარლოს III-მ იწვია, ქალაქელებისთვის შეეთავაზებინა საკადრისი საჯარო სივრცე-ელ პრადო, ანუ „სასეირნო მდელი“. ლოპე დე ვეგასა და კალდერონის კომედიებში არის მთელი რიგი სცენები, რომელთა მოქმედების ადგილი სწორედ ეს მინდორია.

კარლოს III-ს დროს მუზეუმში ესკორიალიდან შევიდა ერთბაშად 101 ტილო. მისი შვილი კარლოს IV გამოირჩეოდა კარგი გემოვნებით და იმითაც, რომ მხარს უჭერდა დიდ ფრანცისკო გოიას, რომლის ნამუშევრებმა პრადოს მსოფლიო დიდება მოუტანა.

ოთხშაბათი და პირველი დამთვალიერებელი

**„მენინები“. დიეგო ველასკესი**

1819 წლის 19 ნოემბერს საზეიმოდ გაიხსნა მხატვრობისა და ქანდაკების სამეფო მუზეუმი, სადაც 311 ნახატი (1626 ნახატიდან) იყო წარმოდგენილი. სწორედ მაშინ ეწოდა მუზეუმს საბოლოო სახელი – პრადო,

მუზეუმმა მიიღო პირველი დამთვალიერებელი; კარი ღია იყო მხოლოდ ოთხშაბათობით და მხოლოდ დიდგვაროვნებისთვის (რადგან ყველა ექსპონატი მონარქისა იყო), დანარჩენ დღეებში მხატვრები და ხელოვნების სპეციალისტები დაიშვებოდნენ საგანგებო საშვებით.

მუზეუმის დაარსების შთამაგონებელი იყო ფერდინანდ VII-ის მეორე ცოლი დედოფალი იზაბელა დე ბრაგანსა, რომელიც, სამწუხაროდ, ვერ მოესწრო მის გახსნას. მხატვარმა ბერნანდო ლოპეს პორტანმა შექმნა დედოფლის სიკვდილის შემდგომი პორტრეტი, სადაც ტილო, ხსოვნის გარდა, მეტყველებს იმ როლზე, რაც მას მიუძღვის პრადოს მუზეუმის შექმნაში.

შემდეგ მუზეუმზე ზრუნავდა ფერდინანდ VII-ის ახალი მეუღლე – დედოფალი მარია ხოსეფა ამელია საქსონელი. მას უნდოდა, იგი ისეთი ყოფილიყო, როგორც მამამისს ჰქონდა დრეზდენში.

მართალია, ფერდინანდ VII-ის მმართველობა არ შესულა ისტორიაში, როგორც წარმატებული მონარქის ეპოქა, მაგრამ სწორედ მაშინ დაარსდა დიდებული პრადო.

„ოქროს საუკუნე“, რომელიც წინ უძღოდა ველასკესის გამოჩენას, წარმოდგენილია რიბერის, სურბარანისა და მურილიოს ტილოებით.

გენიალური ველასკესი და გოია

ესპანეთის ერთ-ერთი უდიდესი მხატვარი, სეველიელი დიეგო ველასკესი სამეფო ოჯახისა და სხვა დიდებულების პორტრეტებს ქმნიდა. მისი მეცენატი და მფარველი იყო ფილიპე IV, რომელსაც აინტერესებდა იტალიური აღორძინების პერიოდის ნიმუშები. როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, მეფემ ველასკესი იტალიაში მიავლინა, რათა მას შეესყიდა სურათები სამეფო კოლექციებისთვის.

ასე მოხვდა მადრიდში ისეთი შედეგები, როგორიცაა ანდრეა მონტენის „ღვთისმშობლის მიძინება“, რაფაელის „სიცილიის სპაზიმი“, ტიციანის „ბაკქანალიები“ და ვერონეზეს „ვენუსი და ადონისი“.

მხატვრის კარიერა ხანგრძლივი არ აღმოჩნდა; მეფის ქორწილისთვის პავილიონის მოხატვისას ციებ-ცხელება შეეყარა და მალევე გარდაიცვალა. დაკრძალეს ბაუტისტას ეკლესიაში, თუმცა დღეს მისი საფლავი დაკარგულია.

ველასკესის საკულტო ნამუშევარი, ცნობილი შედეგრი „მენინები“ (მენინები – ინფანტას

სეფექალები არიან, რომელთა სახელი დაერქვა ტილოს) აღტაცებას იწვევს მნახველში.

მხატვარი გამოხატავს საკუთარ თავს სამეფო სასახლის ინტერიერში, პალიტრით ხელში. იგი სიამაყით მიგვანიშნებს თავის, როგორც ხელოვანის, მნიშვნელობაზე.

აღსანიშნავია, რომ ალკასარში გაჩენილ ხანძარს „მენინები“ მხოლოდ იმიტომ გადაურჩა, რომ მეფე მას ინახავდა პირად აპარტამენტში, სადაც ყველაზე ბოლოს მოედო ცეცხლი.

პრადოს მუზეუმის დიდი განძია გენიალური ფრანცისკო გოიას ნამუშევრები.

**„ქოლგა“. ფრანცისკო გოია**



ფრანცისკო გოიას მხარს უჭერდა კარლოს IV. მართალია, იგი სამეფო კარის მხატვარი იყო, მაგრამ არასდროს მლიქვნელობდა მეფეთა წინაშე. მის პორტრეტებში ცინიზმი და უნდობლობაც კი ჩანს მონარქთა მიმართ. ასი წლის შემდეგ თითქოს თავისი წინამორბედის – ველასკესის „მენინებს“ ეხმიანება გოია, როცა ვხედავთ კარლოს IV პორტრეტის სიღრმეში გამოსახულ მის საკუთარ გამოსახულებას.

„დიდებული რევოლუცია“

1833 წელს მოხდა სამეფო კოლექციების პირველი სრული აღწერა-ინვენტარიზაცია; ამის საფუძველი გახდა ის, რომ მეფე ფერდინანდ VII-ის გარდაცვალების შემდეგ მონარქის მემკვიდრეობა უნდა განაწილებულიყო მის ორ ქალიშვილზე. საბედნიეროდ, მეფის ანდერძში იყო მითითებული, რომ მემკვიდრეობა არ ექვემდებარებოდა გაყოფას. ამიტომ, დედოფალმა მიაღწია რა სრულწლოვანებას, დას მისცა კომპენსაცია; მოგვიანებით კი, 1865 წელს გამოსცა ბრძანება, რომ მემკვიდრეობით დარჩენილი მათი კერძო კოლექციები (ეხებოდა ფერწერას და სკულპტურას) ცხადდებოდა ესპანეთის სამეფოს საკუთრებად.

ეს იყო მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

უკვე ე. წ. „დიდებულმა რევოლუციამ“ დასაბამი მისცა ესპანეთის ექვსწლიან დემოკრატიას. დედოფალი ჩამოაგდეს და გადაასახლეს, ხოლო სამეფოს ქონება გამოაცხადეს სახელმწიფოს საკუთრებად. 1869 წელს მუზეუმს ეწოდა ნაციონალური, ხოლო მნახველთათვის დაწესდა 5 დღე კვირაში (წვიმიან დღეებში მუზეუმს კეტავდნენ, რომ არ დასვრილიყო).

მუზეუმის ფონდს შეემატა ბაიუეს, კასტილიოსა, და რაც მთავარია, გოიას ნახატები, შპალიერისთვის განკუთვნილი, რომელიც მანამდე სარდაფში ინახებოდა და არა ერთხელ ყოფილა ძარცვის ობიექტი.

ეს იყო მუზეუმის ბოლო დიდი რაოდენობისა და ხარისხის ნახატების შენაძენი. საქმე ეხება სამეფო კოლექციებს, რომელსაც მონარქების ორი დინასტია, ხელოვნებით დაინტერესებული, აგროვებდა 4 ასწლეულის მანძილზე.



„დოფინის საგანძური“



„დოფინის საგანძური“

მათი შემონირულობით

ყველაზე მსხვილი საჩუქრებიდან გამოვყოფთ გოიას ე.წ. „პირქუმ ნახატებს“, რომელიც ბარონმა ემილ დე ერლანჟემ აჩუქა პრადოს მუზეუმს. ეს იყო კედლის მხატვრობა, რომელიც ხელისუფლებისგან დევნილმა მხატვარმა მადრიდის გარეუბანში მდებარე საკუთარ სახლში შექმნა. გოიას სახლის შეძენის შემდეგ ერლანჟემა ოსტატებს დაავალა, ნახატები კედლიდან ტილოზე გადაეტანათ. ბარონის გასაკვირად, ტილოებს მყიდველი არ გამოუჩნდა. იმედგაცრუებულმა ერლანჟემ 1881 წელს ნახატები გადასცა ესპანეთის მთავრობას, თუმცა მაშინ იგი მნიშვნელოვნად არავის ჩაუთვლია. დღეს კი გოიას შემოქმედება პრადოს მუზეუმის კოლექციების ბირთვს წარმოადგენს.

მსხვილ შემომწირველთა შორისაა ბასკური წარმოშობის მექსიკელი რამონ დე ერასი, კატალონიელი ფინანსისტი პაბლო ბოსკი, ესპანელი პედრო დურანი, კატალონიელი დევნილი ადვოკატი და პოლიტიკოსი ფრანცისკო კამბა და სხვა. ფერწერულ ტილოებთან ერთად მათ მუზეუმს უანდერძეს მედლებისა და მონეტების მდიდარი კოლექცია, მრავალი ქანდაკება, ავეჯი, აბჯარი, ქსოვილი, უამრავი წიგნი...

პრადოს უკავშირდება პაბლო პიკასოს სახელი; მისი ბევრი ნამუშევარი ამშვენებს მუზეუმს. აღსანიშნავია, რომ 1936 წელს მხატვარი დაინიშნა პრადოს დირექტორად, თუმცა არც ერთი დღე არ უმუშავია.

1981 წელს მუზეუმში შევიდა პაბლო პიკასოს „გერნიკა“. რომელიც მხატვარმა 1937 წელს, რესპუბლიკური მთავრობის დაკვეთით, შექმნა პარიზის გამოფენისთვის (დღეს ის დედოფალ სოფიას ხელოვნების ცენტრშია). მალე მუზეუმს შეემატა პიკასოს სხვა ნახატებიც.



„მაგალინა“. ელ გრეკო

ალსანიშნავია გოიას ტილო „მარკიზა სანტა კრუსის პორტრეტი“, რომელიც 1983 წელს უკანონოდ გაიტანეს ქვეყნიდან. ესპანეთის მთავრობამ შესძლო, „კრისტის“ აუქციონზე მღწ. დოლარად შეეძინა და სამშობლოში დაებრუნებინა ნამუშევარი.

არ შეიძლება, არ ვახსენოთ მანუელ ვილიაესკუსი, მადრიდელი ადვოკატი, რომელმაც მთელი თავისი უზარმაზარი უძრავი ქონება და ბიზნესი პრადოს მუზეუმს უანდერძა პირობით, რომ დირექცია შემდგომშიც შეიძენდა პირველი კლასის მსოფლიო ხელოვნების ნაწარმოებებს.

დღემდე კერძო შემომწირველები ავსებენ პრადოს მუზეუმს.

ტრაგიკული თარიღი

1936 წლის 18 ივლისი ერთ-ერთი ტრაგიკული თარიღია პრადოს ისტორიაში. დაიწყო სამოქალაქო ომი, რომელიც 3 წელი გრძელდებოდა. 5 ნოემბერს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, კოლექციები გადაემაღათ ვალენსიაში.

22 რეისით მადრიდიდან გაიტანეს გამორჩეული ნაწარმოებები და მთლიანად „დოფინის საგანძური“ (ჯერ ვალენსიაში, შემდეგ კი – ბარსელონაში). მალე შეუფასებელი შედეგები ევაკუირებულ იქნა ჟენევაში, ერთა ლიგის შტაბ-ბინაში (მოენყო გამოფენა ჟენევის ხელოვნებისა და ისტორიის მუზეუმში).

5 სექტემბერს, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ორი დღით ადრე, ხელოვნების ნიმუშები ღამის მატარებლით, საფრანგეთის ტერიტორიის გავლით, სამშობლოში დააბრუნეს.

ესერ ხდებოდა...

პრადოში იყო ძარცვის რამდენიმე წარუმატებელი შემთხვევა; 1918 წლის 20 სექტემბერს დაიკარგა „დოფინის საგანძურის“ 18 ექსპონატი. 12 დღის შემდეგ რამდენიმე თანამზრახველთან ერთად დააკავეს მუზეუმის თანამშრომელი რაფაელ კობა, მთავარი ეჭვმიტანილი. ცნობილი გახდა, რომ ერთ-ერთი ექსპონატი ლომბარდში მან 150 პესეტად ჩააბარა.

1961 წელს ქურდი ეცადა სახურავიდან ჩამოსვლას, დაეცა და გარდაიცვალა. ჯიბეში სურათების დაბრუნების პირობების ჩანაწერი ჰქონდა.

მისი უდიდესულოსოზა – ხელოვნება

პრადოს კოლექციებში, უპირველესად, ასახულია სამეფო კარის ცხოვრება, სადაც უდიდეს ხელოვანთა მიერ გაცოცხლებულია დიდებულთა და მეფეთა სახეები. თუმცა, დრომ, შედეგებთან ერთად უკვდავყო მათი შემსრულებელნი.



პრადოს ერთ-ერთი დარბაზი

ცნობილია, რომ პორტრეტისთვის პოზირების დროს მხატვრებსა და მონარქებს შორის ხშირად ახლო მეგობრობაც კი ყალიბდებოდა. ამაზე გვიამბობს ცნობილი ანეკდოტი – როგორ დაიხარა კარლოს პირველი ფუნჯის ასაღებად, როცა იგი ტიციანს ხელიდან გაუვარდა. ფაქტია ისიც, რომ ამქვეყნიურ ცხოვრებას მონასტერში განრიდებულმა მეფემ თან მხოლოდ ტიციანის რამდენიმე ტილო წაიღო.

მადრიდის მუზეუმი ესპანური ფერწერის ერთადერთი საგანძურია მსოფლიოში, რადგან სხვაგან ცოტაა ესპანელი მხატვრების ნამუშევრები. მხოლოდ აქ შეგიძლიათ, სრულად გაეცნოთ ველასკესის, ელ გრეკოს, სურბარანის, გოიას შემოქმედებას.



„მე დღესაც ვერ წარმომიდგენია, რომ რომელიმე ენაზე შეიძლება არსებობდეს წიგნი, რომელიც უფრო მეტად უწყობდეს ხელს პატარა ადამიანის ზნეობრივი და პატრიოტული შეგნების განვითარებას, ვიდრე გოგებაშვილი „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“, – წერდა დიდი მეცნიერი გერონტი ქიქოძე.

ძველი ბერძნები შავ ზღვას ხან „პონტოს ავქსეინოს“, ანუ „სტუმართმოძულე ზღვას“ და ხანაც „პონტოს ევქსეინოს“, ანუ „სტუმართმოყვარე ზღვას“ უწოდებდნენ.

შესანიშნავი პედაგოგის, პუბლიცისტისა და პოეტის – სიმონ სხირტლადის ბინა იმითაც იყო გამორჩეული, რომ აქ ხშირად სტუმრობდა დიდი გალაკტიონი. კარს ხმაურით შეაღებდა: „გაუმარჯოს დაბალ ჭერსა და მაღალ სულს!“ როდესაც სიმონის ბინაში რემონტი გააკეთეს, სახლის პატრონმა უკვე საკმაოდ მოძველებული კარის სახელურები არ შეცვალა, გალაკტიონის ხელშეწევით.

ჩვ.წ.ალ.-მდე საფრანგეთის დედაქალაქს ერქვა – ლუტეცია; პარიზი მას უფრო მოგვიანებით დაერქვა.

ფუტკრებმა 500 გრამი თაფლის დასამზადებლად 2 მილიონი ყვავილის ნექტარი უნდა შეაგროვონ.

გული არ დანყდესო და ლევ ტოლსტოის მეუღლე ქმარს უმაღავდა იმ გაზეთებს, სადაც დიდ მწერალს დაუნდობლად აკრიტიკებდნენ.

ამპელოთერაპია – ყურძნით მკურნალობაა, რომელსაც ჯერ კიდევ ძველი ბერძნები მიმართავდნენ (სასარგებლოა არამარტო ახალი ყურძენი, ჩამიჩიც).

სიცოცხლის ბოლო წლებში ივანე ჯავახიშვილი ხშირად ავადმყოფობდა. ექიმმა მას დიეტა დაუნიშნა და ურჩია, ყოველდღიურად ეჭამა საქონლის ტვინი. ამ პროდუქტს მისთვის მეუღლე – ანასტასია ორბელიანი ყიდულობდა. ერთხელაც ყასაბი გახუმრებია, ვინ გყავს სახლში ასეთი უტვინო, ამდენ ტვინს რომ ყიდულობო?

„აფხაზებს ერთი უცნაური ჩვეულება აქვთ მარულის საქმეში: თავად კარგ ცხენზე, ტაიჭებზე შემოსხდებიან, მაგრამ ჩვეულებრივ, სატალახო ჯაგლაგზე პატარა ბიჭუნას შესვამენ და შეჯიბრში მიაღებინებენ მონანილეობას; მერე, როცა დაინახავენ, რომ ეს ცხენი ჩამორჩა, თავად წამოუნევიან ყიჟინით, ბიჭს ხელიდან გამოგლეჯენ ალვირს და მიათრევენ ჰელომდის ცხენს“, – წერს კონსტანტინე გამსახურდია.

გადმოცემის თანახმად, IX-XII ს.ს.-ში ევროპაში საფოსტო მტრედის ღირებულება არაბული ცხენის ფასს უდრიდა; ეგვიპტეში კი წყვილი მტრედი 1 000 ოქროს დინარი ღირდა (დღევანდელი ეკვივალენტით, დაახლოებით 15 000 დოლარი).

დღე-ღამის განმავლობაში ადამიანის სხეულში ნახევარი ტრილიონი სისხლის უჯრედი კვდება, რათა ახალწარმოქმნილ უჯრედებს დაუთმოს ადგილი.

მუზმუზელა ჰქვია ქვეშევეშა, ეშმაკ, გაქნილ ადამიანს.

ფრანც შუბერტის ცხოვრებაში ხშირად იყო შემთხვევა როცა მას მელიოდია ესიზმრებოდა, რომელიც გაღვიძებისთანავე სანოტო რვეულში გადაჰქონდა. ამიტომ ის სათვალეს ძილის დროსაც არ იხსნიდა.

ცოცოფობია – ულამაზო ადამიანების შიშია.

ბერი პაისი მთანმინდელი წერდა: „სიხარული, რომელსაც გრძნობს ადამიანი ნივთიერი შესანიშნავი მიღებისას, ადამიანური სიხარულია, ხოლო, რომელსაც გაცემისას გრძნობს, ღვთიური. ღვთიური მოდის გაცემით“.

რომში არის ტიტუსის ტრიუმფალური თალი, რომელიც დაიდგა ჩვ.წ.ალ.-მდე 81 წელს. მის სანახავად უამრავი ტურისტი იყრის თავს. მაგრამ ერთადერთი ერის ხალხი, რომელიც ახლოს არ ეკარება და არც მის ქვეშ გადის, ეს ებრაელი ერია. ეს იმიტომ, რომ ტრიუმფალური თალი აიგო რომაელთა მიერ იერუსალიმის ტაძრის დანგრევისა და იუდეველთა აჯანყების ჩახშობის აღსანიშნავად.



იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“. პირველი გამოცემა. 1876 წ.



ტიტუსის თალი



ძვირფასო ყმანვილებო!

“ივლიქანს” პირობა არ დაურღვევია: ჩვენ ერთად ვფურცლავდით სულობან-საბა ორბელიანის “სიცივის კონას” (“ლიქსიკონი ქართული”) და იქიდან “კენკავდით” დრო-ჟამისგან მივინყებულ ულამაზეს სიცივეს. ეს საინტერესო პროექტი დავინყეთ 21-ე ნომრის გვერდებიდან. დღეს თქვენ ხელში გიჭირავთ უყრნაღის რიგით 44-ე გამოცემა და ერნობით ქართული ანბანის უკვე უკანასკნელი ასოების მწკრივიდან (ჟ-ჰ) შერჩეულ საბასეულ ნიმუშებს.

ზუსტად აღნიშნავდა დიდი კონსტანტინე გამსახურდია: “საბა ორბელიანი თავისი უნივერსალური განსწავლულობით ძლიერ მოგვავიწმინდა ფრანგ ენციკლოპედისტებს. თავისი ეპოქის უბრუნებლად კარმა დასთმო ყოველივე პირადული და ზოლოს იგი ისევე გაუბედურდა, როგორც მისივე ქვეყანა”.

— ჯ - ჰ —

- ჯაბანი** – ომში მოშიშარი
- ჯავარი** – ქართულად ჭადარი ჰქვიან
- ჯალამბარი** – დიდი ქვის მალლა ასატანი ლატანი
- ჯამაგირი** – წლითი-წლად სარჩო
- ჯენჯო** – ცხელი ჭურჭლის გარდმოსადგმელი შალი
- ჯიბუკი** – დიდი ლურსმანი (სამსჭვალი)
- ჯიდაო** – ცხენის კისრის დასასრული
- ჯინჯიხი** – მდულარესა და თბილის საშუალი
- ჯიროლა** – პატარა ბელელი

- ჯირჯვი** – ძალად დასივებული
- ჯილა** – დიდებული თავსარჭობი
- ჯიჯგინი** – უშვერი ლაპარაკი
- ჯოლბორდი** – ისრის მთლელი
- ჯორჯი** – უსუფთაო
- ჯოჯგანი** – ტივის საპოხე (სანიჩბე) სვეტი
- ჯოჯოხეთი** – საუკუნო გამოუსვლელი
- ჯუბა** – სამოსელი პერანგივით
- ჯუბაჩა** – მოკლე ჯუბა
- ჰანი** – ბებია, მამის დედა
- ჰუპა** – ამზიდე

ვითად ცნობილი ყადი*

იგავი

სულობან-საბა ორბელიანი

იყო ერთი ღარიბი გლეხი, რომელსაც ძალზე გამხდარი ვირი ჰყავდა. ერთ დღესაც ვირი გაეპარა პატრონს და მთაში წავიდა გასასუქებლად. გასუქდა და ისევ თავის პატრონს დაუბრუნდა. გაიხარა გლეხმა და ცოლს უთხრა:



- გამზადე საფქვავი, ავკიდოთ ვირს და შენც გაჰყევი წისქვილში! ცოლი დაფიქრდა:
 - ხომ ხედავ, რა ჭკვიანი ვირი გვეყოლია, მთიდან როგორი გასუქებული დაგვიბრუნდა. წისქვილში მარტო წასვლასაც შესძლებს და დაფქვასაც.
 - ბრიყვმა კაცმა დაუჯერა ბრიყვ ცოლს, საფქვავი გადაკიდა ვირს და ეზოდანაც გააგდო. გამოხდა კვირა. ვირი, რა თქმა უნდა, არ გამოჩნდა. სახედრის პატრონი მივიდა მენისქვილესთან და ჰკითხა:
 - შენთან ვირი გამოვაგზავნე საფქვავეთან ერთად და სად არის? მენისქვილემ გაიკვირვა:
 - ვინ გამოაყოლე?
 - ვირის პატრონმა დამაჯერებლად უპასუხა:
 - ჩემი ვირი ისეთი ჭკვიანია, არც არავინ ჭირდებოდა! მენისქვილე ცოტა ეშმაკუნა იყო; გლეხის სიბრიყვეს მიუხვდა. ცოტა მოშორებით სხვა ქოსა მენისქვილე ეგულებოდა, ძალზე გაიძვერა და მასთან მიასწავლა.



- აქ რიგმა არ მოუწია და მასთან გავაგზავნე! - უთხრა. იცოდა, რომ მისი ნაცნობი მენისქვილე ტყუილებით თავბრუს დაახვევდა გლესს. მივიდა კაცი იმ ქოსასთან და ყველაფერი უამბო. ის, რა თქმა უნდა, არ დაიბნა:

- მართალია, შენი ვირი იყო ჩემთან, საფქვავიც დაფქვა; შენი ვირით გონიერი სახედარი მე არასოდეს შემხვედრია. ამ დროს გამოიარა შავ ჯორზე ოქრო-ვერცხლით აჯორჯლილმა კაცმა; შენმა ვირმა იმ კაცის ჯორი და სამკაულები თავისი ფქვილით იყიდა, მერე მოაჯდა მას და გეზი ზანგისკენ* აიღო. თურმე იქაური ყადი მომკვდარა და მის ნაცვლად ახლა შენი ვირია მსაჯული. თუ ჩახვალ ზანგაში, შენს ვირსაც იქ ნახავ. მართლაც, ბრიყვმა კაცმა ყველაფერი დაიჯერა. ჩავიდა ზანგაში და, რას ხედავს: ოქროთი აკაზმულ შავ ჯორზე ზის ყადი.

შეეკითხა მას:

- მე ვერ მიცანი?

აბა, რას იცნობდა და არაფერი უპასუხა. გლესი ისევ ჩაეკითხა:

- როგორ, შენ ხომ ჩემი ვირი ხარ, ასე მალე რამ გაგაამაყა?

ეს რომ იქ მყოფთ გაიგეს, ფეხქვეშ მოიგდეს ბრიყვი კაცი და მაგრად მიბეგვეს. ბოლოს გარეთაც გაისტუმრეს. ნაცემი გლესი საჩივრელად მოსამართლესთან წავიდა:

- აქ იმიტომ ჩამოვედი, რომ დავიბრუნო ვირი, რომელიც სახლიდან გამეპარა, მერე მან საფქვავი ჯორში გაცვალა და ახლა ჩემი ვირი აქ ყადად ზის.

ამ საუბარს ის ყადიც ესწრებოდა:

- რას ამბობს ეს კაცი?! ნუთუ ვერავინ მცნობს? ჩემი წინაპრებიც აქ ცხოვრობდნენ და მეც აქაური ვარ! თავიდან მოიშორეთ ეს ბრიყვი!

გლესი ისევ ალაპარაკდა:

- მოსამართლე, ჩემს ვირს ორივე ბარკალზე დალი ჰქონდა. ახლა მიდით ამ ყადთან; თუ ეს ნაიარევი მას ექნება, ეს მსაჯული ჩემი ვირი ყოფილა და დამიბრუნეთ; თუ არადა, მაშინ მე გავმტყუნდები!

მსაჯულს თურმე ნიკრისის ქარის გამო ორივე ფეხზე მართლაც ჰქონია დალი. ჩახადეს ნიფხავი და ნათქვამში დარწმუნდნენ. ასე გამტყუნდა ყადი და გამართლდა ბრიყვი გლესი. ყადი, როგორც საკუთარი ვირი, გადასცეს კაცს.

გლესმა უთხრა მსაჯულს:

- შენ ხომ ის ვირი ხარ, მთაში რომ გასასუქებლად წახვედი. ახლა აქ რომ დამჯდარხარ ყადად, გეგონა ვერ მოგაგნებდი?!

მსაჯულმა ხვეწნა დაუნყო ბრიყვს:

- ჩემთან რა ხელი გაქვს? შენც იცი, რომ რეგვენობით ვერაფერს მიაღწევ. ჩემი ჯორიც წაიყვანე თავისი ოქრო-კაზმულობით და მეც თავი დამანებე! შენს დაკარგულ ვირს ხომ სჯობია ჩემი და მეც ნუ მარცხვენ!

ასე შეაძლია ქრთამად ჯორი თავისი კაზმულობით. ბრიყვი თავისას მაინც არ იშლიდა:

- ეს ჯორი ჩემი ფქვილით გიყიდა! შენ მაინც ჩემი ვირი ხარ!

დალონდა ყადი, ეს რა სულელს გადავეკიდეთ. ისევ რომ ვერაფერს გახდა, ასი ოქროს ფულიც ზედ დაამატა. შეჯდა ოქროებით აკაზმულ ჯორზე კაცი და წამოვიდა შინისკენ. გამოუარა ქოსა მენისქვილეს, რომელიც გააოცა ბრიყვის მონაყოლმა.

- ქოსა ეშმაკს მე მეძახიან და ყველაფრით კი ამ სულელმა მაჯობა! - ჩაილაპარაკა თავისთვის. მერე იმ ბრიყვს მიუბრუნდა:

- ისე, შენი ოქროს ფულებიდან წილი მეც მეკუთვნის!

კაცმა ათიოდ გროში გადაუგდო მენისქვილეს.



* - ერთ-ერთი გეოგრაფიული ადგილი.



ყველგან რობიდას?!

ნუნუ ჯანელიძე

იყო უდარდელი ქვეყანა, სადაც თავისნათქვამა და შეუსმინარი ხალხი ცხოვრობდა. ამ უდარდელ ქვეყანაში ერთი ღვთისგან დავინწყებული მხარე იყო, ამ მხარეში კი ერთი უსახელო სოფელი, რომელსაც, რატომღაც, მაინც და მაინც დობიდას ეძახდნენ.

დობიდაში ისეთი ხალხი ცხოვრობდა, თავის თავს ქვებს რომ ესროდა. დობიდელები დილიდან იწყებდნენ ქვების შეგროვებას; კარგა ბლომად რომ მოუყრიდნენ თავს, ერთდროულად აისვრიდნენ ცაში და ელოდნენ, დაბლა როდის ჩამოცვივდებოდა. ქვასაც ცაში რაღა დააყოვნებდა: ლინინ-ლინინით მოქროდა ძირს და სანახაობის მომლოდინე დობიდელებს სულ თავ-პირს უთეთქვავდა. ჰოდა, დადიოდნენ კვირიდან-კვირამდე ქვებისგან დალურჯებული დობიდელები კვნესა-კვნესით, მერე კი, ცოტა მოშუშებულ-მოლონიერებულები, ისევ ქვების შეგროვებას იწყებდნენ.



დობიდაში ერთი კაცი ცხოვრობდა, დობიდელებისგან განსხვავებული და ამის გამო ათვალწუნებულიც.

კაცის ნაკლი ის იყო, რომ არ მონაწილეობდა ქვების შეგროვებასა და სროლაში; შესაბამისად, არც ქვებისგან მიყენებული ჭრილობები და ნაჭდევები „ამშვენებდა“.

ამიტომ დობიდელები სულ იმას ცდილობდნენ, კაცს აშარებოდნენ, მისთვის რაღაც დაეშავებინათ. თუმცა, ხალხისთვის, თავის თავს ქვებს რომ ესვრის, რა დიდი რამეა, ერთ სანყალ კაცს გული ატკინოს! დობიდელები კაცს თავის მოკობტავებულ ეზოში მშვიდად

ცხოვრების საშუალებას არ აძლევდნენ, მის მიერ ყვავილების ბალის კიდეებზე შემონყობილ ლამაზ კენჭებსაც კი იპარავდნენ საკუთარი თავ-ყბების „გასალამაზებლად.“

რა გასაკვირია, რომ კაცის ცხოვრების წესი აღიზიანებდა ქვასროლია დობიდელებს, მაგრამ, თავის მხრივ, კაციც ღიზიანდებოდა დობიდელების უსაქციელობაზე. ჯერ თავისთვის ბუზღუნებდა, ბოლოს კი, მოთმინებიდან გამოსული, ხმამაღლა აპროტესტებდა უმსგავსო ამბებს. თავის კარზე ნარწერიანი აბრაც კი გააკრა – „ნუ იბოროტებთ!“,

რაც დობიდელებს სასაცილოდაც არ ეყოთ.

საოცარი ის იყო, რომ ამ გაუბედურებულ დობიდაში

სიყვარულიც ნამდვილი იცოდნენ და სიძულვილიც, შესაბამისად, გრძნობებიც, უხეში, მაგრამ მაინც ნამდვილი ჰქონდათ. თვით დაუსრულებელ დღეობებსა და ღრეობებში მთელ სულსა და გულს დებდნენ.

დობიდელებს ისიც აღიზიანებდათ, კაცი სულ ღმერთის ხსენებაში რომ იყო (რაც კაცის ყოველ სიტყვასა და ქმედებაში ვლინდებოდა). მართალია, ღმერთს დობიდელებიც აღიარებდნენ, მაგრამ მხოლოდ მისი არსებობის ცოდნა აკმაყოფილებდათ.

დობიდას ჰყავდა თავისი ლიდერები, რომლებიც ქვების შეგროვებას თაობდნენ (ლიდერებს ყოველთვის ჰყავთ ადამიანები, თავიანთ თავს ქვებს რომ ესვრიან, აქვთ კანონები და წესები, დობიდელებისნაირებზე მორგებული). ლიდერების მეთაურობით დობიდელები სისხლს უშრობდნენ კაცს, ყოველ დღე ახალ ოინს უწყობდნენ. ითმინა, ითმინა კაცმა, ბოლოს ველარ მოითმინა და თქვა: მოდი, ნავალ, გავეცლები აქაურობას, ეგებ, სხვაგან უფრო კარგად მოვენყო, უფრო კარგი ხალხი ვნახო.



იარა, იარა და დიდ ქალაქში მივიდა. კაცი სიხარულით ცას ენია, ისე ლამაზი მოეჩვენა დიდი ქალაქი. ირგვლივ სითეთრე და სიმშვიდე სუფევდა, ხალხი კი წიგნიერებითა და განათლებით იწონებდა თავს. სახლებიც და კედლებიც ყველგან წიგნის ფორმის იყო და ყველა წიგნის ენით საუბრობდა, მაღალფარდოვნად. ერთმანეთს ციტატებით ელაპარაკებოდნენ; მაგრამ გასაკვირი ის იყო, რომ მხოლოდ უარყოფითი პერსონაჟების სიტყვები ახსოვდათ. დიდქალაქელები, აქაოდა, კითხვამ დაგვამძიმაო, საკუთარ თავებს ხელით დაატარებდნენ. გამუდმებით „მეს“ ძახილს წაეშალა თითოეულის პიროვნება. უპიროვნო ადამიანს კი, მოგეხსენებათ, წიგნიერსაც და უწიგნურსაც, ერთი ფასი აქვს.

დიდ ქალაქში დიდი გასავალი ჰქონდა ცრუ ღმერთებს. კაცსაც ურჩიეს კეთილად, ერთი ცრუ ღმერთი მასაც გაეჩინა. რასაკვირველია, ყველა გამოჩენილ „მეს“ თავისი საკუთარი ცრუ ღმერთი ჰყავდა; წარმატებისთვის ცრუ ღმერთები მართლაც რომ საჭირონი არიან. არავის აინტერესებდა, ვინ და როგორი იყო ნამდვილი ღმერთი. თუმცა, ჭეშმარიტება ხომ კეთრივითაა – ყველა გაურბის. ცრუ ღმერთებს, მართალია, ბევრი არაფერი შეეძლოთ, მაგრამ თავიანთ პატრონებს თვითდაჯერებულობას მატებდნენ, აფიქრებინებდნენ, რომ ყველაზე ძლიერები იყვნენ. მაგრამ ცრუ ღმერთებს ერთი ნაკლი ჰქონდათ: ადამიანებში სიყვარულს ვერ აღძრავდნენ, უსიყვარულოდ დარჩენილებს კი ერთმანეთის ატანა უჭირდათ.

ამიტომ დიდქალაქელები ყოველთვის მარტოკაცებად, მეტიც, ერთმანეთის მტრებად რჩებოდნენ, კაცისგან განსხვავებით, რომელსაც გული მუდამ სიყვარულით ჰქონდა სავესე. კაცი თავიდან კი ფიქრობდა თავმდაბლურად, აქ მე რა გამოსაჩენი ვარო; ყველა მასზე თეთრი და მაღალი ეგონა, მაგრამ ცოტა ხანში მიხვდა, რომ ეს გარეგნული სითეთრე და პენი იყო მხოლოდ; დიდ ქალაქში იმაზე უარესი, შავბნელი ამბები ხდებოდა, ვიდრე დობიდაში ჰქონდა ნანახი.

დობიდელები თავიანთ თავს მაინც ესროდნენ ქვებს, ქალაქელები კი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ბნელში უსაფრდებოდნენ ერთმანეთს და წვეტიანი კალმებით მწარედ, გამეტებით ჩხვლეტდნენ. კალმით დასახიჩრებული ადამიანები უფრო საშინელი სანახავები იყვნენ, ვიდრე ქვებისგან თავგატეხილები.

კაცი მიხვდა, წიგნი მხოლოდ შირმა იყო, თვალის ასახვევად წინ აფარებული, თორემ ქალაქში უწიგნურობას წიგნიერებაზე უფრო დიდი გასავალი ჰქონდა. მალე კაცი იმასაც მიხვდა, რომ ქალაქელების ტანსაცმელიც არ იყო მთლად თეთრი; უბრალოდ, გარედან იყო თეთრად შეღებილი.

ერთხელაც, როცა თავსხმა წვიმაში მოჰყვა, საკუთარი თვალით ნახა, როგორ ჩამორეცხა წვიმამ საღებავი მათი სამოსიდან და როგორ გამოაჩინა შიგნით დამალული ლაქები და ჭუჭყი.

დიდ ქალაქში ყოველწლიურად, არჩევნების საპირწონედ, საქალაქო არადანები იმართებოდა. და ყოველი არადანების შემდეგ ერთი ნაბიჯით წინ მიიწევდა უღმერთობა. ამ ამბავმა კაცს გული გაუტეხა, თქვა: არ ყოფილა ჩემი საშველი, უნდა წავიდე უდარდელი ქვეყნიდან, მორჩა, დედამინის ყველაზე კეთილ და მდიდარ სამეფოში მივიღვარო.

ბევრი იფრინა თუ ცოტა იფრინა წარმოუდგენლად ულტრათანამედროვე თვითმფრინავით, მიაღწია საოცნებო ქვეყანას. ერთი ხანი ბედნიერებისგან რეტდასხმული დადიოდა ნეონისგან განათებულ ქუჩებში, ისუნთქავდა ესენციებით არომატიზირებულ ჰაერს, დასეირნობდა ხელოვნური ბოჭკოთი გამოყვანილი ხეების პარკებში და სურვილიც არ ჰქონდა, უდარდელი ქვეყანა და დიდი ქალაქი გაეხსენებინა, მით უმეტეს, დობიდა. მაგრამ მალე მიხვდა, იქაურობაც ნიღბებითა და ბუტაფორიებით იყო სავესე.





კაცი დააკვირდა ადგილობრივებს და უცნაური რამ შენიშნა; ტანსაცმელი კი არ ეცვათ, ტანზე ჰქონდათ მიხატული. ეტყობა, თვალებიც და ყურებიც მიხატული ჰქონდათ, რადგან არც ხედავდნენ და არც ესმოდათ. კეთილ სამეფოში უხვად ეყარა საქმელ-სასმელი, რა არ იყო, სულო და გულო; მაგრამ კაცი ჭამდა და გემოს ვერ იგებდა; და რაც მეტს ჭამდა, უფრო მეტი უნდოდა, საბოლოოდ კი მაინც ვერ ნაყრდებოდა.

ადამიანები სიცილსა და ტირილს გადაჩვეოდნენ. თუ მაინცდამაინც ვინმე მოისურვებდა, გრძნობები გაეხსენებინა, შეეძლო, ჩაეტვირთა თავის ემოციების ჩიპში მზა გრძნობები (ყოველ ფეხის ნაბიჯზე იყიდებოდა) და მერე უკვე, რამდენიც სურდა, ეცინა და ეტირა, იმის მიხედვით, რამდენს გადაიხდიდა. და რადგან ნამდვილი გრძნობები არც არსებობდა (საკვებს ვინ ჩივის, გრძნობებიც გენმოდირიცირებული იყო), თუ ვინმეს გაუმართლებდა და ადამიანის გენით (და არა ცხოველის, მაგალითად, ვირის ან ვირთხის) შექმნილი გრძნობა შეხვდებოდა, მაღლობელი უნდა დარჩენილიყო.

იმ ქვეყანაში ერთი უცნაური ამბავიც ხდებოდა: ადამიანები არ მრავლდებოდნენ. მართალია, მოსახლეობა რიცხობრივად იზრდებოდა, მაგრამ სხვა ქვეყნებიდან შემოსული ხალხის

ხარჯზე. ამიტომ ბავშვების ნაცვლად ჰყავდათ ბუტაფორიული არქეოპტერიქსები, რომლებიც საათში ერთხელ გამყინავად გაჰკიოდნენ: გამყინვარება!

გულგრილ სამყაროში ღმერთი არც სძულდათ და არც უყვარდათ; მისი არსებობა მხოლოდ შორეული ლეგენდის, სულაც, ზღაპრის სახით თუ აღწევდა მათ ბუტაფორიულ გულებამდე. მოკლედ, სათქმელადაც არ ღირდა. დაფასება მხოლოდ ბუტაფორიულ კერპებსა და დაქირავებულ მაგებს ჰქონდათ. ცხოვრება მათსავით რომ გაადვილებოდა, ადგილობრივები ბუტაფორიულ კერპებს ჩამოსულ დობიდელ კაცს ცხვირ-პირში აჩრიდნენ. დარეტიანებული კაცი ხშირად საკუთარ სხეულს ჩქმეტდა, მეც ბუტაფორიად ხომ არ ვიქეციო.

ყველაფრისადმი გულგრილ (ერთ დროს ნამდვილ) ქვეყანას არადანები არც სჭირდებოდა: აქ ყველაფერი უკვე დიდი ხნის წინ გადანყვეტილიყო! ბუტაფორიების ნელ-თბილ ბუნაგში მშვიდად თვლემდა მისი ბებერი

გონი, სიღრმეში კი საღათას ძილით ეძინა ნამდვილ ცივილიზაციას.

დადარდიანებულმა კაცმა თქვა: დედამინაზე აღარ დამედგომება, მომბეზრდა, თავი აღარ მინდა ცოცხალიო. ის იყო, თვალის დახუჭვას და ნუთისოფლიდან ნასვლას აპირებდა, რომ ინტერნეტში ბოლო ინფორმაცია ამოიკითხა: ახალ პლანეტაზე ცხოვრების მსურველებს, ვთხოვთ, შემოგვეხმინანონ. თანაც, მგზავრობა უფასო იყო, ბონუსად თანხასაც კი იძლეოდნენ. მეშველაო, იყვირა კაცმა, სასწრაფოდ აიღო სამგზავრო ბილეთი და რამდენიმე წამში ახალ პლანეტაზე აღმოჩნდა.

მაგრამ, რაც იმ პლანეტაზე ნახა, კაცს დედამინაზეც არ ჰქონდა ნანახი. თუმცა არც იყო გასაკვირი: იქაც ხომ იგივე ადამიანები იყვნენ! დედამინელები გაუგონარი სიხარბით იტაცებდნენ ახალ ტერიტორიებს, იხვეჭდნენ ქონებებს. პლანეტაზე თავზესაყრელად იყო ყველაფერი, მუქთად და ბითუმად. უხვად რიგდებოდა კეთილდღეობის აბები, ყველას შეეძლო, პრევენციის მიზნით, აელო თვით სათადარიგო ხელები, ფეხები, თვალებიც კი. რა ენაღვლებოდათ, მაინც არაფერი სტკიოდათ, ვერაფერს გრძნობდნენ. სამაგიეროდ, არც არაფერი ახარებდათ და ახალისებდათ, თითქმის რობოტები იყვნენ, უფრო სწორად ადამიანი ანდროიდები.

დედამინელი ანდროიდები განსაკუთრებულობით გამოირჩეოდნენ: ჩაპროგრამებული ჰქონდათ მოხვეჭისა და დატაცების უნარები; ამიტომ, სულ რაღაცას აგროვებდნენ, მერე კი





ერთმანეთზე დაზვიანული ნივთები საით წაეღოთ, არ იცოდნენ. ახალ პლანეტაზე საერთოდ ამოღებული იყო სიტყვა „ღმერთი“; არც სჭირდებოდათ. იქ მხოლოდ ხელოვნურ ინტელექტზე იყვნენ დაიმედებულნი და ადამიანურად აზროვნების უნარი, თითქმის, დაჰკარგვოდათ.

კაცი კი იქაც კაცად რჩებოდა, იქაც ღმერთს ეპოტინებოდა. კაცმა უკან დაბრუნებაზე დაიწყო ფიქრი, მაგრამ ეს ძალიან ძნელი აღმოჩნდა. რომ იტყვიან, იქ წასული ბევრი უნახავთ, დაბრუნებული კი-არავინ. მაგრამ კაცს დობიღური სკოლა ჰქონდა გავლილი და ასე იოლად არ დანებდებოდა. ამიტომ დობიღური შემართებით დაიწყო დასაბრუნებელი ბილეთის ძებნა.

იმდენი ილაპარაკა, ისე მოაბეზრა ყველას თავი, კაცი პლანეტის „ნონ გრატად“ გამოაცხადეს; რომ შესძლებოდათ, პლანეტიდან პანლურის კვრითაც გამოგადებდნენ, მაგრამ იქაური გრავიტაცია ამის საშუალებას არ აძლევდათ. ამიტომ, ჩასვეს ჰერმეტიულად დახურულ კაფსულაში და ღილაკს თითი დაუნანებლად დააჭირეს.

ასე დაბრუნდა უცხო პლანეტიდან ერთადერთი ადამიანი დედამიწაზე. იარა, იარა და ბოლოს მაინც თავის უსახელო, მაგრამ დობიდად წოდებულ სოფელში მივიდა.

დობიდელები ძველებურად ქვების შეგროვებითა და სროლით ერთობოდნენ. კაცის დაბრუნებამ ყველა ძალიან გააკვირვა, დობიდაში რატომ დაბრუნდიო, ჰკითხეს. კაცმა უპასუხა: ბევრი ქვეყანა მოვიარე, უცხო პლანეტაც კი, მაგრამ დავბრუნდი, რადგან ყველგან დობიდააო. დობიდელებს ძალიან გაუხარდათ, ეს რა კაი რამე გავიგეთ, ყველგან დობიდა ყოფილაო. ამ ამბით იმდენად გამხიარულდნენ, დროებით ქვების სროლაც კი მიატოვეს; დობიდელებმა კაცს სთხოვეს, გვიამბე იმ უცხო ქვეყნებისა და მათი მცხოვრებლების შესახებო. კაცმა უპასუხა: განსაკუთრებულები არსად ცხოვრობენ, საკმარისია, ისეთები ვიყოთ, როგორებიც შეგვექმნა ღმერთმაო.

რომ არა კაცის დაბრუნება, რომ არა მისი ნაამბობი დედამიწასა და უცხო პლანეტაზე მოგზაურობის შესახებ, დობიდელები ვერასოდეს გაიგებდნენ, რომ ქვეყანაზე უფრო მნიშვნელოვანი რამეც არსებობს, ვიდრე ქვების საკუთარი თავისთვის სროლა; დობიდელები მიხვდნენ, თუ კაცს დაუფერებდნენ, ბევრად უკეთესები გახდებოდნენ.

კაცმა ერთი ეშმაკობაც იხმარა: დობიდაზე წიგნი დაწერა და დობიღური ცხოვრება თავისი ავითა და კარგით დღის სინათლეზე გამოიტანა. მართლაც, დობიდელებმა გაიხარეს, რომ სანამ მხოლოდ თავისთვის არსებობდნენ, ბევრი რამ ეპატიებოდათ, მაგრამ, რაკი წიგნის ფურცლებზე გადაინაცვლეს (სადაც სხვებიც დაინახავდნენ), სხვა გზა არ რჩებოდათ, თავადაც არ დაენახათ საკუთარი თავი, არ ეფიქრათ, მომავალში როგორ უნდა ეცხოვრათ.

მალე დობიდა იმდენად შეიცვალა, მის სანახავად შორეული მხარეებიდანაც კი მოდიოდნენ; დობიდას სტუმრები, ქვასროლიობის მიუხედავად, სწავლობდნენ, რომ ყოველთვის შეიძლება შეცვალო ცხოვრების წესი უკეთესობისაკენ. ბოლოს დობიდელები მთლად გაიპრანჭნენ და სოფლისთვის სახელის გადარქმევა მოინადინეს, მაგრამ ამით ბევრი არაფერი შეიცვლებოდა. კაცი მშვიდად შეუდგა დობიდაში ცხოვრებას და მერე სხვაგან წასვლაზე არც უფიქრია. მართალიც იყო: მთავარი ხომ ის არის, როგორ ცხოვრობს ადამიანი და არა-სად. კაცმა რომ თქვას, ისედაც ხომ ყველგან დობიდაა!





ეს იყო ზუსტად 200 წლის წინათ: 1819 წლის აგვისტოში პარიზის საგამოფენო სალონში მოსული დამთვალეირებელი მონუსხა უზარმაზარმა ტილომ. სიუჟეტი ასახავდა იმ რეალობას, ტრაგედიას, რომელმაც შეძრა ფრანგები, რომლის შესახებ წერდა მაშინ ევროპის თითქმის ყველა გაზეთი.

პრესა იუნყებოდა, რომ „ბრბოდ მომწყდარი ხალხი მონუსხული ჩერდება შიშისმომგვრელი, მომაჯადოებელი ნახატის წინაშე“.

დღეს ეს ნაწარმოები, სახელწოდებით – „მედუზას“ ტივი“, ლუვრის ერთ-ერთი შედეგია.

მართლაც რომ, მასშტაბური ზომის ტილო, პარამეტრებით 5X7 მეტრი, ამშვენებს მუზეუმს, გალერეა „დენონის“ 77-ე დარბაზს.

„წივის“ ეპიკეა

„მედუზას“ ტივის“ ავტორია ახალგაზრდა მხატვარი – თეოდორ შერიკო, რომლის სახელთანა დაკავშირებული ფრანგული რომანტიზმის დაბადება.



თეოდორ შერიკო

შერიკომ თავისი ნამუშევარი მიიტანა ლუვრში, ფერწერის მთავარ სახელმწიფო კონკურსზე წარსადგენად. ჟიურის კომისიამ „მედუზას“ ტივი“ გამარჯვებულად ცნო და პირველი ადგილი მიაკუთვნა.

მაშინ ის 28 წლის იყო.

მაგრამ მთავრობის მხრიდან ეს იყო უსუსური მცდელობა, გადაეფარა საკუთარი დანაშაული: „ოქროს მედალი“ მან მიანიჭა ნიჭიერად, მაღალპროფესიონალურად გააზრებულ იმ ნამუშევარს, რომელიც თითქოს გამოხატავდა უბედურ შემთხვევას და არა ხელისუფლების მიმართ ნაყენებულ ბრალდებას.

ბუნებრივია, „გამარჯვებული“ ტილო სახელმწიფომ ლუვრისთვის არ შეისყიდა. ახალგაზრდა მხატვარი გაანაწყენეს. თუმცა, „მედუზას“ ტივი“ მას იმთავითვე აღიარება მოუტანა.

თეოდორ შერიკო მაინც უიღბლო ადამიანი აღმოჩნდა; ის ცხენიდან ჩამოვარდა და დაავადდა განუკურნებელი სენით. მალევე გარდაიცვალა, 33 წლის ასაკში და არაერთი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა.

სამწუხაროდ, მხატვარი ვერ მოესწრო იმ დღეს, როცა ლუვრის ახალმა კურატორმა მუზეუმის კოლექციას შემატა „მედუზას“ ტივი“. ეს იყო 1824 წელს, უკვე ახალგაზრდა შემოქმედის სიკვდილის შემდეგ.

თითქმის 2 საუკუნეა, თეოდორ შერიკოს ამ ყველაზე ცნობილ ეპიკურ ტილოს ისევ და ისევ აღტაცებაში მოჰყავს ლუვრის დამთვალეირებელი.

* * *

რეალური ამბავი, რომელიც უკავშირდება შერიკოს ნახატის შექმნას, თავისი არსით ძალზე დრამატულია.

1816 წელს საფრანგეთიდან ატლანტის ოკეანეში გავიდა 40-ქვემეხიანი ფრეგატი* „მედუზა“, რომელიც XIX ს.-ის დასაწყისში ნაპოლეონის ბრძოლებშიც მონაწილეობდა.

ხომალდმა გეზი აიღო სენეგალისკენ, სადაც დაგეგმილი იყო სამხედრო ოპერაცია (ცნობილია, რომ საფრანგეთის ჯარებმა ამ დროიდან დაიწყეს სენეგალის – დასავლეთ აფრიკის ამ ერთ-ერთი სახელმწიფოს კოლონიზაცია).

გემის კაპიტანი აღმოჩნდა გამოუცდელი, რის გამოც ხომალდი ასცდა დაგეგმილ კურსს, მეჩქრზე დაჯდა და დაზიანდა. ფრეგატმა დაიწყო ჩაძირვა. გემის ბორტზე ეკიპაჟის წევრების ჩათვლით იმყოფებოდა 400-მდე ადამიანი.

კანჯოების (მომცრო ნაგების) არასაკმარისმა რაოდენობამ ტრაგედია გარდაუვალი გახადა. კანჯოებში ადგილები დაიკავეს მაღალი წოდების ადამიანებმა; ეკიპაჟის 147-მა წევრმა კი გადაინაცვლა სახელდახელოდ, მათ მიერვე აგებულ, ხომალდის ნამსხვრევებისაგან შეკონინებულ ტივზე. გემის

* – იალქნიანი სამხედრო გემი.

** – მსხვილი ბაგირი, რომლითაც გემს ან ნავს მიჰყავს მასზე გამობმული ტივი, ან კარჭაპი.



„მედუზას“ ტივის „ერთ-ერთი ესკიზი“

ხელმძღვანელობა მეზღვაურებს ნაპირებამდე ბუქსირებას** შეპირდა.

ხომალდის კაპიტანი, რამდენიმე თანხმლებ პირთან ერთად, ამ დროს იმყოფებოდა ერთ-ერთ კანჯოზე, რომელსაც მიება ტივი.

როდესაც ცხადი გახდა, რომ ადამიანებით დამძიმებული ტივის გადაადგილება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, კაპიტანმა ბრძანა, გადაეჭრათ ტივთან დამაკავშირებელი ყველა თოკი.

აქედან დაიწყო ნამდვილი ტრაგედია და ჯოჯოხეთი, რომელიც ტივზე 13 დღე გაგრძელდა.

მძიმე და უნუგეშო რეალობის

ფონზე, პირველივე ღამეს, 20-მდე ადამიანი თავი მოიკლა. რამდენიმე მათგანი ტალღებმა შთანთქა. ფსიქოლოგიური უნონადობა ნელ-ნელა გადაიზარდა კინკლაობაში, ერთმანეთს შორის ფიზიკურ დაპირისპირებაში, აგონიაში. 4 დღის შემდეგ 147 ადამიანიდან ტივზე დარჩენილი იყო ეკიპაჟის მარტო 67 წევრი. ულუკმაპუროებს თანდათან ძალ-ღონეც ელეოდათ. წყალში ყრიდნენ დასუსტებულთ, დაჭრილთ. უკვე მეათე დღეს სიკვდილ-სიცოცხლეს მხოლოდ 15 უნუგეშო ებრძოდა.

გადარჩენის იმედი მათ მაშინ ჩაესახათ, როცა შეამჩნიეს მოახლოებული ბრიგი* „არგუსი“; მაგრამ ამჯერად ტივთან გემის შეჯახებამ კიდევ 5 ადამიანის სიცოცხლე შეინირა.

სტიქიასთან და შიმშილთან 13-დღიან ბრძოლას გადაურჩა ტივის „ბორტზე“ მყოფი 10 ადამიანი.

* * *

თეოდორ ჟერიკო არამარტო პირადად ესაუბრა გადარჩენილ მგზავრებს, ნაიკითხა და გაეცნო ამ ტრაგედიასთან დაკავშირებულ უმნიშვნელო ფაქტებსაც კი; რეალური სურათის უკეთ წარმოსაჩენად მხატვარმა შექმნა ცვილის ფიგურებიანი ათზე მეტი ესკიზი. ზუსტი ეფექტის მისაღწევად ჟერიკო მორგებსაც და საავადმყოფოებსაც ესტუმრა, მკვდრები და მომაკვდავები საკუთარი თვალით რომ ენახა.

მეტიც: დალუპვას გადარჩენილებმა მხატვართან ერთად ამჯერადაც რამდენიმე თვე გაატარეს საგანგებოდ შეკრულ ტივზე, სადაც პოზირებდნენ ჟერიკოსთვის, მომავალი ტილოსათვის. მათ შორის იყო შემოქმედის ახლო მეგობარიც, ცნობილი მხატვარი ეჟენ დელაკრუა (ერთ-ერთი გვამი ნახატზე სწორედ დელაკრუას სხეულია).

ამბობენ, როდესაც მან ჟერიკოს უკვე დასრულებული ნახატი იხილა, ძლიერი შთაბეჭდილებისგან შეშლილივით გაიქცაო.

ტილოს მასშტაბურობის, რეალისტური დეტალებისა და დრამატული სიმძაფრის გამო ხელოვნებამცოდნეები „მედუზას“ ტივს“ ისტორიულ დოკუმენტად მიიჩნევენ.

ამ ნაწარმოების შექმნით მთელმა მსოფლიომ შეიტყო, როგორ და რატომ გაიმეტეს სასიკვდილოდ უდანაშაულო ადამიანები. ფრანგმა ისტორიკოსმა და პუბლიცისტმა ჟიულ მიშლემ ძალზე სხარტად, ამასთან, ზუსტად გამოხატა სათქმელი: „ეს თვით საფრანგეთი, ჩვენი საზოგადოებაა მოქცეული „მედუზას“ ტივზე“.



„მედუზას“ ტივი“. თეოდორ ჟერიკო. 1819 წ.

* – ორანძიანი სამხედრო გემი.



თეკლა ლაზი

უფაოდ ნიჭიერი ახალგაზრდის - თეკლა ლაზის წერილი "საყიფში არეკლილი ახალი წელი და სხვა..." თითქოს ჩვენს ათასჯერ ნაფიქრს ახმოვანებს. ავტორი საინტერესოდ შლის თემას და აღწერს იმ წინასახალწლო ისტერიას, რომელიც ყოველ წელს დეკემბრის დადგომისთანავე იწყება: ის წლითი წლით თავდაპირველ არსს შორდებდა და უფრო და უფრო მახინჯ სახეს იღებდა, რადგან ადამიანებს გვაკინუდებდა მთავარი, რომ "ახალი წლის ჭეშმარიტი მნიშვნელობა სიკეთის კეთებაშია".

თეკლა ლაზი სხარტი აზროვნებითა და ახალგაზრდისთვის დამახასიათებელი სითამამით უფრო თავს დაამახსოვრებს მკითხველს. "ივლეპანი" აყრდნობდა და ელოდებოდა მის წინწახლო, თავისუფალ, ორიგინალურ ნააზრევს, რომელიც, ახალი წელიწადით, არასოდეს დაემსგავსებდა წინას.

ეს რამდენიმე წელია, ახალგაზრდა შემოქმედის პუბლიკაციებს საკმაო რეზონანსული გამოხმაურება აქვს.

საყიფში არეკლილი ახალი წელი და სხვა...

თეკლა ლაზი

ახალი წელი სკოლის ახალი ცალხაზიანი რვეულივითაა, რომლის პირველ ფურცელზე ყოველთვის პედანტიურად, ლამაზი კალიგრაფიით ვწერდი და ყოველ ჯერზე ვამბობდი, რომ სუფთად წერას დავინებდი, არ ვიჩქარებდი და ყველა ფურცელს პირველ გვერდს დავამსგავსებდი, მაგრამ... რვეული მაინც გაკრული ხელით ნაწერი იყო ხოლმე, ველზე გადასვლებით, გადახაზულებითა და კუთხეში მინაჯლაბებით...

ახლა, როცა ნასუფრალ ქუჩას მივუყვები და ქალაქს ჯერაც ასაფეთქებლების სუნი ასდის, უფრო გულდასმით ვფიქრობ ამაზე და ჩემი მინერალური აზრების ყლუპები მაფხიზლებენ.

პირველი წინადადებასავით ეცემა პიონერი სხივი თოვლს და ძალიან არ მინდა, ისევ ავტომატურად იმეოროს გონებამ ის, რასაც ყოველ წელს ვპირდებით საკუთარ თავს – „აი, ამ წელს აუცილებლად...“ და ბლა ბლა ბლა...

როდემდე შეიძლება, იწყებოდეს ყოველი წელი შემართებითა და ფრაზებით, რომლებსაც სადღესასწაულო მორთულობასთან ერთად ვინახავთ საკუჭნაოში... და საშობაო შაბლონებით, „სურვილების ნაძვის ხეზე“ წლიდან წლამდე რომ არ ვკიდებთ. ყოველ ჯერზე ჩვენ ვინებთ ახლიდან და შამპანურის შუშხუნის ფონზე სასურველი ცხოვრების მოდელს ვახმოვანებთ; მაგრამ ისევ არაფერს ვაკეთებთ „მაკეტის“ განსახორციელებლად და ისევ ჩვენზე ძლიერია რუტინა და ისევ რვასათიანი სამუშაო გრაფიკი ხდება მიზანი და არა – საშუალება...

...და 12 თვის თავზე ისევ საახალწლო სუფრასთან ვაკონინებთ იმ გაელვებებს, რომლითაც ვცდილობთ, თავი დავიმშვიდოთ, მოვიტყუოთ – თითქოს ეს წელი საინტერესო იყო. მერე ვიხსენებთ ლაფსუსებს, რომლებსაც აუცილებლად გამოვასწორებთ „შემდეგ წელს“; თუმცა აღმოჩნდება, რომ ეს იმ წელიწადში, რომელიც სხვა განზომილებაშია და ამ რეალობაში არ არსებობს... სინამდვილეში ჩვენ ძალიან ბევრი შეგვეძლო მაშინ, როცა დროს უქმად ვხარჯავდით და მალე ვიღლებოდით... ან ვამბობდით – „მერე...“ და ისევ არ ვცდილობდით, სწორედ ის გადაგველახა, რაზეც ყველაზე მეტად ვითრევდით ფეხს, დანყებული სტომატოლოგის შიშით, დამთავრებული – ახალი სამსახურის დანყებით...

ძალღმა ურნიდან ნარჩენების პარკი ამოაძვრინა და ოლიმპიური ცეცხლივით მიარბენინებს...

ბრძოლა საჭმლის მოპოვებისთვის... ნეტავ, სკოლაში თოლია ჯონათანს თუ ასწავლიან? თუმცა, ყოველთვის ასე ხომ არაა, ზოგჯერ ვმღერით თამამად, ვცეკვავთ თავდავინყებით და ვეძებთ ახალ მუსიკას, როცა ფლეილისტი ძველდება – უფრო ხშირად ვამბობთ „კის“, მაგრამ მაინც გვერევა – „მერე“... როცა ვამბობთ, რომ ფული გადამწყვეტია, ჩვენ უბრალოდ პასუხისმგებლობას ვირიდებთ და ჩვენს უმოქმედობას ვამართლებთ...



ამინდის შეცვლის ნაცვლად შექმნილ ამინდზე ვართ დამოკიდებულნი და მოცემულობის ტყვეებად ვიქცევით... მეგობრებსაც კი ასე ვირჩევდით... მეტწილად მათთან ვახლობლობდით, რომლებიც გარშემო გვეხვია. უნივერსიტეტში, სამსახურსა თუ უბანში არსებული საზოგადოებიდან ჩვენ სამეგობროდ ვირჩევდით საშუალო არითმეტიკულ პერსონას, ვისთანაც მეტ-



ნაკლებად შესაძლებელია ურთიერთობა და სამეგობრო წრეც ჩვენი კი არა, სწორედ გარემოსგან არჩეული ადამიანები არიან. ამიტომაც, რომ იშვიათად ვპოულობთ სულიერ მეგობრებს...



ხშირად მიფიქრია, სოციალური ქსელის კიდევ ერთ დადებით მხარეზე – ვალდებულების, სუბორდინაციისა და „ხათრისგან“ თავისუფალ სივრცეში ვუმეგობრდებით მათ, ვინც მართლა ჩვენია და სტატუსისგან თავისუფლად ვაკეთებთ არჩევანს. გარემოს გავლენა ნულია... სივრცე – უსასრულო...

ვცდილობთ, ახალი წლის ათვლა ქრისტეს შობიდან დავიწყოთ და თარიღებშორის დაბნეულნი მივუყვებით საყოველთაო მარშს... ახალი წელი მოდის და ჩემი სულისკვეთება არ იცვლება – ისევ მანუხებს კაუჭზე ჩამოცმული გოჭების ძვირად დაფასებული თავები და გადაღლილი დიასახლისების ისტერიკული ქოთქოთი, სადღესასწაულო მარათონი და ამ დღის მიზნად ქცევა... გამოფატრული საფულებები და განცდა, თითქოს მოსაწყენი წლის ერთჯერადი კომპენსაციით ისევ ვიბრმავებთ თვალს...

ვიტოვებ იმედს, რომ წელს უფრო მეტი საჩუქარი შეგროვდება თავშესაფრის ბავშვებისთვის და თანხით, რომელსაც პრესტიჟისთვის ვიხდით უამრავ უსარგებლო სიბრჭყვიალეში, გამოწვდილ ხელებს გავათბობთ. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება დღესასწაული ჯადოსნური და ეს ყოველმა ჩვენგანმა ვიცით. მთავარს მაშინ გავიაზრებთ, როცა ძვირად ღირებული სათამაშოების დახლს შევაქცევთ ზურგს. რა თქმა უნდა, ამით კაცობრიობას ვერ ვიხსნით, მაგრამ სამყაროში ჩვენი არსებობის იდეა გახშირდება.



მე მჯერა, რომ უზენაესმა გონმა ახალი წლის დღესასწაული იმისთვის „მოიგონა“, რომ ყველაფერი, რისი გაღებაც შეგვიძლია, გავცეთ და სწორედ ეს ანათებს ქუჩებს, აცოცხლებს ქალაქს. გაუკუღმართებული გაგება, თითქოს უნდა ვიყიდოთ უამრავი რამ მხოლოდ ჩვენთვის და ისევ ჩავიკეტოთ ამ ვიწრო წრეში, ეს აქციები, ფასდაკლებები და რეკლამები მხოლოდ თვალის ასახვევადაა, რათა ნამდვილ არსს გავცდეთ. ახალი წლის ჭეშმარიტი მნიშვნელობა სიკეთის კეთებაშია – არც კლუბებში, არც მაგიდის ახალ გადასაფარებელში. ეს ყველაფერი მხოლოდ დამხმარე საშუალებაა და არა მიზანი.

ახლა ერთ ფინჯან ცხელ შოკოლადთან ვიკრებ ძალისხმევას, რომ ყველა ის გაუკეთებელი სიკეთე „ჩავინიშნო“, რომელიც მთელი წლის განმავლობაში შემეძლო, გამეკეთებინა, მაგრამ ვთქვი „მერე“ ან – „ჯერ მე“... სულში პატარა ლამპარით ენთება პირობა, რომ „ანი აღარ“... ..და სწორედ ამის აღსანიშნავად მოდის ახალი წელიც...

...ყოველი ახალი წელიწადი, რომელიც, გარდა იმ საზოგადო სიხარულისა, რაც ამ დღესასწაულს ახლავს, არის ნოსტალგია... ..ერთი შობისა, ბავშვობაში რომ დარჩა... იმ ერთი ახალი წლის, აუცილებლად ბავშვობიდან რომაა. დროში, როცა სუფთა გონება მარტო ყოველივე საუკეთესოს იმახსოვრებს და ციმციმა კადრებს ინახავს.

...როცა მარტო მამხალეების რაოდენობაზე ვდელავდით. ბებიას საჩუქრები, გემრიელი სურნელი, მომღერალი ღია ბარათები, ბაბუას თბილი ხელები, ნიგვზიანი რულები... ..ცოცხალი, გახარებული სახეები, პრობლემებიდან – რუტინული საზრუნავიდან განდგომა, ყრიაძული...

ვიცი, ყოველი ჩვენგანი გონებაში აჯამებს დავლას და გვინდა, ახალი წლის მუხტი ისეთივე იყოს, „როგორც ბავშვობაში“... და ეს ძალიან ადვილია, თუ თვითონ ვიქნებით ბავშვური და ისევ გავუყობთ მამხალეებს ერთმანეთს.

ასე, წლების მატებასთან ერთად, აღარ მოაკლდებათ ადამიანებს განწყობაში სიხარული. პენოპლასტის სათამაშოებითა და „გირლიანდებით“ აღარ ვცდებით შესაბამისი განწყობის ილუზია შევიქმნათ. დღესასწაული არ დაემსგავსება იმიტაციას, იმ ერთი ჯადოსნური შობისა, რომელშიც ვბრუნდებით ყოველთვის, როცა ნაძვის ხე ციმციმებს და მუსიკალური ბარათის წრიპინი გვესმის...





ახალი ზელანდია - „თეთრი ღრუბლების ქვეყანა“

ჩვენ გვახარებს ის, რომ ვიმყოფებით ასე შორს დანარჩენი სამყაროსგან, მაგრამ გვეამაყება ის, რომ ასეთი კეთილმოსურნენი ვართ ყველას მიმართ ამ სამყაროში, – ასე თვლიან ახალზელანდიელები.

ახალი ზელანდია – სამყაროს მერვე საოცრებად მიჩნეული; ქვეყანა, რომელიც გაცივებს ბუნების განუმეორებლობით, ფაუნით, ფლორით, ხელშეუხებელი, პირველყოფილი ლანდშაფტით, ყველანაირი კლიმატური ზონით; ესაა სახელმწიფო, სადაც უძველესი მათი კულტურა ევროპულ ცივილიზაციასთანაა შერწყმული.

ახალ ზელანდიას ხშირად „მინიატურულ მსოფლიოსაც“ უწოდებენ.

მისი სამხრეთის ალპები, მარადთოვლიანი ციცაბო მწვერვალები ამიერკავკასიას მოგაგონებს; აკვამლებულ ვულკანებსა და გეიზერებს* (ჩრდილოეთით) ასოციაციურად კამჩატკაში გადაყავხარ; ნორვეგიის ფიორდები** თავისი მკაცრი სილამაზით არაფრით ჩამოუვარდება ახალი ზელანდიის



ახალი ზელანდიის ლანდშაფტი

ხმელეთში შეჭრილ ზღვის ნაპირებს; ეს ქვეყანა გაგახსენებს შოტლანდიის ლანდშაფტსაც – კლდოვანი ბორცვებითა და სარკისებრი ტბებით; პალმებიანი ველური პლაჟები ჰავაის კუნძულების შესადარია; გაუვალმა სუბტროპიკულმა ტყეებმა, შესაძლოა, ამაზონის ტყე მოგაგონოთ; ფირუზისებრი მთის ტბები, კლდეებიდან მოვარდნილი ჩანჩქერები, მთის ქვეშ ჩაფენილი უმშვენიერესი ხეობა თვალწინ მეორე შვეიცარიას გადაგიშლის...

ახალი ზელანდია – ჩვენი პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა, მაგრამ სილამაზით გამორჩეული ქვეყანაა. გეოგრაფიული იზოლირების მიუხედავად, მას ყოველწლიურად 3-მლნ-მდე ტურისტი სტუმრობს.

მით უფრო, მიმზიდველია იგი რეჟისორებისთვის. ამ თვალწარმტაც მხარეშია გადაღებული ასე გახმაურებული ფილმები: „ბექდების მბრძანებელი“, „კინგ-კონგი“, „უკანასკნელი სამურაი“...

ვიდრე იყო უკარგიელო კუნძული

ახალი ზელანდია წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილშია. შედგება ორი დიდი კუნძულისაგან – სამხრეთისა და ჩრდილოეთისგან და, აგრეთვე, 700-მდე პატარ-პატარა კუნძულისგან; უახლოესი მეზობელი – ავსტრალია, 1500 კმ-ის დაშორებით.

კონტინენტებისგან დაშორების გამო ახალი ზელანდია ერთ-ერთი ბოლო ტერიტორია იყო, რომელიც ადამიანებით დასახლდა.

ახალი ზელანდიის კუნძულები სრულიად უკაცრიელი იყო XI-XIII ს.ს.-მდე. დაახლოებით 1250-1300 წლებში აქ ჩამოვიდნენ პოლინეზიელები (წყნარი ოკეანის სამხრეთი); ამ ტომმა შექმნა უნიკალური მათი კულტურა.

კუნძულზე ცხოვრება სტაბილურად გრძელდებოდა 1642 წლამდე, მანამდე, ვიდრე აქ გამოჩნდებოდნენ ევროპელები. მათ სათავეში ედგა ჰოლანდიელი ზღვაოსანი – აბელ ტასმანი.

ტასმანმა უწოდა კუნძულებს ჰოლანდიის ერთ-ერთი პროვინციის – ზელანდიის სახელი. მათგან ენაზე მას „აოტეაროა“ ჰქვია, რაც სიტყვა-სიტყვით ძალიან პოეტურად ჟღერს – „გრძელი თეთრი ღრუბლების ქვეყანა“.

* – ვულკანური ნარმოშობის ცხელი წყარო.

** – ზღვის ვიწრო ყურე, ხმელეთში შეჭრილი, ციცაბო ნაპირებით.



180 წლის წინათ

ბრიტანეთის ფლოტის კაპიტანმა, მოგზაურმა ჯეიმზ კუკმა, ახალი ზელანდია ევროპისთვის მეორედ აღმოაჩინა.

ეს მოხდა 1769 წელს. ასე დაიწყო კუნძულების კოლონიზაცია ევროპელების მიერ. მაორებმა ტომის ბელადებთან ერთად სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს დამპყრობთ. მკვიდრ მოსახლეობას ან კლავდნენ, ან ასახლებდნენ თავიანთი მიწებიდან. აბორიგენი მაორები არ ნებდებოდნენ.

1840 წლის 6 იანვარს ინგლისელებმა და ადგილობრივმა მაორებმა ხელი მოაწერეს სამშვიდობო ხელშეკრულებას. ეს დღე ახალი ზელანდიის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი თარიღია, რომელიც აღინიშნება საერთო სახალხო დღესასწაულითა და ფეიერვერკებით.

მაორის ტომებისა და ინგლისელების დიამეტრალურად ურთიერთსაწინააღმდეგო კულტურათა ნაზავმა ახალი ზელანდია შექმნა ისეთი, დღემდე გამოუცნობი და გაუგებარიც რომ არის ევროპისთვის, შტატებისთვის.

ახალ ზელანდიაში 3 სახელმწიფო ენაა: ინგლისური, მაორული და, რაოდენ არ უნდა გაუკვირდეს მკითხველს, ყრუ-მუნჯთა ენა.

2020 წლის ახალი წელი განსაკუთრებული იქნება ამ ქვეყნისთვის – 6 იანვარს ახალზელანდიელები იზეიმებენ სამშვიდობო ხელშეკრულების 180-ე წლისთავს.

უელინგტონი – ქვეყნის დედაქალაქი – ყველაზე სამხრეთით მდებარე ერთადერთი დედაქალაქია მსოფლიოში.



პოხუტუკავა – ადგილობრივი ფიჭვი

ორი ახალი წელი

აღსანიშნავია, რომ პლანეტაზე პირველები ახალ წელს სწორედ ახალზელანდიელები ხვდებიან. უჩვეულო ქვეყანა ის იმითაცაა, რომ ახალი წელი აქ აღინიშნება წელიწადში ორჯერ.

პირველ იანვარს, როგორც წესი, ზეიმობენ ევროპულ ახალ წელს. ამ დროს არათუ ცივა, შეიძლება, ძალიანაც ცხელოდეს. ნაძვის ხის ნაცვლად საზეიმოდ ირთვება ადგილობრივი ფიჭვი – პოხუტუკავა. პატარა-პატარა ბალონებიდან იფრქვევა ხელოვნური ფიფქის მსგავსი თეთრი ფანტელები. შთამბეჭდავია სანტა-კლაუსების პარადი, სადაც ქალაქის მთელი მოსახლეობა მონაწილეობს. ეს არის სახალხო ზეიმი ღია ცის ქვეშ, როცა სრულიად უცნობი ადამიანები ერთმანეთს ულოცავენ, საჩუქრებს ჩუქნიან, მღერიან, ცეკვავენ.

რაც შეეხება მაორთა ახალ წელს, მას ეწოდება – „მატარიკი“. მისი აღნიშვნა იწყება მაისის ბოლოს და გრძელდება რამდენიმე დღე.

როცა ახალი ზელანდიის ცაზე გამოჩნდება ხბოს თანავარსკვლავედში მოქცეული ვარსკლავთა ჯგუფი, შვიდი დის სახელით ცნობილი, დგება მაორთა ახალი წელი.

ტურისტს ძალიან უნდა გაუმართლოს, რომ წელიწადის ამ დროს მოხვდეს ახალ ზელანდიაში, ფერადი ზეიმის ეპიცენტრში, დაესწროს ადგილობრივი მოსახლეობის თავბრუდამხვევ დღესასწაულს.

თითქმის ხელოვნური ზუნება

მაორთა ტომები როცა პოლინეზიის კუნძულებიდან ახალ ზელანდიაში მოვიდნენ, მოიხიბლნენ მისი მშვენიერებით და სამუდამოდაც აქ დარჩნენ. მოეწონათ მშვიდი კლიმატიც, ზაფხულში არცთუ პაპანაქება



უელინგტონი – ახალი ზელანდიის დედაქალაქი



კივი – უფრო ფრინველი

სიცხითა და ზამთარში ასატანი სიცივით.

ცნობილია, რომ ამ კუნძულებზე ბუნებაც ის განსაკუთრებული ფენომენია (ფლორითა და ფაუნით), როს გამოც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მუდმივად სტუმრობენ აქ. სხვა კონტინენტებიდან იზოლაციის გამო ქვეყანა გამოირჩევა როგორც ცხოველების, ისე მცენარეების უნიკალური სახეობებითაც.

ფრინველთა 250 სახეობიდან 73 ენდემურია.

ზელანდიის ყველაზე ცნობილი ენდემური არსებაა კივი, უფრო ფრინველი (სხვაგან არსად შეხვედებით ამდენ არამფრენ ჩიტს); ამასთან, ის კუნძულის არაოფიციალური სიმბოლოცაა. ეს არცთუ დიდი ზომის ჩიტი, რომელიც ვერ დაფრინავს, ბინადრობს მარტო ახალ ზელანდიაში. კივი ერთადერთი ფრინველია ამ სამყაროში, რომლის ნესტოები

ნისკარტის ბოლოსაა განთავსებული. ადგილობრივებს შორის კივი იმდენად პოპულარულია, რომ ახალზელანდიელები ერთმანეთს „კივიანელებადაც“ მოიხსენიებენ.

სხვათა შორის, არამფრენი ჩიტი სახელმწიფოს სამხედრო-საჰაერო ძალების ემბლემაცაა.

კოკაკოც – ახალი ზელანდიის ტყის ფრინველია, უკვე გადაშენებულად გამოცხადებული; თუმცა მათ გადარჩენაზე ზრუნავს მსოფლიოს არაერთი ზოოპარკი. კოკაკო, რომელიც გამოსახულია ახალი ზელანდიის 50 დოლარიან ბანკნოტზე, ჯერაც კუნძულის ბინადარია (რამდენიმე ასეული წყვილით).

ნაციონალურ სიმბოლოდ ითვლება ვერცხლისფერი გვიმრა, რომელიც ბუნებრივ პირობებში ხარობს მხოლოდ ახალ ზელანდიაში. ხე-მცენარე, რომელიც გამოსახულია ქვეყნის გერბზე, მონეტებზე, სპორტულ ინვენტარებზე, 10-მეტრამდე იზრდება.

ჩვენ გვიყვარს ახალი ზელანდია ახალზელანდიური ჩაის ხის გამოც, – ამბობენ ადგილობრივები. და ეს ხეა – მანუკა.

ენდემური ბინადარია ქვეწარმავალი – ტუატარა, ხვლიკისმაგვარი ე.წ. თანამედროვე დინოზავრი, რომელიც 100-წლამდე ცოცხლობს; ყვითელთვალეა და ცისფერი პინგვინი, გონიერი ფრინველი – ტუი და სხვა.

ამ ქვეყანაში ბუნება დიდი ქალაქების ახლოსაც კი ველური და პირველყოფილია. ისე გაივლი აქ ათასობით კილომეტრს, რომ ადამიანის ნაკვალებს ვერსად აღმოაჩენ, იშვიათ ნარგავებს კი – მრავლად.

ძალზე დაუჭერებელი სასამართლო პროცესი

დღეს ახალზელანდიელების უმეტესობისთვის მისაღებია როგორც ანგლო-საქსონური, ისე პოლინეზური ადათ-წესები და ტრადიციები.

2017 წლის 16 მარტს ახალი ზელანდიის სიდიდით მესამე მდინარე – იონგანუი – ისტორიაში პირველი უსულო საგანი გახდა, რომელსაც ადამიანის მსგავსი იურიდიული უფლებები მიენიჭა; ანუ მდინარე აღიარეს ადამიანის თანასწორად და ამისათვის მაორის ტომი 140 წელი იბრძოდა.



მისაღება ახალზელანდიურად

„მდინარეს ჩვენ ჩვენს წინაპრად მივიჩნევთ. ჩვენ და ის ერთი მთლიანი არსება ვართ და ამისთვის ვიბრძოლეთ კიდეც“, – განაცხადა მაორის წარმომადგენელმა ჯერარდ ალბერტმა.

მდინარის უფლებებისთვის ბრძოლის პროცესი ახალ ზელანდიაში ყველაზე ხანგრძლივ სასამართლო დავად გადაიქცა. პრესა აღნიშნავდა, რომ ასობით აბორიგენი ამის გამო ბედნიერებისგან ტიროდა.

ქვეყნის ადგილობრივმა ხელისუფლებამ მაორის 8 ტომთან ხელი მოაწერა რეფერენდუმს, რომლის თანახმად, მთა ტარანაკაც (მოქმედი, მაგრამ პასიური



ვულკანი) ცოცხალ არსებად აღიარეს.

მდინარისა და მთისათვის მინიჭებული ახალი სტატუსები ნიშნავდა იმას, რომ მათთვის მიყენებული ზიანი ჩაითვლება მაორის ტომის ადამიანზე მიყენებული ვნების ტოლ დანაშაულად.

ასე ფანატიკურად ეთაყვანებიან მაორები ბუნებას.



მაორი

რით გაორწებით?

უსაფრთხოების მხრივ ახალი ზელანდია რეიტინგით უსწრებს აშშ-ს, ავსტრალიას, დიდ ბრიტანეთს, აგრეთვე, ევროპის ბევრ მოწინავე ქვეყანას.

ექსპერტთა საერთაშორისო ჯგუფმა, რომელიც შედგებოდა სოციოლოგებისა და ეკონომისტების მიერ, სახელმწიფო უსაფრთხოების დონე შეაფასა „მშვიდობისმოყვარეთა გლობალური ინდექსით“. ამ გამოკვლევით ახალმა ზელანდიამ მეორე ადგილი დაიკავა, ქვეყანამ, რომლისთვისაც სრულიად უცხოა ტერაქტები, სადაც არასოდეს არაა ქუჩური გარჩევები.

კიდევ რა არ არის ახალ ზელანდიაში?

არა არის უმუშევრობა, კორუფცია, ქურდობა, არ არსებობს ბავშვთა სახლები, ატომური სადგური, მანანალა ცხოველები, ნაგავი და ნაგავსაყრელი, შემანუხებელი კოლოები, საცობები ქუჩებში (ქვეყანაში, სადაც 4,3 მლნ მცხოვრებს 2,5 მლნ მანქანა აქვს). არ შეიძლება, სიცხეში გამოხვიდე ქუჩაში, თუ არ გიჭირავს ქოლგა ან სახეზე არ გაქვს წასმული მზის დამცავი კრემი.

რა დროც არ უნდა გაატარო ქვეყანაში – კვირა, თვე თუ წელი, მუდამ გოცდები აქაურობითა და აქაურებით.

ადგილობრივთა დაუნერელი წესია: 16:45 საათიდან 17:15 საათამდე ახალზელანდიელებს აქვთ ჩაის სმის რიტუალი და ამ დროს მათ მყუდროებას ვერავინ დაურღვევს.

აქ, ჩვეულებრივ, თევზაობენ როგორც კაცები, ასევე, ქალებიც.

არაერთი უცნაური ტრადიციიდან უნდა გამოიყოს მაორელთა მისაღება – ცხვირის წვერების ერთმანეთთან შეხება.

აქ ვერ აცდები ასეთ მოულოდნელობასაც: ქალაქში ნებისმიერი გამვლელი ესაღმება სრულიად უცხო ადამიანს; ეს მიღებული წესია.

ტრანსპორტიდან ჩასულმა მგზავრმა, როგორც წესი, მადლობა უნდა გადაუხადოს მძღოლს.

ადამიანები აქ იმდენად თბილად და ისეთი მოწინებით ექცევიან ერთმანეთს (მით უფრო, ტურისტებს), რომ არსებობს მოსაზრებაც – ამ კუთხით ახალი ზელანდია მსოფლიოში საუკეთესო ქვეყანაა.

ახალზელანდიელისთვის შეუღლება ნიშნავს ამ ნაბიჯის გადადგმას ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ და სამუდამოდ.

ქორნილის დღეს ახალგაზრდა წყვილს კისერზე წამოაცმევენ მარყუჟიან თოკს, რომელიც სულთა მარადიული კავშირის სიმბოლოა. მაორთა ეს უძველესი ტრადიცია დღემდეა შენარჩუნებული. და საერთოდ, მსოფლიოში ძნელად ნახავთ ოჯახებს, სადაც მათ წვერებს შორის სუფევდეს ასეთი თბილი დამოკიდებულება.

აღსანიშნავია, რომ შეყვარებულები სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოდიან ახალ ზელანდიაში, რომ მაორთა წესებითა და ამ ტომთა გარემოცვაში იქორწინონ.

თანამედროვე ახალზელანდიელებმა მაორებისგან ტაგურიების პრაქტიკა შეიძინეს. განა მარტო სხეულზე, სახეზეც!



ახალი ზელანდიის სოფელი



ჰაკა – მორაგბეთა ეროვნული გუნდი

არ გაგიკვირდეთ, თუ ქუჩაში შეგხვდებით ადამიანი, ვის სახესა და სხეულზე ცარიელი ადგილი არაა – ეს ითვლება ნორმად.

ტატუს თითოეული სიმბოლო თუ ნახატი შეიცავს ინფორმაციას პიროვნების შესახებ – რომელ ტომს მიეკუთვნება, რა სტატუსი აქვს საზოგადოებაში. მაორთა შორის ტატუს მხატვრები განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობენ (სხვათა შორის, მაორებმა დამწერლობა შექმნეს XIX ს.-ში; და ეს ევროპელთა დამსახურებაა).

საუბრის ცალკე თემაა ქუჩების შეუდარებელი სისუფთავე. აკურატულობით ბევრად პედანტური შვეიცარიაც კი არაა ასეთი მოკრიალებული.

ქვეყანაში ახლახან ამოქმედებული კანონის

თანახმად, საგზაო გადასახადებისგან თავისუფლდებიან ელექტრომანქანების მფლობელები (ვინც გარემოს არ აბინძურებს).

ძლიერი ნარკოტიკები, პრაქტიკულად, ქვეყანაში არ არის. მათი გამოყენება და, მით უფრო, გაყიდვა სასტიკად ისჯება.

თავგამოდებული მწველისთვის ძალზე დისკომფორტულია, ჩავიდეს ქვეყანაში, სადაც მონევა, ფაქტობრივად, ყველგან აკრძალულია. იქ ყოფნისას ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, რომ თითქმის მთელმა მოსახლეობამ უარი თქვა ამ მავნე ჩვევაზე.

არ შეიძლება, ტურისტი არ მოხიბლოს ჩვილის ნაციონალურმა ჟღარუნამ, რომელსაც აქვს მყვირალა წითელ-ყვითელი ფერი და გამოსცემს ძალზე სპეციფიკურ ხმას.

ცხოვრების დონით მსოფლიო ქვეყნების ტოპ-ათეულში ახალი ზელანდია მე-8 ადგილზეა.

საბრძოლო სიმღერა

ჰაკა – ეს ახალზელანდიური აბორიგენების – მაორების ტრადიციაა. ის განსაკუთრებული ცეკვაა, რომელიც გულისხმობს აგრესიულ მოძრაობებს, საბრძოლო სიმღერას, ყივილს, ენის ნკლაპუნს, სახის მრისხანე გამომეტყველებასა და კიდევ უამრავ სხვადასხვა ჟესტს.

საუკუნეებია, ამ ნაციონალურ ცეკვას არ შეუცვლია ნირი და ტემპერამენტი. დღეისათვის ჰაკას ყველა მატჩის წინ ასრულებს მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი – ახალი ზელანდიის რაგბის სახელოვანი გუნდი. მაორთა ეს ცეკვა ფეხბურთის, ფრენბურთისა თუ სხვა სპორტული ღონისძიებების დაწყებამდეც სრულდება.

P.S. ახალზელანდიელები, ანუ კვიანელები ის ერია, რომელმაც იცის, რომ „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“. სპორტი აყვანილია კულტის დონემდე. დაკავდეს სპორტის რომელიმე

სახეობით, ისეთივე ბუნებრივია ახალზელანდიელისთვის, როგორც ჭამა და ძილი.

ის, რომ ახალი ზელანდია მონყვეტილია დედამიწის დანარჩენ სამყაროს, ეს უარყოფითად არ აისახა ამ ქვეყნის მოსახლეობაზე. ისინი მუდამ არიან უშუალოები, კეთილმოსურნენი, პროგრესულები, თავისუფლების მოყვარენი.

ასეთი გამოთქმაც არსებობს: ახალი ზელანდია – ეს სამოთხეა დედამიწაზე; საუკუნეთა მანძილზე ქვეყანა მდიდრდებოდა აზიურ და ევროპულ კულტურათა ტრადიციებით და ბუნებრივად ერწყმოდა ადგილობრივს.



ახალი ზელანდიის ყინულოვანი მთები



მწერალ თემურ შავლაძის ესე "ბავშვობა - დაუნერული ლექსი" სათაურიდანვე დადებითად განანსობს მკითხველს. მართლაც, როგორც ავტორი ამბობს, ბავშვობა "დაუნერული ლექსი" და "დიდი პოეზიაა". უზრუნველი ხანაა, როდესაც გაჭირვებარ კი იოლი დასაძლევია და წლების შემდეგ ტკბილად მოსაგონარი: რადგან ბავშვობა, ამავე დროს, არის სილადე და თავისუფლება.

მწერლები, არც თუ იშვიათად, ადარებენ ბავშვობას სამოთხეს. სამოთხეა, როცა გვერდით გყავს მზრუნველი დედა და მამა, საყვარელი და-ძმები, ახლომლოები - ახლოგანზრდები, ჭანსაღები, მოსიყვარულენი. ვფიქრობთ, ასეთი ასოწიარითაა დანერული თემურ შავლაძის გულწრფელი პნკარები, ასე რომ ამშვენებს ესეს:

"ჩემს ბავშვობაში, თურმე, ღვთის ნებით, სამოთხეს უკვე ვიყავ ნამყოფი".

"მე ჩემს ბავშვობას მოვეფერე" - ამბობს ავტორი: თუმარა წერილი, რომელიც ფერადი კნჯებით აწყობილ მოზაიკასა და მესხიერების ვიდეო-კოლაჟს ჰგავს, ამავე დროს, ჩვენი, თითოეულის ბავშვობის გახსენება და მოფერებაა. ბავშვობა ხომ ჩვენი საერთო სამშობლო - სამოთხეა.



თემურ შავლაძე

ბავშვობა - დაუნერული ლექსი

თემურ შავლაძე

ბავშვობა იდუმალეა და ის ადგილიც, რომელიც ყველაზე შთამბეჭდავად აღინუსხება შენს მესხიერებაში, უფრო კი, ცნობიერებით სამყაროში. მე ჩემი ბავშვობიდან მოვდივარ, თქვენ - თქვენი, ისინი - თავისი... და, ამდენად, „აღუვსებელი სანყაულია“ სამყარო სწორედ ბავშვური შთაბეჭდილებებითა და ემოციებით. დიახ, სწორედაც რომ შთაბეჭდილებაა მსაზღვრელი თვით ბიბლიური იგავ-მეტყველებისა(ც), და, მითუმეტეს, ჩვენი სიცოცხლე - ღვთის საჩუქარი.

და ჩემი ბავშვობის ადრეული წლები, ალბათ, განგების ნები(თაც!) ბოლნისსა და ტანძიას დაუკავშირდა. რატომ? უბრალოდ, მამაჩემი მსახურობდა იქ (მეტყვევ-ინჟინრად). თუმცა, სიმართლე გითხრათ, ძალზე ზედაპირულად ვიცნობ ბოლნისის ისტორიას.

პირველი, რაც ბოლნისის ხსენებაზე(დ) მაგონდება - ბოლნისის სიონის ბაზილიკაა, წულრუღაშენის მაღალგუმბათიანი ტაძარი, მდინარე მამავერა, მაღლა მთაზე - სოფელი ტანძია, საბათი და „ნითელი საყდრით“, ქვევით, მდინარე ქცია-ხრამის ხეობაში ფიტარეთი და სუღუთის ციხესიმაგრე, და კიდევ - ულამაზესი მთა-ბარი ცითა და ვარსკვლავებით, მეოცნებე ღრუბლებითა და ბავშვური ცნობიერების უცოდველობით.

ბოლნისში მხოლოდ ორი წელი გავატარე, ანუ, მესამე-მეოთხე კლასების სასკოლო წლები. 1960 წლიდან ისევ თბილისი... აი, თითქოს სულ ეს არის ჩემი ბავშვური ბიოგრაფიის გეოგრაფია(ც); თუმცა, როგორც პოეტი ამბობს, „მაგრამ რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის“-ო!

ბავშვობა ხომ გულისთვალთ ხედვა და სულით მზერაა; და კიდევ აუხსნელი, გონის-გრძნობით გაუცნობიერებელი ჭვრეტა-ხეტება დროსა და სივრცეში; და, ამავდროულად, მარადიულობის ის განუმეორებელი განცდაც, რომ, რაც დღეს არის - მარადიულია, შენია - მუდმივად და წარუხოცელად.

რა თქმა უნდა, არ გეფიქრება არც „წუთისოფელი“ და არც „ამაობა“... ყველაფერი ხასხასაა და კიდევ უკეთესი სხვა ფერი(ს), რომელსაც ვერც გამოთქვამ, ვერც სახელს დაარქმევ და ვერც განემორები - ვერც ვერასოდეს. ბავშვობა ნათელი სიზმარია, სინმინდე, სილამაზე, უცოდველობა - თვით ცოდვის უნებლი(ვ)ობაში. უბრალოდ რომ ვთქვათ, ბავშვობა დიდი პოეზიაა, მუსიკა, ფერწერა - ერთად და განუყოფელად.

იგი, ამავე დროს, დაუნერული ლექსია, სიტყვებით გამოუთქმელი დაუსრულებელი ფერწერული ტილო და





მუსიკალური ბგერების ის ჰარმონია, რომელსაც მხოლოდ შენ გრძნობ, განიცდი, ეთოაცისები და სხვა ვერავინ. ბავშვობა, ნება-უნებურად, ყველაზე მცირე და მაინც, ყველაზე ხანგრძლივი ხანაა ადამიანური ცხოვრებისა, რადგან გონება – ხალასია, მეხსიერება – უნაკლო, მხედველობა – აუმღვრეველი, გული – სუფთა, სული – წმინდა, წამი – საუკუნოვანი, უსაზღვროება – ხელჩასაჭიდი.

თანაც, მუდამ თან გდევს სიყვარული ყველასი და ყოველივესი, ყველა გეფერება და გესათუთება, გიფრთხილდება და გეაღერებს და, შენც, შენი გგონია მთელი სამყარო სიხარულ(ებ)ითა და მრავალფეროვნებ(ებ)ით.

და რაც უფრო გეძალება წლები, მით უფრო უახლოვდები განშორებულ ბავშვობას; თანაც, ეს ხდება გაუცნობიერებლად (ქვეცნობიერად!), შეუმჩნეველად და ამოუხსნელად. გნებავეთ, დავით გურამიშვილის „ქაცვია მწყემსი“ ან აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“ მოვიხმოთ ნიმუშად, თუნდაც, „ნატვრის ხე“ გიორგი ლეონიძისა (და კიდევ რამდენის და რამდენის)...

ღიას, ბავშვობა ის საგანძურია, რომლის ფასეულობასა და ღირებულებას მხოლოდ მაშინ ვაცნობიერებთ, როდესაც „უკვე გვიანია“ და დიდი პოეტის ეს ამოძახილიც სულ გვიფორიაქებს – „ეჰ, წუთით მაინც დაბრუნდებოდეს, ჩვენი ბავშვობა და სილამაზე“ (ლადო ასათიანი).

ღიას, როგორც ჩანს, ასაკისდა მიხედვით, ადამიანს ჯერ დრო შემოჰყავს დროში, მერე კი, ნელ-ნელა დრო გაჰყავს დროიდან... ბავშვობა კი ის ლალი სინამდვილეა, როდესაც პეპელასაც უხარია შენი აღმართ-დაღმართებში დევნა, ზამბახიც თავს გიხრის და ნიაფიც სიოდ ელამუნება შენს ჯერ კიდევ ღვთაებრივ სახიერებას... და თუ შეინარჩუნე ეს ხატება, აი, მაშინ ხარ ბედნიერი და მშვენიერისი.

ქრისტეც ხომ მოძღვრავს მრევლს: ბავშვებს მიჰბაძეთ, მათ მიემსგავსეთ – სინრფელით, სისუფთავით, სიყვარულითო!

აბა, მითხარით, რომელი დიდი თუ მცირე შემოქმედი არ შეჰნატრის ბავშვობის დღეებს, იმ ხანას, „სად აგვეხილნეს პირველ თვალნი“ და „სად რბიოდა მხიარული სიყმაწვილე ნათლად ჩვენი“ (გრიგოლ ორბელიანი).

მართალია, ბევრი ცნობილი თუ უცნობი ადამიანიც დაჩაგრულა ბავშვობის წლებში, მაგრამ მაინც ბავშვობა ხომ ღმერთთან ყოფნა და სიახლოვეა, თანაზიარება და ნეტარებაა; და, სწორედაც რომ, (ამ ნეტარებას) აცნობიერებ დიდობაში. მეც მაქვს ბავშვობისადმი მიძღვნილი ლექსი; რა ვიცი, იქნებ, საინტერესოც; აბა, ინებეთ:



ჩემი ბიბლია იყო ტანძია,
ბოლნისი უფრო „მათეს თავს“ ჰგავდა,
და ვუნოდებდი ყველას საესავს,
განურჩეველად რგავდა თუ რწყავდა.

რა მშვენიერი იყო ბაღნარი,
და უტკბილესი ბაღის ნაყოფი,
ჩემს ბავშვობაში, თურმე, ღვთის ნებით,
სამოთხეს უკვე ვიყავ ნაყოფი.

ო, იმა დღეთა იოანენო,
მარკოზ-ლუკებო, მართავ, მარიამ,
დღევ – მლიმიანო, წვიმამ – მზიანო,
ცისარტყელებო, დილაადრიან...

წავიდა, განჰქრა, ჩანაცრდა, ჩაცხრა,
და რაც გადა(მ)რჩა, ბედის ხიბლია,
იქნებ, ამიტომ ბოლნისთან ერთად,
ჩემი ტანძია იყო ბიბლია...



და, როგორც აღვნიშნე, ჩემი დაბადება თბილისს, ბავშვობა კი (ადრეული წლები!) ტანძიასა და ბოლნისს უკავშირდება.

ბოლნისს, თურმე, XVIII-XIX ს.ს-ში ჯერ „კატერინფილდი“, შემდეგ კი „ლუქსემბურგი“ ერქვა (აქ გადმოსახლებული გერმანელი ემიგრანტების მიერ დარქმეული!), ნინა საუკუნეში კი კვლავ ბოლნისადაა დასახლებული. თუმცა, დღესაც ბოლნისი იმ ძველი გერმანელების აშენებული სახლებით კოპნიაობს!

რატომ მოვყევი? იმიტომ, რომ ბავშვობა მართლა „ბედის ხიბლია“ – შთამბეჭდავი და განუმორებელი.

მართლაც, ცამდე მართალი იყო „პატარა უფლისწულის“ ავტორი, როდესაც აცხადებდა – „ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ!“ (ეკზიუპერი). შეიძლება, დაგვემატებინა: ბავშვობიდან მოვდივართ და (კვლავ) ბავშვობისკენ მივდივართ...

სიბერეც, გარკვეულწილად, კვლავ ბავშვობასთან მიწევნაა, ოღონდ, ცნობიერ ბავშვობასთან, და, ამავე დროს, დაუბრუნებლის ტკივილთან. „ნეტავ, ისევ დაბრუნდებოდა“-ო! მაგრამ ჩავლილ მდინარეს უკან როგორ შემოაბრუნებ? ეს შეუძლებელია. და შენც, მხატვრულ ლიტერატურას რომ დაუბრუნდეთ, ისევ „ტომ სოიერისა და ჰეკლბერ ფინის თავგადასავალთან“ რჩები, რეზო ინანიშვილის „კუკრუჭანების“ სიტკბოსთან, სითბოსთან, ხიბლთან, სევდასთან...

გნებავთ, ვაჟა-ფშაველას მოგონებანი გაისხენეთ ბავშვობაზე, გნებავთ, ნებისმიერი თქვენგანისა თუ უცნობ-ნაცნობის ბავშვობა დიდობაში; უფრო სწორად, „მოგონებანი გარდასულ დღეთა“, – ეს უკვე სულის სიმთა მუსიკაა, ტალღების ხმაურის „სიმფონია“ თუ განუმეორებელი კოსმიური „მრავალყამიერი“.

დიახ, ამიტომ მეც, როგორც ნებისმიერი თქვენგანი, ბავშვობიდან მოვდივარ და მოვაბიჯებ. მართალია, იმ ჰაეროვანი-მოტანტალე ბიჭის ნაბიჯები, დღეს, ცოტა კი დამძიმდა, და მაინც, მოგონება ისევ აჰაეროვნებს და აჰარმონიულებს ყოფიერებას, „გულის ცნობას(ა) და გონება(ს)“.

ისე კი, მართლა საინტერესოა, როგორი ბავშვობა ექნებოდა რუსთაველს, რადგან ბავშვისთვის ხომ მთელი სამყარო ერთიანია – სწორედ „გული(თ), ცნობით(ა) და გონებით(თ)“ წმიდა და აუმღვრეველი.

განა, ყოველდღე არ ხვდებით თქვენ ნოდარ დუმბაძის ზურიკელას („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“), ანდა შენი ბავშვობის ეზოებს, „ადამიანთა დაუხარბებელი თვალების ღიმილს“ (რეზო ინანიშვილი „ჩემი ბავშვობის ეზოები“) და კიდევ ამოუნურავ მშვენიერებას, რომელსაც შენი ბავშვობა ჰქვია...

და ამ მშვენიერების მარადიულნი სახე-ხატნია დედა, მამა, და, ძმა, ახლობლები და თანამოასაკენი... ცა – ოფოფებით, მდელონი – პეპლებით, ყრამული ჩიტებითა და გზები მარადიულობით... დიახ, ბავშვობა მარადიულობაა და ჩვენც საბოლო(ვ)ოდ სწორედ ამ მარადიულობას ვუერთდებით...

ჩვენ ჩვენი ბავშვობა გვეძახის და გვასულდგმულებს... ანუ ის ხანა, „სადაც აღგვენტო პირველად გულს ცეცხლი სიყვარულისა (გრიგოლ ორბელიანი). თუმცა ეს უკვე სულ სხვა თემა და საკითხავია...

მაშ, ნინ, მშვენიერებისა და ბავშვობისაკენ. და მეც, უბრალოდ, ჩემს ბავშვობას მოვეფერე...

ახლა უკვე ექვს ათეულს „გადამცდარ-გადაბიჯებული“...





მიხეილ
სალტიკოვ-შჩედრინი

XIX ს.-ის წინააღმდეგო რუსი საცივიკოსის, მწერლისა და პუნლივისტის - მიხეილ სალტიკოვ-შჩედრინის (ნამდვილი გვარია - სალტიკოვი, შჩედრინი - ფსევდონიმი) შემოქმედებისთვის დამახასიათებელია სარკაზმი, რითაჲ ის "ამკომს" თავის პერსონაჲებს, წინააღმდეგო იუმორი, თანამედროვე ულერადობას რომ უნარჩუნებს 150 წლის წინანდელ სატქმელს.

დიდი მხატვრული ლირებულება აქვს მწერლის ზღაპრებსაჲ. რომლებშიჲ ალევგორიული ფორმითაა ნაჩვენები მატონ-ხელისუფალითა, ამა სოფლის უგუნურთა თუ სოციუმს გარიდებულთა მანკიერებანი.

"ბრძენი წიგორი" გვიყვება ამბავს ერთ საწოდაჲ არსებაჲჲ, პატარა თევზზე, მხოლოდ საკუთარ ნაჲყუჲში ყოფნა რომ ანდენიერებს: წიგორი იმ უამრავი წიგორის განზოგადებული სახეა, მრავლად რომ არიან ჩვენს გვერდით. ისინი არავის არასოდეს არაფრით ანუხებენ და არჲ არანაირი სარგებელია მათგან. მწერალს ებრალებიან ისინი, "წიგორული ფსიქოლოგიით" დაავადებულნი. "ისე უნდა იფხოვრო, რომ არავინ შეგამჩნიოს", - ფიქრობენ ისინი და თურმე ეს საკმარისია, ამქვეყნად შენი მოსვლა რომ გაამართლო თანავრობის, სიკეთის, თანადგომის გარეშე.

ბრძენი წიგორი*

მიხეილ სალტიკოვ-შჩედრინი

თარგმნა დალი მუხაძე

ამ ქვეყანაზე ერთი წიგორი ცხოვრობდა. მშობლები ჭკვიანები ჰყავდა ჩვენს წიგორს. მდინარეში ისე იცხოვრეს, რომ არც თევზის წვნიანში მოხვედრილან, არც ქარიყლაპიას ხახაში. შვილსაც ასე ზრდიდნენ:

- დაუკვირდი, შვილო, - არიგებდა მომაკვდავი მოხუცი მამა წიგორი, - თუ გინდა, ცხოვრებით დატკბე, ფრთხილად იყავი, ფრთხილად!

ახალგაზრდა წიგორის ჭკუა ხომ ლაყურებიდან ჟონავდა, მაგრამ რა?! ხედავს, გარშემო დიდი თევზები დაცურავენ, ნებისმიერს შეუძლია, ეს პატარა წიგორი გადასანსლოს, თვითონ კი ვერავის შეჭამს, ან რაში სჭირდება ვინმეს შეჭმა? კიბოს შეუძლია, თავისი მჭრელი ჭანგებით შუაზე გაჭრას; წყლის ბალღინჯო კი თუ ხერხემალში ჩაუსახლდა, მერე მორჩა, სიკვდილამდე აწამებს, თავისი ნათესავი წიგორიც კი ერჩის - სიმწრით დაჭერილ კოლოს წაართმევს და ატყდება მერე ერთი ამბავი! წიგორები კოლოს გაყოფაშიც ერთმანეთს სცემენ და სულ ციდა ნადავლსაც არ შეარჩენენ.

ადამიანი? - ოო, ეს რა საშინელი ქმნილებაა! როგორი მზაკვრობა მოიგონა საწყალი წიგორის დასაჭერად: ბადეებო, წყლის დაშრობაო, და ბოლოს... ანკესი! ესეც რა სულელური რამაა, ჯოხი, ძაფი, კაუჭი და მასზე ამოცმული სატყუარა - ბუზი, ან ჭიაყელა! არადა, სწორედ რომ ანკესზე წამოეგება ყველაზე მეტი წიგორი!

- ანკესს ერიდე, ანკესს! - არიგებდა მოხუცი წიგორი შვილს, - მართალია, სულელური გამოგონებაა, მაგრამ ჩვენ, წიგორები, ხომ მაინცდამაინც სისულელეს უნდა შევეწიროთ, გაურჭობენ ბუზს ანკესს, მიგიტყუებენ და მორჩა! სწორედ ამ ბუზშია სიკვდილი!

მოხუცი წიგორი იმასაც ჰყვებოდა, თუ როგორ გადაურჩა თევზის წვნიანში მოხვედრას. ერთხელ მდინარის გასწვრივ მთელი არტელი** თევზაობდა. გაშალეს ბადე. ხო, ხო, ხო, რამდენი თევზი მოჰყვა ამ ბადეში! ქარიყლაპიები, ქორჭილები, ნაფოტა თევზები, კაპარჭანები, წიგორებს კი ვერც დაითვლიდი! საწყალი მოხუცი წიგორი როგორ შეშინდა! მიჰყავთ და არ იცის, სად! ხედავს, ერთ მხარეს ქარიყლაპია უწევს, მეორე მხარეს ქორჭილა. დაფეთებული ფიქრობს, ან ახლა შემჭამს ეს ორი თევზი, ან ახლაო; მაგრამ ვის სცალია ჭამისთვის, ყველას მოახლოებული სიკვდილის ეშინია. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, მთელი ეს ნადავლი ერთ გამლილ მინდორზე გადმოყარეს. აი, იქ მიხვდა, რაც იყო უხა!***



* - კობრისებრთა ოჯახის პატარა თევზი. ** - ერთი ხელობის ადამიანთა გაერთიანება რაიმე საქმიანობისთვის. *** - ახალი თევზისგან მომზადებული წვნიანი კერძი.



შუა მინდორზე კოცონი ენთო, ცეცხლზე მუქი რაღაც იყო შემოდგმული, შიგ წყალი ესხა და, როგორც ქარიშხლისას ტბა, წყალიც ისე ბორგავდა. ამბობდნენ, ეს რაღაცა კარდალა არისო; კიდევ ამბობდნენ, ამ წყალში თევზს ჩაყრი და უხაც მზადააო.

...და დაიწყეს თევზის ჩაყრა ქაფქაფა წყალში; ზოგი ხტება უკან, ზოგიც თვალებს საცოდავად კარკლავს, თითქოს უხას უსინჯავს გემოს. წყალში განურჩევლად ბევრი ჩაყარეს. ბოლოს ერთმა მოხუცმა მეთევზემ თქვა:

– ამ პატარა ციმორისგან რა სარგებელი იქნება, გავუშვათ მდინარეში, წამოიზრდება და!..

და გაუშვეს.

აბა, მოუსვა სახლისაკენ ციმორმა, ცოლიც შიშისგან ცოცხალ-მკვდარი დახვდა. მაგრამ რა?! რამდენი არ ილაპარაკა მოხუცმა ციმორმა, რა იყო უხა, რას ნიშნავდა მასში მოხვედრა, მაინც ვერავის ვერაფერი გააგებინა.

მხოლოდ ციმორის ვაჟმა, ახალგაზრდა ციმორმა ყველაფერი კარგად გაიგო და დაიმახსოვრა. ის ხომ განათლებული, ერუდირებული, საშუალოდღობერალი იყო და იცოდა, ცხოვრება არც ისე იოლი რამააო.

– ისე უნდა იცხოვრო, რომ არავინ შეგამჩნიოს, – ფიქრობდა ციმორი, – თუ არადა, დაილუპები!

მოკლედ, ამ ჩვენმა ბრძენმა ციმორმა ჯერ სორო გააკეთა ისეთი, შიგ მარტო თვითონ ეტეოდა; მთელი წელი ცხვრით თხრიდა, კარგადაც ამოთხარა, შეძვრა იქ და გაისუსა. შემდეგ გადანყვიტა, როგორ ეცხოვრა; ღამით, როცა ყველას ეძინა, ის მაშინ გამოდიოდა სარჩოს მოსაპოვებლად, დღისით კი რჩებოდა თავის სოროში თავჩარგული და აკანკალებული. ღამის მოციონი მთვარის შუქზე ბანაობით მთავრდებოდა, დღისით კი სოროში იწვა და შიშით ცახცახებდა.

დღეები დღეებს მიჰყვებოდნენ. ციმორი იწვა თავისთვის სოროში დამალული და უხაროდა, რომ ცოცხალია. რაღაცას ხომ პოულობდა საკვებად, ან კალიას, ან წყლის ხოჭოს! ესეც საკმარისი იყო!

ერთხელ ციმორმა ჩათვლიდა და რას ხედავს: მომგებიანი ბილეთი უჭირავს, რაოდენობით – 200.000! აღტაცებული ტრიალებს სოროში და – უი! ცხვირი ნახევრად უკვე გარეთა აქვს გამოყოფილი. ეღვიძება დაფეთებულს; ხომ შეიძლებოდა, ქარიყლაპიას შეემჩნია ის და გამოეთრია იმ თავისი სოროდან! მერე?!

იმ დღესაც გამოეღვიძა და გაშეშდა: მის წინ კიბორჩხალა იდგა გაუნძრევლად, მოჯადოებულივით, თავისი დიდი გადმოკარკლული თვალებით, მხოლოდ უღვაშებს ურხევდა წყლის დინება. აი, ამ დროს კი ძალიან შეშინდა ჩვენი ბრძენი ციმორი. მიიყუყა სოროში და მთელი დღე და ღამე გარეთ ცხვრიც არ გამოუყვია.

ერთხელ იყო და, კინაღამ ქარიყლაპიამ პირი ჩაავლო, მაშინ, როცა გემრიელად იზმორებოდა და უნდა დაეძინა. კბილებაკანკანებული ქარიყლაპია მთელი დღე ელოდებოდა მსხვერპლს, მაგრამ ბრძენი „მსხვერპლი“ ვერაფრით გამოიტყუა სოროდან.

და ყველაფერი ისევ მეორდებოდა და მეორდებოდა. ციმორი კი მაინც კმაყოფილი იყო.


– დიდება, შენდა, ღმერთო! ცოცხალი ვარ! – შეჰლაღადებდა ღმერთს.

ამასობაში ციმორი არც დაქორწინდა, არც შვილები გაიჩინა; მოკლედ, მამას არ დაემგვანა. „ბრძენი“ თევზი „ბრძნულად“ მსჯელობდა:

– მამაჩემს რა ენაღვლებოდა! იმის დროს ქარიყლაპია

კეთილი იყო, ქორჭილაც არ ერჩოდა. მართალია, უხაში მოხვედრას ერთმა მოხუცმა გადაარჩინა, მაგრამ სხვა თევზი ხომ უამრავი დაიხოცა! ეე, რა დროს ოჯახია, მთავარია, თავი გადაირჩინო!

...და იცხოვრა ბრძენმა ციმორმა ასეთი ცხოვრებით ასე წელი. სულ ეშინოდა, სულ კანკალებდა; არც მეგობრები ჰყავდა, არც ახლობლები, კარტს არ თამაშობდა, სტუმრად არ დადიოდა, თუთუნს არ ეწეოდა, არც ქალებში დაცურავდა. მხოლოდ იწვა აცახცახებული სოროში და ფიქრობდა, „რა ბედნიერებაა, მგონი, ცოცხალი ვარ!“





ბოლო დროს ქარიყლაპიებმა დაიწყეს ციმორის ქება, მაინც, რა ბედნიერად ვცხოვრობდით და ეს ციმორის დამსახურება იყო, რა სიმშვიდე სუფევდა მდინარეშიო! ამას ციმორის გასაგონად განგებ ამბობდნენ, იქნებ, გარეთ გამოცუროს და თავი მოიწონოსო, მაგრამ, ნურას უკაცრავად! ციმორი არ ტყუედებოდა!

ასი წლის შემდეგ კიდევ რამდენმა წელმა ჩაიარა, არავინ იცის. უკვე მომაკვდავი ბრძენი, ბებერი ციმორი იწვა სოროში და ფიქრობდა:

– მადლობა ღმერთს, როგორც ჩემი დედ-მამა, მეც ჩემივე სიკვდილით ვკვდები.

მოაგონდა ქარიყლაპიების სიტყვებიც, ვცხოვრობდით მშვიდად, როგორც ის ბრძენი ციმორიო.

– ისე, რა მოხდებოდა, სხვებსაც რომ ასე ეცხოვრათ?

– ფიქრობდა ბრძენი, – რა და, ციმორთა მთელი მოდგმა გადაშენდებოდა! გვარის გამგრძელებელიც არ ეყოლებოდა. რომც ჰყოლოდა შვილები, მარტო ეს არ იკმარებდა! პატარებს წყლის სტიქიაში უნდათ გაზრდა და არა ბნელ სოროში ჯდომა და კანკალი. კვებაც ხომ უნდოდათ, ურთიერთობაც, საზოგადოებაც, თანაცხოვრებაც – ყველაფერი ეს სრულყოფდა ციმორების მომავალ თაობას.

ტყუილად ფიქრობდნენ, რომ პატივსაცემია ის ციმორი,

რომელიც მთელი ცხოვრება შეუმჩნევლად სოროში ცხოვრობს. არა, ისინი მოქალაქეები არ არიან, უსარგებლო, უღირსი, არაფრის მაქნისი თევზები არიან და საკვებსაც ტყუილად იღებენ!

ყველაფერი ეს რომ წარმოიდგინა, ბრძენი ციმორი გაბრაზდა; მოდი, ახლა გარეთ გავალ და მთელ მდინარეს ცურვით ჩავივლიო, იფიქრა. მაგრამ ამჯერადაც შეეშინდა და აკანკალებული ისევ სასიკვდილოდ მოემზადა. ცოცხალი იყო – ეშინოდა, კვდებოდა – ეშინოდა! მთელმა მისმა ცხოვრებამ თვალწინ ჩაუარა: რა უხაროდა? ვის უთხრა კეთილი სიტყვა ან ვის ურჩია რამე? რა სიკეთე გააკეთა, ვინ შეიფარა, ან ვინ გაათბო? ვის მიეხმარა, ვინ დაიცვა, საერთოდ, ვინ იცოდა მისი არსებობის შესახებ? ა რ ა ვ ი ნ !

ვინრო, ჩაბნელებულ სოროში კვდება ბებერი ციმორი, გარეთ კი დაქრიან თევზები, ხმაურობენ; მათ შორის, ციმორებიც, მაგრამ არც ერთს არ ახსენდება მომაკვდავი თევზი. არავინ ფიქრობს, მოდი, შევეკითხები ბრძენ ციმორს, როგორ იცხოვრა ასზე მეტი წელი ისე, რომ არც ანკესზე წამოეგო, ვერც ქარიყლაპიამ შესანსლა, არც კიბორჩხალამ გაბრდღვანა და არც ბადეში მოხვდა.

დასანანი კი ის არის, რომ ამ ახალგაზრდა თევზებმა არც კი იცოდნენ, ვინ შეარქვა ციმორს

„ბრძენი“ და რატომ. ეს ბუტუსურა არავის არაფერს აჭმევდა, არ ასმევდა, მხოლოდ თავის თავზე ფიქრობდა, არავის დარდი და სიყვარული აწუხებდა, არავის არასდროს გამასპინძლებია! ასეთებს, საერთოდ, წყალი როგორ იტევს!

სიკვდილის წინ ციმორს ისევ ეზმანა, ვითომ 200.000 მოიგო, მერე ისეთი უშველებელი გახდა, იქით ყლაპავდა დიდ თევზებს.

ამ სიზმრით გახარებულმა იმდენი იტრიალა სოროში, რომ ცხვირი გარეთ გამოყო, თითქმის ნახევარი ტანით გარეთ გამოცურდა და... გ ა ქ რ ა !

რა მოხდა, ქარიყლაპიამ შესანსლა, კიბომ გადაჭრა თუ თვითონ მოკვდა და მერე წყლის ზედაპირზე ამოტივტივდა, არავინ იცის. ალბათ, თვითონ მოკვდა, თორემ დიდ თევზს, აბა, რად უნდოდა ბებერი, გამოფიტული, მომაკვდავი ციმორი, თუნდაც, ბრძენი?





“უკვე ვიცი: მასწავლებელმა ყოველთვის მოსწავლეებთან ერთად (და არა მარტო) უნდა იმუშაოს საკუთარ თავზე: ჩემთვის სამუშაო გამოარდილება დაინყო სტუდენტობიდან: ვაკვეთილები, რომლებსაც ახლა ვაჭარებ, მაშინ იგეგმებოდა, როცა ვორენებოდი კლასზე და პატარებზე, რომელთა წინაშეც ახლა ასეთი პასუხისმგებლობით ვდგავარ”, – გვითხრა თბილისის 106-ე საჯარო სკოლის დანაწესებითი კლასების მასწავლებელმა – ანა შოშიაშვილმა.

თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტის დასრულებისთანავე ჩააბარა მასწავლებლის სასერთიფიკატო გამოცდები (დანაწესებითი საფეხურის, 1-4 კლასის ინტეგრირებული სწავლების).

“ყოველთვის ვიყო, სად იყო ჩემი ადგილი და რა მსურდა. მიზანს მივალნიე და ვეჭიდები ურთულეს საქმეს, რომელიც სიამოვნებას მანიჭებს”, – ამბობს ანა შოშიაშვილი: დამწყები პედაგოგი, რომელსაც მუშაობის ჯერ მხოლოდ ერთი წლის სტაჟი აქვს: აკადემიური საათის ფორმატში ანა მუდმივად სიახლეების ძიებაშია და ამიტომაცაა, “მათე ზიჯის ოინებში” გამხიარულებული ვაკვეთილის შესახებ ასეთი ხალისით ვკვიცვბა.

„მათე კაცუნას“ ოინები და სხვა...

ანა შოშიაშვილი

ადვილი არ არის, 28 სიცოცხლით სავსე და სიახლის მაძიებელი ბავშვის სურვილების გათვალისწინება, თითოეულის ეპიცენტრში დარჩენა. პატარა, ზოგადად, ადვილად გენდობა; მაგრამ, აუცილებელია, იყო გულწრფელი, რომ უფროს მეგობრად და „მისიანად“ მიგილოს; საჭიროა, იარო მისთვის საინტერესო გზით და ნაბიჯ-ნაბიჯ მიანოდო გონებისთვის ასაკენკი მიმზიდველი ამბები.

ჩვენი ყოველი საგაკვეთილო, ანუ საურთიერთობო დღე იწყება დაახლოებით ასეთი კითხვის დასმით:

– აბა, ჩემო პატარებო, იმედია, ამჯერადაც გამახარებთ და მეტყვით, რომ ყველანი შესანიშნავ გუნებაზე ხართ! ხომ ასეა?!

ეს საშუალებაა, არა მარტო გავიგო პატარების იმდღევანდელი განწყობა; არანაკლებ საჭიროა, შეიქმნას გულთა გარემო. ამ დროს პატარების ანეული ცერა მათი საპასუხო მესიჯია.

თითოეული მათგანი ჩემთვის რომ განსაკუთრებულია და მათი აზრიც მნიშვნელოვანი, ეს ძალიან კარგად იციან ჩემმა პატარებმა.

იმ დღესაც შეკითხვის დასმის შემდეგ მოსწავლეთა უმრავლესობამ ცერა თითი ზევით ასწია. მაგრამ შევამჩნიე, რომ მათ შორის ორმა ბავშვმა „თავი შეიკავა“ პასუხისგან; ანუ, ეს იმას ნიშნავდა, რომ ვაკვეთილის დანყებამდე მათი უხასიათობის მიზეზი უნდა გამომერკვია.

ჯერ მივედი ერთ-ერთთან, ვისი მერხიც უფრო ახლოს იყო ჩემგან. დაბნეული მეჩვენა:

– ანა მასწავლებელო, რვეული სახლში დამრჩენია და...

რა თქმა უნდა, ამის გამო ვერ ვუსაყვედურებდი. მე დაგეხმარები, დავამშვიდე და მივანოდე ჩემი რვეული; ნება დავრთე, საკლასო სამუშაო იქ შეესრულებინა.

მერე მივუახლოვდი მეორე მოსწავლეს:

– აბა, ახლა შენგან გავიგოთ, რატომ არ აგვინიე ცერა თითი? პასუხი თითქოს მზად ჰქონდა:

– არც დავალბა მაქვს შესრულებული და არც განწყობა მაქვს... მასაც დაუწყვავე და ავუხსენი, რომ, შეეძლო, მეორე დღისთვის მოეტანა წინა დღის დავალბება.

– განწყობას კი აუცილებლად ახლავე „გამოვიძახებთ“, – ვუთხარი ღიმილით. პატარებს საყვედური მოტივაციას უკარგავს; გამხნეება, გვერდში დგომა და შექება უღვიძებთ სურვილს, ჩემთან ერთად ისინიც პოზიტიურად განენყონ სასწავლო პროცესისთვის.

იმ დღეს გექონდა მათემატიკის ვაკვეთილი. ვიდრე უშუალოდ ახალი თემის ახსნაზე გადავიდოდი, გადავწყვიტე, წინასწარ მოფიქრებული ოინით გამეხალისებინა პატარები.



„მათე კაცუნა“



„მათე კაცუნას“ ჯადოსნური სამყარო

განვუმარტე, რომ ხელში მიჭირავს ჩვეულებრივი კი არა, ჯადოსნური ყუთი და მათ უნდა გამოიცნონ, რა იმალება ყუთში.

იქ იდო ჩემს მიერ დახატული და ჭრელა-ჭრულა ტანსაცმელში გამოწყობილი კაცუნა, რომელსაც ხელში ეჭირა დიდი ბინოკლი. ამ „ჯადოსნურ“ არსებას, სახელად მათეს, უნდა გაეოცებინა პატარები.

ყუთის უცნობ ნივთთან დაკავშირებით მოსწავლეებს ჰქონდათ სხვადასხვა ვერსია, რომელსაც მისაბუთებდნენ კიდეც.

ერთ-ერთ ვერსიად დამისახელეს გეომეტრიული ფიგურები,

სამკუთხედები და ოთხკუთხედები, წინა გაკვეთილზე ნასწავლი; გაიხსენეს, აგრეთვე, მიმატებისა და გამოკლების ნიშნები, რადგან მათ დაუხმარებლად ვერც ერთ დავალებას ვერ შევასრულებთო; ითქვა ტოლობის ნიშანზეც, მათემატიკურ გამოცანებზეც, გასართობებზეც და ა.შ.

საბოლოოდ, როცა მათში უდიდესი დაინტერესება გამოვიწვიე, გამოვაჩინე ჩემი ფერადი კაცუნა.

მათეს წარდგენა კლასისთვის იყო მოულოდნელი და, ამდენად, ეფექტური. პატარები გამხიარულდნენ. დავინყე, რა თქმა უნდა, ჯადოსნურ კაცუნაზე შეთხზული ამბის მოყოლა:

– ბავშვებო, ამ საყვარელ კაცუნას ჰქვია მათე და ის არის მათემატიკის ჯადოსნური სამყაროს პრინცი. ის თავისი დიდი ბინოკლით გვაკვირდება და ჩვენთვის არჩევს სხვადასხვა მათემატიკურ დავალებას, მერე სათითაოდ რომ გამოგვიგზავნოს. ირგვლივ მათეს შემოკრებილი ჰყავს შეგირდები და, იცით, ისინი ვინ არიან: სხვადასხვა ფორმის ფიგურები, რიცხვები და ნიშნები. ეს ნიშნები მათეს დავალებებს ასრულებენ; მათი დახმარებით კი, ჩვენ შევძლებთ, უკეთ გავეცნოთ მათემატიკურ სამყაროს, რომელიც ჯადოსნურია. იქ ცხოვრობენ მხოლოდ მათემატიკური არსებები...

მოსწავლეები კიდეც უფრო გახალისდნენ.

– მე მათეს ყველაფერს დავუჯერებ და დავალებებსაც შევუსრულებ! – მერხიდან წამოიძახა ერთ-ერთმა ბავშვმა.

– თქვენც ხომ მოეხმარებით მათეს? – იკითხა სხვამ.

ამის შემდეგ წარმოვაჩინე ახალი აქტივობა – „მათეს“ ყუთიდან ფერადი ჩხირები გამოვაჩინე, ერთი შეხედვით, არაფრით გამორჩეული. ამჯერადაც მივმართე მოსწავლეებს:

– იცით, ჩემო პატარებო, რომ „მათე კაცუნა“ სათითაოდ გიცნობთ. თქვენი სახელები და გვარები ჩხირებზეც მან წააწერა. მაგრამ თქვენს გამოძახებას დაფასთან გადამწყვეტენ სწორედ ეს გონიერი და ჯადოსნური ჩხირები.

დაფასთან გამოძახების თანმიმდევრობა, მართლაც რომ, არ დაგვირღვევია. შემდეგ და შემდეგ, ყუთიდან ამომქონდა ჩხირი და ვისი სახელიც ზედ ეწერა, დაფასთან ის გამოდიოდა.



ჩვენი ჯადოსნური ყუთი და ჩხირები



სასწავლო პროცესი თამაშის ასეთი მხიარული წესებით მიგვყავს. მოსწავლეებს არც იმის განცდა აქვთ, რომ მასწავლებელმა რომელიმე გამოარჩია. მათ სჯერათ, რომ ყველაფერი ჯადოსნური ჩხირების ხელშია და მათ ნებაზეა დამოკიდებული, თუ ვინ შეასრულებს მათეს მიერ შემოთავაზებულ დავალებას. დაფასთან გამოსვლაც იმიტომ ახალისებთ, რომ ჩხირზე, რომელიც „ბრმად“ ამომაქვს, მათი სახელი და გვარი აწერია.

სასწავლო პროცესში ვიყენებ კიდევ ერთ თვალსაჩინოებას (მათემატიკის გარდა ვასწავლი ქართულს, ბუნებისმეტყველებას, ხელოვნებასა და სპორტს) – ესაა ხელის ფორმის ბარათები, რომელიც პატარებმა ხელოვნების გაკვეთილზე დაამზადეს; თითოეულმა გამოჭრა თავისი ხელის ფორმა და ერთი მხარე წითლად გააფერადა, მეორე კი – მწვანედ.

დაფასთან გამოსული თანაკლასელის პასუხებს ვინც ეთანხმება, მალლა სწევს მწვანე მხრიდან შეღებილ ბარათს, ვინც არა – წითლად გაფერადებულს.

ამ შემთხვევაში მოსწავლემ თავისი განსხვავებული მოსაზრებაც უნდა დაასაბუთოს, რატომაც ასწია „წითელი“ ბარათი.

საბოლოოდ, რა თქმა უნდა, მე ვწყვეტ, ვინაა სწორი და ვისი აზრია მცდარი.

დანებით საფეხურზე ყველაფერი განსხვავებულია; პატარებს, რაც შეიძლება, მეტი ფერი და ჯადოსნური ამბავი უნდა შესთავაზო. „მათე კაცუნაც“ ამიტომ დაიბადა.

ერთ-ერთ გაკვეთილზე მოსწავლეებს დავავალე, წარმოედგინათ ქალაქი, სადაც ცხოვრობს „მათე კაცუნა“; გაეფორმებინათ ნახატები ფერადი ფურცლებით, ფანქრებით, საღებავებით. ამასთან, უნდა მოეფიქრებინათ მათემატიკური „ფერადი გაკვეთილებიც“. მერე მოვანწყვეთ გამოფენა. ეს ე.წ. „ფერადი გაკვეთილები“, „გამოცანები“ იყო 10-ის ფარგლებში შესრულებული მიმატება-გამოკლება, ან რიცხვების შედარება მეტობა-ნაკლებობით.



ანა შოშიაშვილი გაკვეთილზე

როგორია „ფერადი გამოცანა?“

მაგალითად, ერთ-ერთმა მოსწავლემ მარჯვნივ დახატა სამი გული, მარცხნივ ხუთი ლამაზი ყვავილი და თანაკლასელებს სთხოვა, მათ შორის დაენერათ მეტობისა და ნაკლებობის ნიშნები. ჩვენს მათემატიკურ გამოფენაზე დახატული იყო, აგრეთვე, ფისოები, ბაჭიები, ვაშლები, წრუნუნები, ჩიტები, თევზები და ა.შ.

ასე აქციეს ჩემმა ბავშვებმა რიცხვები სხვადასხვა ფიგურად და გამოსახულებად. ასე შეძლეს, გაეხალისებინათ დავალება.

გაკვეთილის ბოლოს დავსვი კითხვები: რა ვისწავლეთ? რა იყო საინტერესო? რა ვერ გავიგეთ? რას ვურჩევდით ან თანაკლასელს ან მასწავლებელს?

ერთმა ბავშვმა მიპასუხა, რომ გაკვეთილი იმიტომ იყო საინტერესო, რომ ჩხირმა დაფასთან ის „გამოიძახა“ და „მათეს“ მაგალითიც სწორად ამოხსნა.

ერთმა გულუბრყვილოდ იკითხა, მასწავლებელსაც ეხმარება გაკვეთილის ჩატარებაში „მათე კაცუნაო“?

„მათე კაცუნასი“ არ ვიცი, მაგრამ ჩემი პატარები მართლა „მეხმარებიან“, რომ უკეთ გავიგო, რა არის მათთვის უფრო მნიშვნელოვანი და სახალისო.

ასე მხიარულად და საინტერესოდ დასრულდა მათემატიკისა და ხელოვნების ინტეგრირებული გაკვეთილები თბილისის 106-ე სკოლის 1(6) კლასში.



გენიალური ლეონარდო და ვინჩი გარდაცვალებიდან 500 წელი



ლეონარდო და ვინჩი

1452 წლის 15 აპრილს მსოფლიოს მოეცლინა, როგორც შემდგომ მასზე იტყვიან, ადამიანის საუკეთესო ნიმუში, ყველა დროისა და ხალხის ყველაზე გამოჩენილი ადამიანი – ლეონარდო და ვინჩი. მისმა გამოგონებებმა საუკუნეებს გაუსწრო. ალორძინების ეპოქის ე.წ. "უნივერსალური ადამიანი", იტალიელი ლეონარდო და ვინჩი – ერთდროულად იყო არქიტექტორი, მოქანდაკე, მხატვარი, მწერალი, მათემატიკოსი, მეცნიერ-გამომგონებელი, ინჟინერი, ანატომისტი, ბოტანიკოსი, ბუნებისმეტყველი, გეოლოგი, კარტოგრაფი, მუსიკოსი...

ანკიანო – სოფელი, სადაც დაიბადა

ლეონარდო და ვინჩი დაიბადა სოფელ ანკიანოში, პატარა ქალაქ ვინჩის მახლობლად (ფლორენციასთან). ამიტომაც იხსენიებენ მას „და ვინჩად“.

აღსანიშნავია უბის ნიგნაკში ლეონარდოს ბაბუის, ანტონიო და ვინჩის ჩანაწერი: „შაბათს, ღამის 3 საათზე, 15 აპრილს დაიბადა ჩემი შვილიშვილი, ჩემი ვაჟის – პიეროს შვილი. ბიჭუნას დაარქვეს ლეონარდო. ის მონათლა მამა პიერო დი ბართლომე“.

მომავალი გენიოსის მამა – პიერო მდიდარი ნოტარიუსი, მინათმფლობელი და ფლორენციაში ყველაზე ცნობილი ადამიანი იყო; ხოლო დედა – კატერინა – გლეხის გოგონა. პირველი წლები ლეონარდომ გაატარა დედასთან. პიერო და ვინჩი კი მალევე დაქორწინდა მდიდარ და ცნობილ ქალიშვილზე; თუმცა შეუღლებულნი აღმოჩნდნენ უშვილონი და ერთმანეთს გაეყარნენ. 3 წლის პატარა ლეონარდო მამამ წაიყვანა საკუთარ სახლში. მშობელს მონყვეტილი ბიჭუნა მთელი ცხოვრება ცდილობდა, თავის შედეგებში გაეცოცხლებინა დედის სახება. ბებია – ლუჩია დი ზოსომ დედის მაგივრობაც გაუნია და მანვე აზიარა მომავალი შემოქმედი თამამ აზროვნებას.

გადაგდებული ფუნჯი

ლეონარდო იყო 14 წლის, როცა 1466 წელს ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა ფლორენციაში. იქ მამამ ვაჟი სასწავლებლად მიიბარა მაშინდელი იტალიის ინტელექტუალურ ცენტრში, ალორძინების ეპოქის ფრიად განსწავლული ადამიანის, ანდრეა ვეროკიოს სამხატვრო სახელოსნოში.

იტალიელი ფერმწერი, არქიტექტორი და მწერალი ჯორჯო ვაზარი ცოტა მოგვიანებით დაწერს: „სერ პიერომ (ლეონარდის მამა. რედ.) ერთხელ აიღო ლეონარდოს რამდენიმე ნახატი და მიუტანა თავის მეგობარს – ვეროკიოს. ანდრეა გააოცა დიდი იმედების მომცემი ყმანვილის ნამუშევრებმა; ასე აღმოჩნდა ლეონარდო ვეროკიოს სახელოსნოში“.

ცენტრში ლეონარდომ დაჰყო რამდენიმე წელი. როგორც აღნიშნავენ და ვინჩის ბიოგრაფები, ის იქ დაეუფლა ხატვას, ხაზვას, სკულპტურას, ტყავისა და თაბაშირის დამუშავებას. ვერიკიოსთან ერთად შეგირდების პედაგოგი იყო სახელოვანი ფერმწერი ბოტიჩელიც.



სახლი, სადაც ბავშვობა გაატარა ლეონარდომ

ერთხელ ვეროკიომ შეკვეთა მიიღო სურათზე, სათაურით – „ნათლილება“ და ერთ-ერთი ანგელოზის დახატვა დაავალა ლეონარდოს. ეს იყო იმ ეპოქის სამხატვრო სახელოსნოების ჩვეულებრივი პრაქტიკა, როცა ოსტატი ტილოს ქმნიდა შეგირდებთან ერთად.

ორმა ანგელოზმა, ლეონარდოსა და ვეროკიოს მიერ შესრულებულმა, არაორაზროვნად წარმოაჩინა შეგირდის უპირატესობა ოსტატთან შედარებით. ვაზარი იმასაც დაწერს, რომ დამარცხებულმა ვეროკიომ ფუნჯი მოისროლა და მერე უკვე ფერწერას აღარასოდეს მიბრუნებიაო. მაშინ ლეონარდო 20 წლის იყო.



დანუნებული პროექტი

ლეონარდო პატარა ასაკიდანვე ხატავდა. სიყრმის წლებში კი შეიძინა უბის წიგნაკი, რომელშიც იხატავდა ყველაფერს, რასაც თვალი აღიქვამდა: ბორცვებსა და მინდვრებს, ბალახებსა და რკოს, ყვავილებსა და გოგონას უბინო სახეს, ქსოვილის ნაკეცებს...

„დამრიგებლად ბუნება ავირჩიე – ყველა მასწავლებლის მასწავლებელი“, – წერდა იგი.

1482 წელს ლეონარდომ დატოვა ფლორენცია და გადავიდა მილანში. ქალაქის მმართველმა ფრანჩესკო სფორცამ ის თავის კარზე მიიწვია მხატვრად, მუსიკოსად და ხუროთმოძღვრად. მანვე დაავალა და ვინჩს სამხატვრო აკადემიის დაარსება, რომლისთვისაც ლეონარდომ დაწერა „ტრაქტატი ფერწერაზე“, ყველა დროის მხატვართა სამაგიდო წიგნი.

1485 წელს მილანში შავი ჭირის ეპიდემიის გამო ლეონარდომ ხელისუფლებას შესთავაზა ე.წ. „იდეალური ქალაქის პროექტი“; დაგეგმარებაში გათვლილი იყო ზუსტი პარამეტრები, გათვალისწინებული იყო სარწყავი და საკანალიზაციო სისტემებიც, პარკებისა და სკვერების მოწყობაც შადრევნებითა და წყლის ატრაქციონებით.

მილანის თავკაცისთვის, ჰერცოგ სფორცასთვის რატომღაც მიუღებელი აღმოჩნდა მისი ხელქვეითის შემოთავაზებული პროექტი. გავა საუკუნეები და ლონდონის ხელისუფლება მილანის რეკონსტრუქციის ვინჩისეულ გეგმას უკვე თავისი ქალაქის განაშენიანების სრულყოფილ მოდელად მიიჩნევს.

„ეს ნახატი მე ნანახი მაქვს!“

1495-97 წლებში ლეონარდომ შექმნა ერთ-ერთი საუკეთესო ფერწერული ტილო „მადონა ლიტა“; ასევე, დაასრულა მსოფლიო ხელოვნების უდიდესი ქმნილება – „საიდუმლო სერობა“, რომელიც მილანში, „სანტა მარია დელა გრაციას“ მონასტრის კედელს ამშვენებს.

ვიდრე მხატვარი დაიწყებდა ამ ფრესკაზე მუშაობას, დადიოდა მილანის ქუჩებსა და სამიკიტნოებში, აკვირდებოდა და სწავლობდა ადამიანთა სახეებს. მთავარ პრობლემად რჩებოდა, რომ იესოსა და იუდას (სიკეთისა და ბოროტების) მიმსგავსებული სახეები აღმოეჩინა. ამ პერსონაჟებს ლეონარდო განსაკუთრებული მონდომებით ეძებდა.

ერთხელაც მხატვარი მომღერალთა გუნდის გამოსვლას ესწრებოდა და ერთ-ერთ ყმაწვილში ქრისტეს ნათელი, სრულყოფილი ხასიათი შეიცნო. ახალგაზრდა სახელოსნოში მოიწვია და რამდენიმე ჩანახატი გააკეთა. სამ წელიწადში მხატვარს ტილო თითქმის დასრულებული ჰქონდა, მაგრამ ვერაფრით მიეგნო ხასიათისთვის, რომელიც იუდას დასახატად გამოადგებოდა.

არადა, კარდინალი, რომელმაც ფრესკა შეუკვეთა, აჩქარებდა მხატვარს.

ერთ დღესაც ლეონარდომ ქუჩაში აღმოაჩინა ჩამოძვნილი, ნაადრევად დაბერებული ლოთი, აზროვნებაც რომ უჭირდა. მხატვარმა თანამემწეებს უბრძანა, ტაძარში წაეყვანათ იგი. უპოვრის სახეზე აღბეჭდილიყო ცოდვა, ეგოიზმი, სამყაროსადმი სიძულვილი. ეს სწორედ ის იყო, ვისაც და ვინჩი, იუდას პორტრეტი რომ გამოეძერწა, ამდენს ეძებდა.

როცა ლოთი გამოფხიზლდა, ლეონარდოს სამუშაო თითქმის დასრულებული ჰქონდა. გაოცებულმა მიმოიხედა და, როგორც კი ნახატი დაინახა, შეშინებულმა წამოიყვირა:

- ეს ნახატი მე ნანახი მაქვს!
- კი, მაგრამ, საიდან? – გაუკვირდა მხატვარს.
- სამი წლის წინათ, სანამ ყველაფერს დავკარგავდი, გუნდში ვმღეროდი, მომავლის იმედი მქონდა...

ერთმა მხატვარმა წამიყვანა და ჩემი სახე ქრისტეს შესაქმნელად გამოიყენა...

როგორც აღნიშნავენ, თორმეტივე პერსონაჟი რეალურ პიროვნებათა სახეების მიხედვითაა შექმნილი.



ვეროკიოს „ნათლისება“. პირველი ანგელოზის (მარცხნივ) ავტორი და ვინჩია



„საიდუმლო სერობა“. ლეონარდო და ვინჩი

120 წიგნად შეკრული აღმოჩენები

უდიდესი მეცნიერისა და გამომგონებლის და ვინჩის ყოველდღიური დაკვირვებები საბოლოოდ იქცა არაორდინალურ, ინტიმურ დღიურად, რომლის მსგავსი არ არსებობს მსოფლიო ლიტერატურაში.

ნახატებს, ნახაზებსა და ესკიზებს თან ახლავს ჩანაწერები არქიტექტურის,

ბუნებისმეტყველების, ანატომიის, გეოლოგიის, სამხედრო-საინჟინრო, მუსიკისა და ბევრ სხვა საკითხზე. ყველაფერი ეს შეფუთულია საინტერესო გამონათქვამებით, ფილოსოფიური მსჯელობებით, ალეგორიებით, იგავებით, ანეკდოტებით. საერთო ჯამში, ყველა ეს ჩანაწერი, 120 წიგნისაგან შეკრული, უმდიდრესი ენციკლოპედიური შენაძენია. დღეს ლეონარდოს მიიჩნევენ „ამქვეყნად ყველაფრის“ ავტორად, ადამიანად, ვინც საფუძველი ჩაუყარა ბევრ თანამედროვე დარგს.

მარტო მათი ჩამონათვალიც კი გააოცებს მკითხველს:

იგი დაინტერესებული იყო ფრენით; მას სურდა, ადამიანებს ჩიტებისვით ეფრინათ. ამიტომაც აკვირდებოდა ჩიტებს, რომ შეექმნა მფრინავი აპარატის მოდელი. ატარებდა ცდებს. და ვინჩის დაპროექტებული საფრენი აპარატი (ძრავის გარეშე) ძალიან ჰგავს თანამედროვე პლანერებს.

და ვინჩის ესკიზებით შექმნილმა პარაშუტებმა და დელტაპლანებმა ჩვენს საუკუნეშიც წარმატებით გაიარა გამოცდა.

„ფრინველი არის მათემატიკური კანონების შესაბამისად მოქმედი ინსტრუმენტი, რომლის გაკეთებაც შეუძლია ადამიანს. ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ ადამიანის მიერ აგებულ მექანიზმს აკლია მხოლოდ ფრინველის სული, რომელიც მოცემულ შემთხვევაში ადამიანის სულმა უნდა ჩაანაცვლოს“, – წერდა მეცნიერი.

ლეონარდო იყო პირველი, ვინც თქვა, რომ ცა ლურჯია – ეს ჰაერისგან სინათლის გაფანტვის შედეგიაო. ასევე, მან პირველმა ახსნა, დედამიწიდან რატომ ჩანდა მთვარის მხოლოდ ნაწილი.

და ვინჩიმ შექმნა ტყვიამფრქვევის მოდელიც (თუმცა ერთი ლულიდან რამდენიმე ტყვიას ვერ ისროდა); როგორც სამხედრო ექსპერტები ამტკიცებენ, ეს იარაღი იმ დროს რომ შექმნილიყო, ის იტალიის არმიას უძლევდეს გახდიდაო.

ავტომობილის მსგავსი თვითმავალი მანქანის გამოგონების იდეაც ეკუთვნის ლეონარდოს, რომელიც მას ეწვია შორეულ 1478 წელს.



ლეონარდო და ვინჩის ხელნაწერი

ველოსიპედის პირველი ტექნიკური ნახაზიც ლეონარდოს გონების ნაყოფია.

პირველი საფეიქრო-საქსოვი დაზვის ავტორიც და ვინჩია.

თავის ხელნაწერებში ლეონარდომ აღწერა პარაშუტის მოწყობილობის ზუსტი სქემაც. 2000 წელს ბრიტანელი პარაშუტისტი ადრიან ნიკოლასი 3000 მ-ის სიმაღლიდან დაეშვა მფრინავი ბურთის პარაშუტით, რომელიც მომზადდა ლეონარდოს ესკიზით.

როგორც ამბობენ, და ვინჩს ძალიან უყვარდა წყალი. შეუქმნია კიდევ აკვალანგით ჩაყვინთვის, წყალში სასუნთქი აპარატისა და წყალქვეშა ნავის პროექტები.

თანამედროვე ტანკის „წინაპარც“ ლეონარდოს აღმოჩენებს შორისაა.

თქვენ წარმოიდგინეთ, 1495 წელს და ვინჩიმ მსოფლიოში პირველმა ჩამოაყალიბა „მექანიკური ადამიანის“, ანუ რობოტის (!) სქემა. გამომგონებლის შეხედულებით, ეს იყო რაინდის სამოსში გამოწყობილი მანეკენი, რომელსაც ადამიანის რამდენიმე მოძრაობა უნდა გაემეორებინა.



ლეონარდო იყო პირველი მეცნიერი მსოფლიოში, ვინც კაცობრიობას შესთავაზა ორლინზიანი ტელესკოპი. მის ჩანაწერებში არის ასეთი წარწერა: „შექმენი სათვალის მინები თვალებისთვის, რომ დაინახო გადიდებული მთვარე“.

საფრანგეთის მეფისთვის (როცა ის საფრანგეთში ცხოვრობდა) და ვინჩმა (მსოფლიოში პირველმა!) დაამონტაჟებინა საპირფარეშო, ჩასარეცხი მონყობილობით.

დღევანდელი მაკრატლის ავტორიც ლეონარდოა. მასვე ეკუთვნის პირველი კალკულატორის, მუსიკალური ინსტრუმენტების შექმნის იდეებიც.

მეცნიერ-ინჟინერი და ვინჩი დაკავებული იყო არხების მშენებლობებით. მასვე ეკუთვნის გეოლოგიაში ლეონარდოს სახელით ცნობილი მინის ფენებით დროის გამოთვლის თეორიაც. მეცნიერმა დაასკვნა, რომ დედამინა ბევრად მეტი ხნისაა, ვიდრე ეს აღწერილია „ბიბლიაში“. და ვინჩიმ დედამინის დაახლოებითი დიამეტრიც განსაზღვრა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ლეონარდოს თვლიან კარიკატურული მხატვრობის ფუძემდებლადაც. ის ხშირად ადამიანებს დამახინჯებული ფორმით ხატავდა. 2005 წელს აღმოაჩინეს ლეონარდოს საიდუმლო ლაბორატორია, სადაც იპოვეს მისი მრავალი ხელუხლებელი ფრესკა და, ასევე, ოთახი, სადაც ის მუშაობდა გვამებზე და სწავლობდა ადამიანის სხეულის ანატომიას; მართლაც, ადამიანებისა და ცხოველების კვების დროს მეცნიერი საოცარი სიზუსტით აღწერს ჩონჩხისა და შინაგანი ორგანოების აგებულებას. კლინიკური ანატომიის პროფესორის – პიტერ აბრამსის მოსაზრებით, და ვინჩის ამ სამეცნიერო ნაშრომმა დროს სამი საუკუნით გაუსწრო.

მხატვრის მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს „ტრაქტატს ჭადრაკის თამაშის შესახებ“. იტალიელი მათემატიკოსის ლუკა ბართოლომეო პაჩოლის ამ ნაშრომისთვის ილუსტრაციები შეასრულა ლეონარდომ. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ამ ტრაქტატის ზოგიერთი საჭადრაკო ამოცანა და ვინჩის მიერაა შედგენილი.

ლეონარდო, როგორც მუსიკოსი, ვირტუოზულად უკრავდა არამარტო ლირაზე, ნებისმიერ ინსტრუმენტზეც; „მოცალოების ჟამს“ გატაცებული იყო გამოცანებისა და რეზუსების შედგენით.

თქვენ წარმოიდგინეთ, ლეონარდო და ვინჩი, უნიკალური შესაძლებლობებისა და გამოგონებების ავტორი, თავის თავს უწოდებდა გაუნათლებელ ადამიანს; მეამაყება, რომ განათლება მივიღე არა წიგნებიდან და პედაგოგ-რიტორიკოსებისგან, არამედ მე „მასწავლიდა“ და სულიერად მამდიდრებდა თვითონ ბუნება, თვლიდა და ვინჩი.

„ისინი, რომლებიც პრაქტიკას მიმართავენ თეორიის გარეშე, ემსგავსებიან მეზღვაურებს, რომელნიც საჭისა და კომპასის გარეშე მთარღვევენ ტალღებს“, – წერდა მხატვარი.

ცოტა უცნაურია, მაგრამ ესოდენ მასშტაბური აღმოჩენების ავტორი არასოდეს ჩქარობდა; ყველაფერს დინჯად და აუღელვებლად აკეთებდა. აი, მისი პატარა, მაგრამ ძალზე საინტერესო იგავი:

„ერთ ადამიანს უთხრეს, რომ ადგომის დრო იყო, რადგან მზე უკვე ამოსულიყო. მან კი უპასუხა: „მეც რომ ამხელა გზა მქონდეს გასავლელი და ამდენი საქმე გასაკეთებელი, რამდენიც მას, დიდი ხნის ამდგარი ვიქნებოდი. მაგრამ, რადგან მოკლე გზა მაქვს გასავლელი, ადგომაც არ მინდა“.



ლეონარდო და ვინჩის პროექტით შექმნილი ავტომობილი

არამინიერი რვილიზარის წარგზავნილი?..

სიცოცხლის ბოლო ორი ათეული წელი ლეონარდომ ხეტიალსა და მოგზაურობაში გაატარა. თითქოს ვერ პოულობდა იმ სივრცეს, სადაც საკუთარი თავის რეალიზებას შესძლებდა. ცხოვრობდა ხან რომსა და პავიაში, ხანაც – მილანსა და ბოლონიაში.

გონებრივი მრავალმხრივობითა და მასშტაბურობით მას ვერავინ ედრება. ის, პირველ რიგში, მხატვარი, სკულპტორი და ინჟინერი დაუფლებული იყო მათემატიკას, ჰიდრომექანიკას, გეოლოგიას, ფიზიკურ გეოგრაფიას, მეტეოროლოგიას, ქიმიას, მეტალურგიას, ასტრონომიას, ბოტანიკას, ანატომიას, ადამიანთა და ცხოველთა ფიზიოლოგიასაც.



ჩვენს დრომდე მოაღწია მხატვრის მხოლოდ ათამდე ტილომ. გარდა ამისა, შემორჩენილია უამრავი ჩანახატი და ჩანაწერი; გენიოსს ისიც კი შეეძლო, ერთი ხელით დაენერა, მეორეთი კი დაეხატა.

მეტიც: მას ახასიათებდა წერის თავისებური სტილი. მისი ჩანაწერების (დაახლოებით 7.000 გვერდის) სრული ამოკითხვა დღემდე არაა დასრულებული. იგი წერდა „სარკისებურად“, ანუ მარჯვნიდან მარცხნივ.

იყო ამბიდექტრომიც, ანუ ერთნაირად ფლობდა როგორც მარჯვენა, ასევე, მარცხენა ხელით წერის ტექნიკას. ბევრი თვლის, რომ წერის „სარკისებური“ მანერა იყო ინდივიდუალური თავისებურებაც. არსებობს კიდევ ცნება – „ლეონარდოს ხელწერა“. მისი ნამუშევრების ნაკითხვა შესაძლებელია მხოლოდ სარკით. იმასაც ამბობენ, ავტორს სურდა, საიდუმლო საბურველში გაეხვია თავისი ჩანაწერები. სრულად ლეონარდოს ხელნაწერები გამოქვეყნდა XIX-XX ს.ს.-ში.

ლეონარდოს შესაძლებლობები დღემდე იმდენად აოცებს მსოფლიოს, რომ ლეგენდაც კი შეთხზეს: და ვინჩი არამინიერი ცივილიზაციის გამოგზავნილია დედამიწაზეო.

„ვინც ვარსკვლავებისაკენ იმზირება“



ლეონარდო და ვინჩის საძინებელი კლო-ლუისის ციხესიმაგრეში. საფრანგეთი

„ლეონარდო გარეგნობით იყო ძალზე მიმზიდველი, კარგად აღნაგვი, ტანადი, სახის ლამაზი ნაკვთებით. მაშინდელი მოდით, ყველა ატარებდა გრძელ და მუქი ფერის ტანსაცმელს, მას კი ეცვა მოკლე, და ისიც, ვარდისფერი ტუნიკი, რომელიც მუხლამდე ძლივსღა სწვდებოდა. მას ჰქონდა ლამაზი, საგულდაგულოდ დავარცხნილი ტალღოვანი თმები, მკერდამდე ჩამოზრდილი“, – წერდა და ვინჩის სიკვდილის შემდეგ მისი ერთ-ერთი თანამედროვე.

ლეონარდოს ძალიან უყვარდა ფრინველები. იგი ყიდულობდა გალიაში დამწყვდეულ ჩიტებს იმისთვის, რომ მერე მათთვის ისევ ცაში გაფრენის საშუალება მიეცა.

„თუ ადამიანი ისწრაფვის თავისუფლებისაკენ, რატომ ჰყავს მას გალიაში დამწყვდეული ფრინველები და ცხოველები? ადამიანი, მართლაც რომ, მხეცთა მეფეა; ის დაუნდობელია ფრინველთა და ცხოველთა მიმართ. ადამიანები სხვათა მოკვდინებით ვცხოვრობთ. ჩვენ მოსიარულე აკლდამები ვართ! ჯერ კიდევ ადრეული ასაკიდანვე უარი ვთქვი ხორცზე“, – წერდა და ვინჩი.

ლეონარდოს ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარია „მონა ლიზას“ პორტრეტი, რომელიც მხატვარმა საფრანგეთში ყოფნის დროს შექმნა და ის „ჯოკონდას“ სახელითაა ცნობილი (სიცოცხლის ბოლო წელი და ვინჩი საფრანგეთში ცხოვრობდა). დღესაც ეს შედევრი ამშვენებს ლუვრის ერთ-ერთ დარბაზს, საგანგებოდ „ჯოკონდასთვის“ განკუთვნილს.

სიკვდილამდე ორი წლით ადრე ლეონარდოს წაერთვა მარჯვენა ხელი და დახმარების გარეშე თითქმის ვერ გადაადგილდებოდა.

და ვინჩი გარდაიცვალა 500 წლის წინათ, საფრანგეთში, სადაც ის მეფის – ფრანცისკო I-ის მიწვევით იყო ჩასული. მეფემ ლეონარდოს დ'ამბუაზის მახლობლად მდებარე კლო-ლუისის ციხესიმაგრე დაუთმო. დაკრძალეს დ'ამბუაზის კოშკში. **საფლავის ქვას წაანერგეს:**

„ამ მონასტრის კედლებში განისვენებს ფრანგული სამეფოს უდიდესი მხატვრის, ინჟინრისა და ხუროთმოძღვრის ლეონარდო და ვინჩის ნეშტი“.

P.S. რომის აეროპორტში, რომელიც ლეონარდო და ვინჩის სახელობისაა, აღმართულია ამ გენიალური ადამიანის ცისკენ გაჭრილი ქანდაკება, ხელში ვერტმფრენის მოდელით.

„უკან არ იყურება ის, ვინც ვარსკვლავებისაკენ იმზირება“, – ასე სწამდა გენიალურ ლეონარდო და ვინჩს.



საკიბელი

იბაჰიის ლასანი	იხმის ნახშირი	29
„პრინცს უნდოდა, რომ...“		
3	ო, ანა ჩაო	
ჰიოზა	სულხან-საბა ორბელიანი	
აკაკი წერეთელი	ვირად ცნობილი ყადი (იგავი)	30
გამოუცდელი		
4	ზაჯაჩი დილაგისათვის	
აიჩია ელინოვ	ნუნუ ჯანელიძე	
დეკანოზი გიორგი (თევდორაშვილი)	ყველგად დობიდაა?!	32
მარხვა სხვების შენდობაცაა		
9	აქთხა	36
ზღვისპირა იალქანი	თამაზი დანაყისით	
„საკვირველი კაცია ილია“	თეკლა ლაზი	
12	საცივში არეკლილი ახალი წელი და სხვა... ..	38
აფხაზი ხალხის ყრილობაზე		
13	უხვადი ახალისიებით	
ელითა ნიშაი	ახალი ზელანდია – „თეთრი ღრუბლების ქვეყანა“	40
ნინო ვახანია		
1832 წელი – შეთქმულთა შორის გამორჩეული	მეხნიეხების ბაქათი	
14	თემურ შავლაძე	
ფაბიანის მომავალი ნიშნები	ბავშვობა – დაუნერეული ლექსი	45
გიორგი სიამაშვილი		
ნიკოლოზ დანილევსკი – „რუსეთი და ევროპა“	თახბანი	
18	მიხეილ სალტიკოვ-შჩედრინი	
პოეზია	ბრძენი ციმორი	48
სევერიონ (სოსო) ნადირაძე		
ლექსები	მანაწვლების დიუხი	
21	ანა შოშიაშვილი	
ბაქათები მენტვის	„მათე კაცუნას“ ოინები და...	51
ზვიად გამსახურდიას წერილი		
გურამ რჩეულიშვილს	ხედალთა ბზა	
22	ლეონარდო და ვინჩი	54
საჩინო თახილი		
პრადოს მუზეუმი 200 წლისაა		
24		

ჩვენი მისამართი:

ქ. თბილისი, უზნაძის ქ. № 68.
 ტელ.: (+995) 598 93 92 84;
 (+995) 599 12 66 80;
 ელ-ფოსტა: jurnali.ialqani@gmail.com

იალქანი № 3 (44). 2019 წ.
 აფქიო № 3 (17). 2019 წ.

ტირაჟი: 500 ც.
 ფასი სახელმუქრულეზო





„ჩემი იასამნები“. ანა მებრეველი. 11 წლის. თბილისი